ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

„ახალი თაობა“ +„მარკესი“

**8 ლარი**

15 ივნისიდან




ხუთშაბათი, 16 ივნისი, 2011 | №141 (5522) | ფასი: 30 თეთრი

# კახეთი აქციებისთვის ემზადება!

## ვინ ბლოკავს თბილისის ხორცით მომარაგებას? გვ.7



## ხელისუფლებას ინტერნეტის გაკონტროლებაც უნდა

სააკაშვილისგან უსიამოვნო სიურპრიზებს უნდა ველოდოთ გვ.3



## ნაციონალები საკონსტიტუციო სასამართლოს იგნორირებას ახდენენ

გვ.2

უმცირესობა ნაციონალების ინიციატივას გაასაჩივრებს

## საქართველოში მიტინგების ჩატარება შეუძლებელი გახდება გვ.6





## ქართველებს ქაჯობამ ისევ გვაჯობა გვ.4



## ხელისუფლება მარტო სპეცრაზმის იმედად არ აპირებს დარჩენას გვ.5

## სააკაშვილი და ბურჯანაძე, როგორც პოლიტიკოსები, არასდროს მომწონდნენ გვ.11



## „ქუთაისის მაღაზიებში საქონლის ხორცის ნაცვლად ცხენის ხორცი იყიდება“ გვ.8

## საქართველო არ აპირებს ჟენევის ფორმატში მოლაპარაკებების შეწყვეტას გვ.9



## ეუთო მედიის თავისუფლებაზე კანონმდებლობის სრულყოფას მხარს უჭერს გვ.5



**3090**

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

## „ჩვენ თვითონ“ წყლის გამრიცხველიანებას აპროტესტებს გვ.8

ISSN 1987-9385

**8** უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა მკაცრდება

**7** საოჯახო სასტუმროების მეპატრონეებს გადასახადი დაუწესეს

**10** აფხაზეთის ეროვნული გმირი ქართველებთან შერიგების მომხრეა

**13** თეთრაძე „ვოლგადან“ გაუშვეს

# ნაციონალები საკონსტიტუციო სასამართლოს იგნორირებას ახდენენ

## უმცირესობა ნაციონალების ინიციატივას გაასაჩივრებს

ნანა მიშელაშვილი

**საპარლამენტო ოპოზიცია აქციების ჩატარებისას 20-მეტრიანი რადიუსის შეზღუდვის კანონში დაბრუნებას ეწინააღმდეგება.**

**უმრავლესობის წევრების მიერ პარლამენტში ინიცირებულია კანონპროექტი, რომლითაც აკრძალული იქნება შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარება შემდეგ შენობებში და მათი შესასვლელიდან 20 მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე: საკონსტიტუციო სასამართლო, საერთო სასამართლოები, პროკურატურა, პოლიცია, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები და სამართალდამცველი ორგანოები. ასევე, რკინიგზის სადგურები, აეროპორტები და პორტები.**

გარდა ამისა, აკრძალული იქნება შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარება სამხედრო ნაწილებში და ობიექტებში და მათი შესასვლელიდან 100 მეტრის რადიუსში.

კიდევ ერთი ცვლილება უკავშირდება იმას, რომ აქციის მონაწილეების მიერ ალკოჰოლის მასობრივი გამოყენება მისი დაშლის მიზეზი გახდება. უმცირესობის ლიდერს გიორგი თარგამაძეს აინტერესებს, ვინ უნდა განსაზღვროს ალკოჰოლის დოზები და დოზის შემცველობა იქნება სახიფათო თუ არა მიტინგის მშვიდობიანად წასამართავად.

თარგამაძე ხუმრობს, რომ ალბათ ცალკე ტესტები იარსებებს მანიფესტანტების შესამოწმებლად, ან შეიძლება კოლექტიური ტესტი იყოს და მთელმა მიტინგმა ან მანიფესტაციამ ერთად ამოისუნთქოს.

ოპოზიციონერი დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე კი მიიჩნევს, რომ მთლიანად იგნორირებულია საკონსტიტუციო სასამართლოს როლი. ლორთქიფანიძის განცხადებით, პირველ რიგში, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს გიორგი პაპუაშვილს უნდა წარმოეშვას პროტესტი ამ ცვლილებებთან დაკავშირებით.

რატომ ხდება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რევიზია? რას ფიქრობს საპარლამენტო ოპოზიცია ახალ ინიციატივასთან დაკავშირებით?

**გიორგი თარგამაძე — საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი:**

***— როგორია თქვენი პოზიცია „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით? ხდება თუ არა საკონსტიტუციო სასამართლოს უგულებელყოფა ამ ახალი ინიციატივით?***

— კატათაგვობანას თამაშს ემსგავსება საპარლამენტო უმრავლესობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების გამოვლენილი პოზიციები. ქვეყანაში, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება დღეს უნდა წარმოადგენდეს უმთავრეს პრიორიტეტს, რადგან აშკარა ნიშნებია ჩაკეტილი, ავტორიტარული სისტემის ჩამოყალიბების. ფაქტია, რომ ადამიანებმა, რომლებმაც პასუხი მიიღეს საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან, ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, მოიფიქრეს გამოსავალი, რამდენად არის ეს გამოსავალი, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მიეღოთ, სხვა რამ გააკეთეს. საპარლამენტო უმრავლესობა, ნაციონალური მოძრაობა კვლავ თავის თარგზე ცდილობს, მოირგოს როგორც სამართალი, ისე კონსტიტუცია. თუკი ასეთი გადაწყვეტილება მაინც იქნება ნაციონალური მოძრაობის მხრიდან მიღებული, იმედი მაქვს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვისა და მსჯელობის საგანი კვლავ გახდება ეს გადაწყვეტილება.

***— ესე იგი, ისევ საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა მიმართონ არასამთავრობო ორგანიზაციებმა თუ ცალკეულმა პოლიტიკურმა ფიგურებმა, თუკი პარლამენტი ამ პროექტს მიიღებს?***

— სხვა გზა არ არის.

***— სადამდე უნდა იარონ საკონსტიტუციო სასამართლოში?***



— სანამ საქართველოს პარლამენტში ერთპარტიული უმრავლესობა იქნება ნაციონალური მოძრაობის სახით.

***— ახალ ინიციატივაში ისიც წერია, რომ ალკოჰოლის მიღება აქციის დაშლის მიზეზი შეიძლება გახდეს. ამაზე რას იტყვით?***

— როგორ უნდა შეამოწმონ ადამიანები, რომლებიც მიტინგზე, მანიფესტაციაზე ან უბრალოდ ქუჩაში იქნებიან გამოსული ბარიდან, რესტორნიდან, ეს ძალიან საინტერესო სანახავი იქნება. ვინ უნდა განსაზღვროს დოზები და დოზის შემცველობა სახიფათო იქნება თუ არა მიტინგის მშვიდობიანად წასამართავად. ამას უკვე კურიოზიც აღარ ჰქვია. სიმართლე გითხრათ, მსოფლიო პრაქტიკას ამასთან დაკავშირებით არ გავცნობივარ, ჩვენი ხელისუფლება, ამ მხრივ, სიურპრიზებს სიურპრიზებზე გვთავაზობს. დიდი ინტერესით მივმართავ პარლამენტის ანალიტიკურ დეპარტამენტს, მოიძიოს, სადმე მსოფლიოში თუ არსებობს ასეთი პრეცედენტი. რომც არსებობდეს, როგორ ვაპირებთ მომავალში მის განხორციელებას. ალბათ, ცალკე ტესტები იარსებებს მანიფესტანტების შესამოწმებლად, ცოტა განსხვავებული იმისა, რაც მძღოლებისთვის არსებობს. შეიძლება კოლექტიური ტესტი იყოს — მთელმა მიტინგმა ან მანიფესტაციამ ერთად ამოისუნთქოს და მათი საერთო სიმთვრალის ან სიფხიზლის კოეფიციენტი დადგინდეს. ჩვენ შეიძლება ამაზე ბევრი ვიხუმროთ, ზუსტად ამ ხასიათზე გვაყენებს ასეთი ხასიათის ინიციატივები, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ძალიან მწვავედ უბრუნდება ჩვენს საზოგადოებას. ხუმრობა იქით იყოს, ამ საკითხზე ძალიან სერიოზული მსჯელობა, დისკუსია გვექნება. თუკი პარლამენტში ჩვენი მცირე რაოდენობრივი შესაძლებლობებით ვერ მოვახერხებთ, რომ ეს პროექტი არ იქნეს მიღებული, გავივლით კონსულტაციებს უფლებადამცველებთან და საკონსტიტუციო სასამართლოს მივმართავთ.

***— საკონსტუტიციო სასამართლოს გადაწყვეტილების ნაწილობრივ რევიზია იმას ხომ არ ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო გააუქმონ ან მისი თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი გაათავისუფლონ?***

— არა მგონია. მიუხედავად სამართლიანი და კონსტიტუციური გადაწყვეტილებებისა, არა მგონია, საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენდეს რაიმე საფრთხეს მმართველი გუნდისთვის. ასე რომ, ამ მიმართულებით რაიმე შორს მიმავალ გეგმებთან დაკავშირებით ფიქრისგან თავს არ შევიწუხებდი. უბრალოდ, არის გარკვეული გადაწყვეტილებები, რომელიც არ რჩება მხოლოდ საქართველოს შიგნით ცალკეული უფლებადამცველი ორგანიზაციების ან პოლიტიკოსების განსჯის საგანი, არამედ გადის ექსპერტიზას და ანალიზს და შემდეგ ეს აისახება საქართველოს შესახებ ძალიან მნიშვნელოვან მოხსენებებში. სახეზე გვაქვს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის გვერდის ავლისა და შემოვლითი მეთოდებითა და ხერხებით იგივე შედეგის მიღწევის მცდელობას წარმოადგენს ის ინიციატივა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის მიერ არის პარლამენტში შემოტანილი. სწორედ ამის გამოა, რომ ურთიერთობები საკონსტიტუციო სასამართლოსა და პარლამენტში ნაციონალურ მოძრაობას შორის ემგავსება კატათაგვობანას თამაშს.

**დიმიტრი ლორთქიფანიძე — ოპოზიციონერი დეპუტატი:**

— ეს ინიციატივა ჯერ კომიტეტში განხილული არ არის. თავიდანვე უნდა დაირაზმოს მთელი პოლიტიკური ოპოზიციური სპექტრი იმისთვის, რომ არ მოხდეს იმის დაშვება, რაც პირდაპირ ლახავს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ინტერესებს, აქ აღარ არის საზოგადოებრივ ინტერესზე საუბარი. მთლიანად იგნორირებულია საკონსტიტუციო სასამართლოს როლი. ეს ნიშნავს იმას, რომ პირველ რიგში, ბატონ გიორგი პაპუაშვილს უნდა წარმოეშვას პროტესტი ამასთან დაკავშირებით. ძალიან საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს პრესცენტრი გააკეთებს თუ არა ამასთან დაკავშირებით განცხადებას. იმიტომ, რომ ეს არის თვითნებობა, დაუსჯელობის სინდრომიდან გამომდინარე მოქმედება, რომლის ტესტი 26 მაისს ჩატარდა. ყველამ ნახა, ჩვენი კოლეგების ცინიკური სახეები, როცა 26 მაისის შემდეგ პარლამენტის პირველი სხდომა შედგა. ცინიკური ფორმების დემონსტრირება გრძელდება და ამის ნათელი მაგალითია შეკრებებისა და მანიფესტაციების კანონში შესატანი ცვლილებები. უფრო სწორად, ამას ცვლილებებს ვერ დავარქმევ, ეს არის საკანონმდებლო ნორმის მოხვევის მცდელობა იმ დეპუტატების მხრიდან, რომლებიც იგნორირებას უკეთებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.



შესაბამისად, სრულიად უკანონოდ რევიზირებას ახდნენენ ამ გადაწყვეტილების. ეს არის ერთგვარი ტესტი, გაერთიანდება თუ არა ოპოზიცია, სამოქალაქო საზოგადოება და მედია, რომელიც ერთად უნდა გამოვიდეს. საზოგადოების ინტერესი ამ საკითხებთან დაკავშირებით განსაკუთრებით დიდი იქნება. თუ ჰგონიათ ამ ინიციატივის ავტორებს: ბატონებს მინაშვილს, კუბლაშვილს, ანჯაფარიძესა და ქალბატონ თაქთაქიშვილს, რომ შეუმჩნეველი დარჩება ის, რაც ამ პროექტშია ჩადებული, მათ ამ ბედნიერებას არ მივანიჭებთ. დაუყონებლივ იქნება რეაგირება საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ, რაც მართალია ფორმალური გარემოებაა, თუმცა, აუცილებელია იმისთვის, რომ საერთაშორისო სამართლებრივი სივრცე მთლიანად გავაჯეროთ კანონიერი და ლეგიტიმური პროტესტით. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ და საზოგადოების კონსოლიდაციამ უნდა მიიღოს შედეგი, რომ ხელისუფლებამ ვეღარ გაბედოს ასეთი თავხედური გამოხტომები, რომელიც პირდაპირ თვითნებობასთან არის დაკავშირებული და არავითარი კავშირი არა აქვს საკანონმდებლო ინიციატივებთან.

***— უმრავლესობამ რატომ გადაწყვიტა ამ სახით პროექტის მომზადება?***

— ასეთი რევიზიონისტული დამოკიდებულება საკონსტიტუციო სასამართლოსადმი არ არის მიმართული საკონსტიტუციო სასამართლოს წინააღმდეგ, არამედ მიმართულია საზოგადოებრივი აზრის დასათრგუნად. ეს არის პირდაპირი გზავნილი საზოგადოებისადმი, რომ ჩვენ კანონის უხეში დარღვევითაც კი მზად ვართ, დავიცვათ ჩვენი ძალაუფლება. ძალაუფლება, რომლის ტყვეობაშიც თავად ვართ, მაგრამ რა ვქნათ, „აქა ვდგავართ და სხვარიგად არ ძალგვიძს“. მთელ რიგ დაწესებულებებთან ეს 20-მეტრიანი რადიუსის აკრძალვა ისევ ბრუნდება.

***— თუმცა, პარლამენტთან 20-მეტრიან რადიუსში მიტინგის ჩატარება შეიძლება?***

— ხელისუფლება, არამცთუ რაიმე ფორმით ახდენს ლიბერალიზებას თუნდაც პარლამენტის წინ გამართული აქციის შესაძლებლობის, არამედ, პირიქით, თრგუნავს კიდეც მას გაცილებით უხეში ფორმებით. ხელისუფლებას ნებისმიერი შემთხვევაში შეუძლია თავად შემოიყვანოს მცირე ჯგუფი ნასვამი ადამიანების და ამ მოტივით პროვოცირება გააკეთოს.

***— ალკოჰოლთან დაკავშირებით ეს ჩანაწერი სასაცილო ნორმა ხომ არ არის?***

— სასცილო ნორმაა, მაგრამ ამას აქვს დატვირთვა მათ ჭკუაში. ისინი თავად ჩანერგავენ რაღაც ჯგუფს, თავად მოახდენენ პროვოცირებას და შემდგომში მოახდენენ აქციის დაშლას.

***— თუ ასეთი სახით იქნა პროექტი მიღებული, საკონსტიტუციო სასამართლოს ხომ არ მიმართავთ?***

— რა თქმა უნდა. ეს არ უნდა იყოს შეჯიბრი, ვინ პირველი მიმართავს. ჩვენ უნდა დავირაზმოთ ერთიანად. მოვუწოდებ კონსოლიდაციისკენ საზოგადოებას, მთელ პოლიტიკურ სპექტრს, გავერთიანდეთ, რათა ეს კანონი არ იქნეს მიღებული.

## „ფორბსის“ ათეულის პირველ ადგილზე ოსამა ბინ ლადენი მექსიკელმა ნარკობარონმა შეცვალა

ჟურნალ „ფორბსის“ მიერ შედგენილ ყველაზე საშიში დამნაშავეების ათეულში მუდმივი პირველადგილოსანი, ცოტა ხნის წინ დაღუპული ოსამა ბინ ლადენი მექსიკელმა ნარკობარონმა ხოაკინ გუზმანმა, მეტსახელად „ჩაპომ“ ჩაანაცვლა.

ამერიკის ძალოვან უწყებებზე დაყრდნობით გამოცემა იუწყება, რომ გუზმანი მექსიკიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ნარკოტიკული საშუალებების შეტანის ყველა კორიდორს აკონტროლებს.

ამერიკული მედია კი მას ნარკოსამყაროს ნათლიმამად მოიხსენიებს. სამართალდამცველების პროგნოზით, გუზმანი თავისი უკანონო ბიზნესის მასშტაბებით ცოტა ხანში მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე დიდი ნარკობარონი გახდება.

„ფორბსის“ ათეულში მეორე ადგილს ბინ ლადენის ყოფილი მარჯვენა ხელი აიმან ალ-ზავაჰირი იკავებს. ათეულში მოხვდა ალ-ყაიდას კიდევ ერთი წარმომადგენელი ნაზირ ალ-ვუაში, ეს უკანასკნელი ტერორისტული ორგანიზაციის იემენის ოფისის ერთ-ერთი ხელმძღვანელია.

აღსანიშნავია, რომ „ფორბსის“ აზრით ყველაზე საშიში ადამიანების სიაში რუსეთის წარმომადგენლებიც მოხვდნენ, მათ შორის, რუსული კრიმინალური სამყაროს ერთ-ერთი სახე სემიონ მოგილევიჩი, ჩეჩენი მებრძოლების ლიდერი დოკუ უმაროვი და რუსეთში მოღვაწე კრიმინალი ალიმჯან ტოხტახუნოვი. აღსანიშნავია, რომ „ფორბსი“ დოკუ უმაროვს რუსეთის ბინ ლადენად მოიხსენიებს.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ხელისუფლებას ინტერნეტის გაკონტროლებაც უნდა

## სააკაშვილისგან უსიამოვნო სიურპრიზებს უნდა ველოდოთ

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ კონსერვატიული პარტიის ლიდერ ზვიად ძიძიგურთან

*— ბატონო ზვიად, მოდით, შევაფასოთ უკანასკნელ დღეებში განვითარებული პროცესები. ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს სათავისოდ კანონების გამკაცრებას, ასევე მიმდინარეობს მედიაზე ზეწოლა, თუნდაც ის, რაც მედიაპალიტრაში ხდება. როგორი იქნება თქვენი შეფასებები ამ ყველაფერთან დაკავშირებით?*

— ინტერნეტ სივრცეს სულ უფრო და უფრო მეტი მომხმარებელი ჰყავს, განსაკუთრებით პოლიტიკური ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით. გეომეტრიული პროგრესით იზრდება ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც ინტერნეტით ღებულობენ ინფორმაციებს და უყურებენ უკვე ინტერნეტტელევიზიებს. ბუნებრივია, ხელისუფლება ცდილობს კონტროლი დაამყაროს და მათი შესვლა „მედიაპალიტრის" შესამოწმებლად იყო ერთგვარი მინიშნება იმაზე, რომ ისინი არ აპირებენ უკონტროლოდ დატოვონ ეს მიმართულება და სწორედ ამას ემსახურებოდა. ეს იყო 25-26 მაისის გაშუქების სამაგიეროდ. მე ამაში ვარ დარწმუნებული და რამდენიც არ უნდა მოიმიზეზონ ახლა ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომ ეს იყო გეგმური შემოწმება, რომ თურმე აქ მარტო საგადასახადო საფინანსო საკითხები იდგა დღის წესრიგში, მე ამის, რა თქმა უნდა, არ მჯერა. ეს განაპირობა 25-26 მაისის ობიექტურმა გაშუქებამ და მედიაინტერნეტ სივრცეზე კონტროლის დამყარების სურვილი არის სახეზე.

*— ხელისუფლების სურვილი სახეზეა, მაგრამ რამდენად არის იმის საფრთხე, რომ „მედიაპალიტრამ" დაკარგოს დამოუკიდებლობა?*

— მე ვფიქრობ, რომ ვინაიდან სერიოზულად ჩაერივნენ უკვე ჩვენი უცხოელი მეგობრები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. მე ვფიქრობ, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თვითონ ჟურნალისტების, მედიაორგანიზაციების მხრიდან სოლიდარობის გამოცხადებას და აქტიურ ჩართვას საპროტესტოდ იმისა, რაც ხდებოდა ამის საწინააღმდეგო საქმიანობაში. ასევე მთლიანად დიპლომატიური კორპუსიც ძალიან იყო დაინტერესებული ამ ფაქტით. ჩვენ იმავე დღეს გვქონდა შეხვედრა ევროკავშირის, ცენტრალური აზიის და აღმოსავლეთ ევროპის წარმომადგენელთან, რომელიც სტუმრად ბრძანდებოდა თბილისში და იმ დღესვე ჩავაყენეთ საქმის კურსში. მისი მხრიდან ინტერესი დიდი იყო და მანაც განაცხადა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებიც ჩაერთვებოდნენ ამ საკითხის გარკვევაში. ასე რომ, აქ ერთი ერთზე ხელისუფლება და ეს მედიასაშუალება არ დარჩენილა. იქ იყვნენ საერთაშორისო არბიტრები, რომელთა გამადიდებელი შუშის ქვეშ უნდა განეხორციელებინა ხელისუფლებას თავისი ქმედებები. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ამ ჯერზე ეს საფრთხე თავიდანაა აცილებული. თუმცა, ამ ხელისუფლებისგან ყოველთვის არის მოსალოდნელი მსგავსი ტიპის სიურპრიზები.

*— რაც შეეხება რვიანის საქმიანობას, თქვენ ერთობლივი განცხადება გააკეთეთ და განაცხადეთ, რომ სამოქალაქო აქტივობაზე გადადის. რა ხდება დღეს რვიანში? ზოგი საუბრობს, რომ დაპირისპირებაა, აზრთა სხვადასხვაობაა რვიანის შიგნით. იქნებ გაგვიმხილოთ, რა ხდება?*

— რვიანი დაახლოებით ერთი წელია, რაც შექმნილია, შარშან ზაფხულში შეიკრიბა ეს პოლიტიკური ორგანიზაციები და აზრთა სხვადასხვაობა იქ მას შემდეგ არის. რვა პოლიტიკური პარტია — ეს არ არის ნაციონალური მოძრაობა, რომ ერთი ვერტიკალის მიხედვით იმართებოდეს. აქ არის სხვადასხვა მოსაზრების, სხვადასხვა ბიოგრაფიის, სხვადასხვა ტემპერამენტის და წარსულის მქონე პარტიები და რა თქმა უნდა, სხვადასხვა მოსაზრებები აქ ჩვენთვის რაიმე სიახლე არ არის. ჩვენ ამ სხვადასხვა მოსაზრებების ფორმატში ვცხოვრობთ უკვე ერთი წელია და ამიტომ ის, რომ ახლა ძალიან დიდი ყურადღების ცენტრი არის გადმოტანილი და ბუზები რომ სპილოების ხელად სურთ, ვიღაცას რომ დაანახონ, ეს ჩვეულებრივია, რადგან პოლიტიკური ინტერესი გაიზარდა რვიანის მიმართ. აქციებთან დაკავშირებით, რაზედაც ეს „აჟიოტაჟი" ატყდა, თავიდანვე ცნობილი იყო, რომ რვიანში შემავალი ზოგი პარტია უფრო აქტიური მომხრეა აქციების, ზოგი ნაკლებად მომხრე, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვახერხებდით ჩვენი პოზიციების შეჯერებას და ახლაც მოვახერხებთ. ამ ჯერზე მე მინდა განვაცხადო, რომ რვა პოლიტიკურმა პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ერთმანეთის აქტიურობის ხარისხს არ შეუშალონ ხელი. შეიძლება რამდენიმე პარტია ერთი ტიპის ღონისძიებაში ჩაერთოს, კიდევ რამდენიმე პარტია სხვა ტიპის ღონისძიებაში და არ არის აუცილებელი, აქციები ჩატარდება, საპარლამენტო დებატები, საკრებულოში აქტიურობები, მედიაორგანიზაციებთან თანამშრომლობა, არ არის აუცილებელი, რომ ყველა, რვავე პარტია იყოს ამაში ჩართული. სამოქალაქო მოძრაობის ფორმატი — ეს დაახლოებით ისეთი რამ არის, როგორიც იყო სოლიდარობა პოლონეთში, რომელმაც შეცვალა მაშინდელი კომუნისტური ხელისუფლება. ამ სამოქალაქო მოძრაობის ფარგლებში, რა თქმა უნდა, ასეთი ტიპის აქტიურობები შესაძლებელია რვიანში შემავალი პოლიტიკური პარტიებისათვის.

*— ე.ი. შესაძლებელია, რვიანიდან ოთხმა პარტიამ გამართოს საპროტესტო აქცია და მეორე ოთხი არ ჩაერიოს ამაში?*

— ეს თავისთავად ეგრე იქნება, იმიტომ, რომ თუ საპარლამენტო დებატებს გადავწყვეტთ, იმ საპარლამენტო დებატებში ორი პარტიის მეტი რვიდან ვერ მიიღებს მასში მონაწილეობას. თუ საკრებულოს წევრების გააქტიურებას გადავწყვეტთ, საკრებულოს წევრებიც ყველას არა ჰყავს. თუკი აქციების ჩატარებას გადავწყვეტთ, რადგან ახალი მემარჯვენეები აცხადებენ, რომ მათთვის აქციებში მონაწილეობის მიღება არ არის მიზანშეწონილი, ახლა ძალით ვინ მიაღებინებს მასში მონაწილეობას, მაგრამ ჩვენ ერთმანეთს, რა თქმა უნდა, თავისუფლებას ვანიჭებთ, სხვაგვარად შეუძლებელიც იქნებოდა ამ ფორმატის შენარჩუნება ამდენი ხნის განმავლობაში. ამიტომ ჩვენთვის მთავარი არის სამოქალაქო სექტორი ჩავრთოთ აქტიურად საქმიანობაში და უნდა გითხრათ, რომ მიდის მათთან ძალიან აქტიური და სერიოზული მუშაობა, შეხვედრები, უკვე ინდივიდუალურ რეჟიმშიც და სავარაუდოდ უკვე გამოიკვეთა იმ ორგანიზაციებისა და პირების კონტურები, რომლებიც აქტიურად ჩაერთვებიან ამ პროცესებში. რაც ძალზე მნიშვნელოვანია და უნდა გითხრათ, რომ ხელისუფლება დიდად აღტაცებული ამ ჩვენი გადაწყვეტილებით არ არის და პირიქით, მან ძალიან კარგად იცის, თუ რამხელა ძალა აქვს უკვე საზოგადოებას, მთლიანად ერთად აღებულს. ჩვენი გადაწყვეტილება ემყარებოდა იმ პრინციპს, რომ მარტო პოლიტიკური რვიანის საქმე არ არის სამართლიანი არჩევნები ამ ქვეყანაში. ეს არის ყველას საქმე, მათ შორის თქვენიც — ჟურნალისტთა კორპუსის, ბიზნესმენების, ექიმების და აბსოლუტურად ყველასი, ვისაც ამ ქვეყნისთვის უკეთესი მომავალი ემეტება, ყველასთვის არის სამართლიანი არჩევნები მნიშვნელოვანი საქმე და ამიტომ ჩვენ გვინდა მთელი საზოგადოების ენერგია და პოტენცია გამოვიყენოთ იმაში, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ერთი წალმა გადადგმული ნაბიჯი ყველამ ერთად შრომით და ერთობლივი საქმიანობით მოვიპოვოთ.

*— სამოქალაქო სექტორის გააქტიურებასთან დაკავშირებით ასეთი შეფასებებიც მოვისმინე, რომ ძალიან კარგია ეს კეთილი სურვილები, მაგრამ მატერიალური მხარე, ფინანსები სჭირდება ამ ყველაფერსო. რამდენად იქნება იმის საშუალება, რომ ეს ორგანიზაციები და მათი პროგრამები დაფინანსდეს?*

— ჩვენ გვაქვს ისეთი პროექტები, რომელიც შეიძლება დაფინანსდეს დონორი ორგანიზაციების მხრიდან, მაგალითად მუშაობა ევროსტრუქტურებთან, მუშაობა საერთაშორისო ასპარეზზე, ასევე რაღაცა ტიპის ტრეინინგების ჩატარება, რომელიც აუცილებელი იქნება, არის ისეთი ტიპის პროექტები, სადაც შეგვიძლია დაფინანსების მოპოვება. ფინანსური მხარე, გეთანხმებით, ეს არ არის იოლი მხარე ოპოზიციური პარტიებისთვის, მაგრამ აქაც შემიძლია გითხრათ, რომ რვა პარტიას აქვს რვაჯერ მეტი შესაძლებლობა, ვიდრე ერთ პარტიას. ერთობლივი პროექტების დაფინანსების დროს ერთმანეთს შევეხიდებით და აქედან გამომდინარე მეტის გაკეთება იქნება შესაძლებელი. თუმცა, მე ვერ ვიტყვი, რომ ეს საკითხი პოლიტიკურ რვიანს მოგვარებული ჰქონდეს.

*— ცხელი ზაფხულის მიუხედავად რვიანი გაჩერებას და აქტიურობის შენელებას არ აპირებს?*

— არა, არავინ არ აპირებს, ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში ვმუშაობთ ფაქტიურად, დღესაც რამდენიმე წუთია, რაც დავასრულეთ კონსულტაციები კოლეგებთან, პარტნიორებთან და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. ყოველდღიურ რეჟიმში მიდის მუშაობა. უნდა დამეთანხმოთ, რომ ძალიან ძნელია, როდესაც ღებულობ რაღაც გადაწყვეტილებას, არა ერთპარტიულს, არამედ მრავალ პარტიულს და ახლა ამას ემატება უკვე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებიც, ბუნებრივია, უნდა ეძებო მუდმივად ისეთი მოდელები, სადაც ყველას სრული დახარჯვით შეეძლება საქმიანობაში ჩაბმა. თავისი სურვილი და მოქმედების ხარისხი იქნება გათვალისწინებული. ზოგს მეტად აქტიურობა უნდა, ზოგს ნაკლებად აქტიურობა, ზოგი შესაძლოა სხვა ფორმის აქტიურობებში ვნახოთ, ზოგიც სულ სხვა ფორმატში. ეს ყველაფერი არის ის საკითხი, რომელიც სერიოზულ პოლიტიკურ მუშაობას, რუტინულ შრომას მოითხოვს და მინდა განვაცხადო, რომ ჩვენ სწორედ ასეთ რუტინაში ვართ ახლა ჩართულები.

*— რაც შეეხება აქციების კუთხით აქტიურობას, როგორ ფიქრობთ, იმ ყველაფრის შემდეგ, რამდენად არის მზად საზოგადოება, რომ კიდევ ერთხელ გამოვიდეს ქუჩაში?*

— მე არ ვიცი ახლა. საერთოდ აქციაზე უარის თქმა, მე ვფიქრობ, პოლიტიკურ არსენალში, ბრძოლის ეს ფორმა არის, მაგრამ ეს იქნება უფრო ბოლო სტადია და ყველანი ვიგრძნობთ ჩვენ ერთად, საზოგადოება, რვიანში შემავალი ყველა პოლიტიკური პარტია უპირველეს ყოვლისა, რომ რაღაცა სხვა ეტაპი მომწიფდა და სხვა სიტუაციამდე მივედით. მე ვფიქრობ, რომ ხელისუფლებას ყველა ვარიანტში მოუწევს დათმობაზე წამოსვლა და ჩვენი ხალხის



აქტიურად ჩართვა ამ პროცესში მოგვცემს სრულ გარანტიას პრაქტიკულად იმისა, რომ რეალური ცვლილებები იქნება ქვეყანაში.

*— ალბათ, თქვენც დამეთანხმებით, რომ არჩევნებამდე დიდი დრო აღარ რჩება. ექსპერტები საუბრობენ, რომ ნორმალურ ქვეყანაში პარტიებს საარჩევნო კამპანია უნდა ჰქონდეთ დაწყებულიო. თუმცა, თუ რაიმე დათმობაზე არ წავიდა ხელისუფლება, ალბათ, აზრიც არ აქვს ამ კამპანიის დაწყებას...*

— გეთანხმებით, მაგრამ არის ასეთი მოსაზრებებიც რომ არჩევნები შეიძლება ჩატარდეს გაზაფხულზე, შეიძლება ჩატარდეს შემოდგომაზე, ჩვენ უნდა ვიყოთ ყოველ წუთას მზად და მუდმივად უნდა ვიყოთ პროცესებში ჩართულები და სწორედ ამას ვაკეთებთ ახლა და ვნახოთ, რა იქნება. მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ეს მიმართულება, რომელიც რვა პოლიტიკურმა პარტიამ აირჩია და უკვე საზოგადოების ძალიან კომპეტენტური წარმომადგენლობა ჩაერთო ამ საქმეში, მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს იქნება აუცილებლად შედეგის მომტანი.

*— იყო საუბრები იმის შესახებ, რომ თითქოს ლევან გაჩეჩილაძემ გამოთქვა სურვილი, რომ გაწევრიანდეს რვიანში და სწორედ ამ კუთხით გააქტიურდეს. რამდენად არის რვიანში მისი ადგილი? მოვისმინე შეფასებები, რომ თითქოს ყველა არ არის მომხრე, რომ ლევან გაჩეჩილაძე იგივე მეცხრე იყოს რვიანში. როგორია თქვენი პოზიცია?*

— არ ვიცი, ჩვენ ამ თემებზე საუბარი არ გვქონია. ერთი ვიცი, რომ სამართლიანი არჩევნებისათვის ბრძოლაში ყველას ენერგია და ძალა იქნება სასურველი ამ ბრძოლაში. რაც შეეხება რვა პარტიის ცხრა პარტიად გახდომას, ამასთან დაკავშირებით რა გითხრათ, ელემენტარულად პარტია უნდა იყო ხომ? ისე როგორ გახდება რვიანის მეცხრე წევრი. სამოქალაქო მოძრაობაში, იქ, სადაც აქტიურობას აპირებენ ჩვენი საზოგადოებისთვის თვალსაჩინო ადამიანები, იმ საზოგადოებაში აქტიურობას, მე მგონი, არც ლევანი დაიწუნებს და არც კიდევ სხვა ადამიანები, რომლებიც გადაწყვეტენ ამ ნაბიჯის გადადგმას.

*— უნდა ელოდოს საზოგადოება რვიანის მხრიდან პროცესების გამწვავებას?*

— ჩვენ უნდა ველოდოთ რვიანის მხრიდან თანმიმდევრულ და სწორ პოლიტიკურ ნაბიჯებს. ეს გაამწვავებს, არ გაამწვავებს, ვნახავთ, ყველანი ერთად. მე მიმაჩნია, რაც შეიძლება დიდი რაოდენობა საქართველოს მოსახლეობისა უნდა იყოს ამ პროცესში ჩართული. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ გააქტიურება ადამიანების, მოსახლეობის მოვახერხოთ და ხელისუფლებას არ დავუტოვოთ არანაირი შანსი, რომ ისევ თავისი გადამწყვეტი უპირატესობებით ჩაიტაროს თავისთვის არჩევნები.

*— როგორ ფიქრობთ, ხომ არ განელდა დასავლეთის ყურადღება და ინტერესი ამ საკითხთან დაკავშირებით?*

— არა, პირიქით, მუდმივად არის დასავლეთის დიპლომატიური წრეების მხრიდან მუდმივი ინტერესი ამ პროცესების მიმართაც და მუდმივად ყველა დონეზე, ევროპაში, ამერიკაში, საერთაშორისო შეხვედრებზე, ყველა დონეზე ისინი ხელისუფლების წინაშე სვამენ საკითხებს, რომ ის მოთხოვნები, რომელიც არის ძალიან ნორმალური და ზომიერი რვიანის მიერ წამოყენებული, რატომ არ სრულდება, რაც საკმაოდ დიდ დისკომფორტს უქმნის ხელისუფლებას. მე დარწმუნებული ვარ, ისინი ასეთ დუმილის მდგომარეობაში დიდხანს ვერ იქნებიან.

*— ჩვენს პრეზიდენტს უყვარს სიურპრიზები და რამდენად არის იმის შანსი, რომ მოულოდნელად ვადამდელი არჩევნები დანიშნოს?*

— რა მომწიფდება სააკაშვილის ტვინში, ეს არავინ არ იცის, ამიტომ ვერც ვერაფერს გამოვრიცხავთ და ვერც ვერაფერს დარწმუნებით ვერ ვიტყვით.

## თვითნებური დაკავების საკითხებზე მომუშავე გაეროს ექსპერტთა ჯგუფი საქართველოთი დაინტერესდა

საქართველოში თვითნებური დაკავების საკითხებზე მომუშავე გაეროს ექსპერტთა ჯგუფი ჩამოვიდა.

ექსპერტთა დელეგაცია 24 ივნისსამდე დარჩება და საქართველოში თავისუფლების აღკვეთის კუთხით არსებულ ინსტიტუციურ და სამართლებრივ ბაზას შეაფასებს.

ათდღიანი ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც სენეგალელი ელ ჰაჯი მალიკ სოუ ხელმძღვანელობს, თბილისის, რუსთავის, ქუთაისის და ბათუმის ციხეებს ესტუმრება და აღმასრულებელი, სასამართლო და ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდება.

სამუშაო ჯგუფი, რომელიც თავისუფლების თვითნებური აღკვეთის ბრალდებების გამოძიების მიზნით 1991 წელს შეიქმნა, თავის წინასწარ დასკვნას საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით 24 ივნისს დაგეგმილ პრესკონფერენციაზე წარადგენს, ხოლო საბოლოო ანგარიში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 2012 წელს წარედგინება.

**მედიანიუსი**

## ბაჩუკი ქარდავა შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში მომზადებულ ცვლილებებს არ იზიარებს

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ბაჩუკი ქარდავა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონში მომზადებულ ცვლილებებს აკრიტიკებს და აცხადებს, რომ რა კონკრეტულ მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს, არ შეიძლება ქვეყნის ხელისუფლებამ კანონმდებლობის კუთხით ისეთი გადაწყვეტილებები მიიღოს, რომელიც მნიშვნელოვნად შელახავს სახელმწიფოს დემოკრატიულობის იმიჯს.

— ქვეყნის სტაბილურობას განსაზღვრავს მისი დემოკრატიის ხარისხი და არა კონკრეტულ ინტერესებს მორგებული საკანონმდებლო ცვლილებები, მით უფრო, როცა საქმე ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაუქმებულ რეგულაციებს, — აღნიშნა ბაჩუკი ქარდავამ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში „შეკრებებისა და მანიფესტავიების შესახებ" კანონში ცვლილებების პროექტი შევიდა, რომლის მიხედვითაც მკაცრდება მანიფესტაციების ჩატარების პროცედურები და წესდება ახალი შეზღუდვები.

**მედიანიუსი**

## ქურდული ტრადიციების მატარებელი ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავეს

შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულია თბილისში მოქმედი ქურდული ტრადიციების მატარებელი ორგანიზებული-დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: დიმიტრი და ბადრი ჯანელიძეები, რომლებიც მოქალაქე ირაკლი ჩხაიძეს დაშინებით, სიცოცხლის მოსპობის მუქარით და ქურდული გარჩევის გზით სისტემატიურად სძალავდნენ თანხას. ისინი დაკავებულები იქნენ მორიგი 10 000 ამერიკული დოლარის გამოძალვის ფაქტზე.

დანაშაული ითვალისწინებს 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. სისხლის სამართლის საქმეს იძიებს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი.

**მედიანიუსი**

# ქართველებს ქაჯობამ ისევ გვაჯობა

**ქვეყანაში ისევ მძიმე მდგომარეობაა. აგრესიასა და სიძულვილს ბოლო არ უჩანს. ბოლო არც მაამებლობას და შეძრომას უჩანს. ქვეყანა კი სულ უკან-უკან მიდის. ამას პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი ქართულ ხასიათს აბრალებს. მიაჩნია, რომ ჩვენი პრობლემა ისაა, რომ გაერთიანება ვერ მოვახერხეთ.**

**რატომ ვართ ასე ცალ-ცალკე, რატომ არის შემძრომი ადამიანი ეშმაკის, რას ნიშნავს „ეროვნული“, რატომ გვახასიათებს ქართველებს განსაკუთრებული შურიანობა, ამის შესახებ ჯანსუღ ჩარკვიანი „ახალ თაობას“ ესაუბრება.**



თეა მარხვაი ე

ჯანსუღ ჩარკვიანი:

— მე შურის განმარტება მხოლოდ სულხან-საბასთან მინახავს. ბევრი ვეძიე, მაგრამ სხვაგან ასეთ განმარტებას ვერ მივაგენი. მსოფლიოში ალბათ არ არსებობს ისეთი ქვეყანა, სადაც შური არ იყოს. მისი განმარტება მაინცდამაინც საბასთანაა. ის ამბობს: „შური არს მწუხარებაი სხვისა კეთილსა ზედა“.

***— ამით რისი თქმა გინდათ, რომ ჩვენში განსაკუთრებით არის შური?***

— რაკი მარტო ჩვენ გვაქვს ასეთი განმარტება, ალბათ ასეა.

***— ეს რისი ბრალია?***

— ბევრი რამის. ჩვენს ქვეყანას მისი არსებობის დღიდან სულ უჭირს. ჩვენ ხშირად ვტრაბახობთ, რომ ილიას მშობელი ქვეყანა ვართ. ოღონდ რატომღაც არ ვამატებთ, რომ ჩვენ ილიას მკვლელი ქვეყანაც ვართ. მთელი ჩვენი ცხოვრება ცალ-ცალკე ვართ.

***— რას გულისხმობთ?***

— კუთხე-კუთხე ვართ დაყოფილი. ეს კუთხეები ქვემოურ-ზემოურად იყოფა. ქვემოურ-ზემოური გაღმა-გადმოღმად არის დაყოფილი.

***— ახლა ალბათ კიდევ უფრო დავიყოფით, პარლამენტი ქუთაისში გადადის, პრეზიდენტი კი თბილისში იქნება...***

— ამასთან დაკავშირებით მე ასეთი შეხედულება მაქვს: „ეკრანიდან სულ გაისმის, მაისში და ივნისში, პარლამენტი — ქუთაისში პრეზიდენტი — თბილისში. მე გავყვირი სიმაღლიდან და მოგმართავთ ბოდიშით, პარლამენტი — სიღნაღში და პრეზიდენტი — ბოლნისში“. ქუთაისში პარლამენტის გადატანა ძალიან ცუდი რამეა. ჩვენ ბევრ შეცდომას ვუშვებთ. ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ ვერ შევერთდით. ჩვენ შეგვიძლია ვიღაცა გადამთიელი მოვიყვანოთ, ოღონდ ჩვენსას პატივი არა ვცეთ. ამიტომაც ვართ ამ დღეში. ჩვენი ხასიათის უკულმართობის შესახებ ამათ ძალიან კარგად იციან და სარგებლობენ კიდევაც. კარგად მახსოვს, როგორ საყვედურობდნენ შევარდნაძეს იმის გამო, რომ პენსიას 150 ლარამდე არ ზრდიდა. ამტკიცებდნენ, ეს შესაძლებელიაო. იმ დროს ქვეყნის ბიუჯეტი იყო 1 მილიარდი. ახლა ბიუჯეტი არის 7 მილიარდი. თუ ამის გაკეთება 1 მილიარდის პირობებში შესაძლებელი იყო, ახლა რატომ არ აკეთებენ. გგონიათ, არ შეუძლიათ? კარგად შეუძლიათ, შეუძლიათ, მაგრამ ასე არ მოიქცევიან.

***— რატომ?***

— კარგად იციან, რომ ყველაზე ადვილი სამართავი ლატაკი და უბედური ადამიანი. ჩვენ ვართ ლატაკები. იმათ კი, ვინც რაღაცა იშოვეს, იმის შიში აქვთ, რომ ნაშოვნი არ დაკარგონ. ამიტომ ყველაფრის ღირსნი ვართ. აკაკი წერეთელი არა ვარ, ერს ვუთხრა: „ფურთხის ღირსი ხარ, შენ საქართველოო“. მაგრამ ვემხრობი დიდ პოეტს. მან სწორი შეფასება გააკეთა. ისევე როგორც დიდმა ილიამ. მან ბრძანა: „ყველა ყრუი და ყველა ცრუიო“. მას მხედველობაში ალბათ მოსახლეობის 51 პროცენტი ჰყავდა. მე ასეთად უფრო ბევრს მივიჩნევ.

***— მაინც რამდენს?***

— ჩემი აზრით, ასეთი მოსახლეობის 70%-ია. ასე რომ, სხვებს ნურაფერს ნუ ვაბრალებთ. რაცა გვჭირს ეს ჩვენს თავს უნდა დავაბრალოთ. ჩვენ მიერ გაკეთებულ არჩევანსაც გადავხედოთ კარგად. ასევე უნდა დავანებოთ ასე საუბარს თავი: „რომ გამოველი ქუჩაში მერე...“. იმ წუთში შედეგი არ მოდის. მთელი შენი ცხოვრება უნდა იფიქრო საქართველოზე და თავისუფლებაზე. ახლა ბევრი ყვირის, თავისუფლება არა მაქვსო. თავისუფლება ასე, თავისთავად არ მოდის.

***— და როგორც თქვენ ბრძანებთ, თავისუფლება ლომთა ხვედრია.***

— თავისუფლება მართლა ლომთა ხვედრია. ის ასე არ მოდის, თავისუფლება უნდა მოიპოვო. ამას ბრძოლა სჭირდება. მალე 80 წლის გავხდები. ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამე მინახავს. რასაც დღეს ვხედავ, ასეთი უბედურება არ შემხვედრია. ერი ასეთ დღეში არასდროს არ ყოფილა. კი ბატონო, იყო თავისუფლებისთვის, ერთგულებისთვის და სიყვარულისთვის ბრძოლა. ამას აკეთებდა ჩვენი ხელოვნები, მწერლები... ახლა ამათ ფეხზე არ ჰკიდიათ მწერლობა.

***— მარტო მწერლობა, ბატონო ჯანსუღ?***

— ამათ ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათ. სხვა შემთხვევაში რობიკო სტურუას ასე არ მოექცეოდნენ. იცით, რატომ ექცევიან ასე? იმიტომ, რომ მასზე უკეთესად დგამენ საქართველოს ცარცის წრეს თუ რაღაცა უბედურებას. თანაც ძალიან მაგრად დგამან. რობიკო კი ეზიზღებათ. იმის გამო სძულთ, რომ ის ბრწყინვალე პიროვნება და უნიჭიერესი კაცია. თქვენ რა, გგონიათ ჭაბუა ამირეჯიბზე გიჟდებიან? არ უნდათ ასეთი გენიოსები, არა.

***— აბა, რანაირები უნდათ?***

— რანაირები და ისეთები, რომლებიც ამათ შეუძვრება. ყველანი ვუყურებთ, რაც ხდება. ბევრი უკვე შეუძვრა. ზოგი გამოდის და გვეუბნება, ეს უფლისგან მოვლენილი კაციაო. სირცხვილია, ხალხო, ასეთი შეფასება.

***— თქვენი აზრით, რატომ კეთდება ასეთი შეფასებები პრეზიდენტის მიმართ. ედუარდსაც ჰყავდა თავისი მომხრე ხელოვნები. ისინი მეგობრობდნენ, მაგრამ არავის უთქვამს ღვითიური მოვლენაა შევარდნაძეო. იმ პიროვნებას ვისაც ახლა ჰგონია საakაშვილი უფლის გამოგზავნილი, ადრე ედუარდზეც ასე იძახდა.***

— მიმხრობი არის ქართული სიტყვა. მიმხრობი უფლისაა. შემძრომი კი ეშმაკისაა. შეძრომა ძალიან ცუდი რამეა. რაკი ედუარდი ახსენეთ, ერთი საინტერესო ამბავი უნდა გავიხსენო. ჯერ კიდევ იმელის პარლამენტში ვართ. ედუარდი არის სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე. რაღაცა მნიშვნელოვანი საკითხი განიხილებოდა. ამასთან დაკავშირებით დიდი აზრთა სხვადასხვაობა იყო. მას უმრავლესობის ნაწილიც კი არ უჭერდა მხარს. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხის გატანით ედუარდი იყო დაინტერესებული. საკითხის გასვლამდე ედუარდმა გამოიარა და მკითხა, რას შვრები ამ წინადადებას ხმას აძლევო. მე ვუთხარი, რომ მხარს არ ვუჭერდი. ედუარმა მიპასუხა როგორც გინდა, ისე მოიქეცი. გესმით, რა ხდებოდა? წარმოიდგინეთ ახლა ასეთი რამე რომ მოხდეს პარლამენტში. ამათ იმას უნდა მისცენ ხმა, რასაც ზემოდან ეტყვიან. ჩვენ კი ამის უფლება გვქონდა. ეს არ ნიშნავდა, რომ ჩვენ ედუარდის მომხრეები არ ვიყავით. მიმხრობასა და შეძრომას შორის დიდი სხვაობაა. ძალიან მიკვირს, როცა ნიჭიერი ხალხი ვიღაცას უძვრება. მათ მინდა მივმართო, რა გჭირთ, რატომ იყენებთ ამ უკიდურეს ფორმას. ეს დიდი უბედურებაა. აკაკი იყო ლოიალური და ამბობდა: არც მიწისა ვარ, არც ცისა. ამათ, კი შეძრომა უნდათ. ამ შეძრომის გამო მთელი ქვეყანაა შავ დღეში. გადახედეთ როგორ ცხოვრობენ ის ქვეყნები, რომლებიც ჩვენთან ერთად იყვნენ საბჭოთა კავშირში. ყველამააწყო ცხოვრება, მარტო ჩვენა ვართ უბედურად. უბედურები იმიტომ ვართ, რომ ამერიკასთან გვინდა შეძრომა. ასე იმიტომ ვიქცევით, რომ გვმართავენ.

***— ვინ გვმართავს, ბატონო ჯანსუღ?***

— ვინ გვმართავს და არაკაცები. ადამიანი, რომელიც არ არის ეროვნული, ქვეყნის სათავეში არ უნდა იყვნენ. ხელისუფლებაში პრეზიდენტიდან მოყოლებული არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც სადაც წავლენ იქ იქნება იმათი სამშობლო. მე რა ვქნა, ვერსად რომ ვერ წავალ. მე ერთი სამშობლო მაქვს, ჩემი საცოდავი საქართველო. ვიბრძვი იმისათვის, რომ ბოლომდე არ გავიყიდოთ. 15 წლის უკან დედა ენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ვიყავი. იქ ერთმა დევნილმა ადამიანმა მკითხა როდის დავიბრუნებთ აფხაზეთსო. მე ვუთხარი, როგორც კი ქართველები ერთმანეთს დავიბრუნებთ მაშინვე დავიბრუნებთ აფხაზეთს.

***— მაშინ მე ასე გკითხავთ, როდის დავიბრუნებთ ქართველები ერთმანეთს?***

— როგორ უნდა დავიბრუნოთ ერთმანეთი, როცა ერთმანეთი არ გვინდა.

***— თქვენ ზემოთ თქვით, რომ თავისუფლებისთვის უნდა ვიბრძოლოთო. დღეს ბრძოლა არა თავისუფლებისთვის, არამედ ამერიკისთვის ერთგულების დასამტკიცებლად მიდის. ეს რაღა უბედურებაა?***

— ეს ჩვენი უბედურებაა. ჩვენ ამერიკას არ უნდა შევუძვრეთ. არც იმას უნდა ვეცადოთ, რომ ყველაფერი ამერიკული გადმოვიღოთ. ამ ქვეყნისგან ბევრი კარგის გადმოღება შეიძლება. თუ ამერიკული რაღაცები გვინდა, მაშინ ამერიკული თავისუფლება მოვიპოვოთ. ერთი გამაგებინეთ, ისაა თავისუფლება, რომ შენ შენი ენა დაკარგო. ინგლისურად ტლიკინი თავისუფლება არ არის. თუ შენი ენის, ქვეყნის და ლიტერატურის ფასი არ იცი, მაშინ არაფერი არ გამოგივა. ჩვენთან ეროვნული იცით, რას ნიშნავს? ერი დაყვანილი ნულამდე. ვიღაცა როგორ არ აპროტესტებს ამ ვითარებას მიკვირს. მიკვირს, როგორ ვერ შეერთდნენ ეს უბედურები.

***— ვინ გყავთ მხედველობაში?***

— ოპოზიციონერები. რატომ ვერ ერთიანდებიან არ მესმის. შეერთდნენ და ხალხი უფრო გაჰყვება. ამათ კი გაერთიანება არ უნდა. მოღალატეებით გაივსო ეს ქვეყანა. საქართველოს ღალატი ღუპავს. და კიდევ ის, რომ სამ დროში არ იციან ადამიანებმა ცხოვრება. წარსული უარყვეს, რაც ჩვენი უბედურებაა. თანაც ესენი საქართველოს წარსულს უარყოფენ. ისე იქცევიან ვითომ თვითონ მოიგონეს დღევანდელი დღე, აწმყო. ჰგონიათ ხვალინდელიც მაგათი იქნება. ამავე დროს პატივს სცემენ თავიანთ დედებს, მამებს, ბებიებს და ბაბუებს. და ბებიამისისას და ბაბუამისისას მიირთმევენ ეგენი. არაფერი არ გამოუვათ. ხალხი გონს მოეგება და თავის სიტყვას იტყვის. მე ამის მჯერა. 26 მაისს აქციის დარბევისას მოხდა საშინელება. რასაც უნდა უპასუხო უარესი საშინელებით.

***— უარეს საშინელებაში რას გულისხმობთ?***

— სროლას არ ვგულისხმობ. ის საშინელება უნდა უარყო, რაც ამათ ჩაიდინეს. თუ ერთად ვიქნებით და უარვყოფთ ამ საშინელებას, უკან დაიხევენ. უკან დახევა ვაჟკაცი კაცის თვისებაა. ესენი ვაჟკაცები არ არიან და თავისი ნებით უკან არ დაიხევენ. ამიტომ უნდა დააძალო და აიძულო. სხვანაირად არაფერი გამოვა.

***— საზოგადოების ნაწილში სერიოზული პროტესტი გამოიწვია იმ ღონისძიებამ, რომელიც „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერას მიეძღვნა. ბევრმა ეს პროვინციალიზმის გამოვლინებად შეაფასა. თქვენ რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?***

— მე თავის დროზე ვთქვი ასეთი რამე — ქაჯობამ გვაჯობა. ახლაც ვიტყვი: ქა-ჯო-ბამ გვა-ჯო-ბა. ეს არის ჩვენი უბედურება. იცით რა არის პროვინციალიზმი? იმ საზოგადოების წევრი თუ ვერ გახდები, სადაც ცხოვრობ. ეგენი საზოგადოებას ებრძვიან. ებრძვიან იმიტომ, რომ თავად ვერ გახდნენ საზოგადოების წევრები. ეგენი არიან უდახვეწილესი ქაჯები. არაფერს არ ნიშნავს თუ ბევრი ენა იცი. საქართველოში

უცხო ენები ბევრმა იცის. აკადემიკოსმა თავაზ გამყრელიძემ 21 ენა იცის. ის დახვეწილი და ვაჟკაცი ადამიანია. მას საპრეზიდენტო პრეტენზიები არასდროს არ ჰქონია. ის თავის საქმეს აკეთებს. ეგრე არა არის საქმე, ამათ რომ ჰგონიათ. მთავარი ქართულის ცოდნაა. თუ უცხო ენებსაც დაამატებ, ამას მხოლოდ მივესალმები. ამათ კი ამ უცხო ენის სწავლა ქართულის იგნორირების და უარყოფის ხარჯზე აკეთებენ. ცდილობენ, დაგვაკარგვინონ ეროვნულობა. უნდათ, რომ ამ ქვეყანაზე პატრიოტები არ იყვნენ.

***— თუმცა, პატრიოტების ბანაკები კი მოიგონეს.***

— ზუსტად ამიტომ მოიგონეს. მიჰყავთ იქ ბავშვები და აგიჟებენ. არ დაიჯეროთ, რომ ამ ბავშვებს პატრიოტებად ზრდიან. უნდათ, რომ ისინი შემძრომებად აქციონ. პატრიოტიზმი იცით რა არის? როცა შენი თავი შენადვე გეყუდვნის. როცა იცი ვისი გორისა ხარ. ჩვენ ხალხს იმის უნარი უნდა ჰქონდეს, რომ იცოდეს, ვინ აირჩიო. არჩევნის გაკეთება ძალიან ძნელია. იმიტომ, რომ სამართლიან არჩევნებს ესენი არ დაუშვებენ. თუმცა, თუ 70% ერთად დავდგებით, დანარჩენი ვერაფერს დაგვაკლებს.

---

## სსე-მ ავარიის საწინააღმდეგო ავტომატიკის ახალი ტექნოლოგია დანერგა

„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ (სსე) ავარიის საწინააღმდეგო ავტომატიკის ახალი ტექნოლოგია დანერგა.

სსე-ს ინფორმაციით, ახალი ტექნოლოგია მიმართულია ენერგოსისტემის სრული ან ნაწილობრივი ჩაქრობის თავიდან ასაცილებლად.

— თუ წარსულში, მაღალი ძაბვის ნებისმიერ ელექტროგადაცემის ხაზზე მომხდარი ავარია ქვეყნის მასშტაბით შეზღუდვებს იწვევდა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შემდეგ, ელექტროსისტემის გათიშვა თითქმის გამოირიცხება, — აცხადებენ სსე-ში.

სახელმწიფო ელექტროსისტემის ინფორმაციით, ამ ავარიის საწინააღმდეგო ავტომატიკა დამონტაჟდა რამდენიმე ობიექტზე და წარმოებს ტესტირება რეალურ რეჟიმში, რის გამოც ამაღამ, 01:00-დან 01:30 საათამდე ელექტროენერგიის მიწოდება აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ მომხმარებლებს შეეზღუდება.

**ინტერპრესნიუსი**

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგიწყალოთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

## რუსეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების მოცულობა გაიზარდა

2011 წლის მაისში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 93.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 21.0 მლნ აშშ დოლარით, ანუ 29.2 პროცენტით მეტია 2010 წლის მაისის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ამ პერიოდში ფულადი გზავნილების მოცულობა გაიზარდა რუსეთიდან (10.0 მლნ აშშ დოლარით), ყაზახეთიდან (3.6 მლნ აშშ დოლარით), იტალიიდან (3.0 მლნ აშშ დოლარით), აგრეთვე ზოგიერთი სხვა ქვეყნიდან, — აცნობეს „მედიანიუსს“ საქართველოს ეროვნული ბანკიდან.

უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 90.4 პროცენტი იმ 10 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე (რუსეთი, საბერძნეთი, იტალია, აშშ, ყაზახეთი უკრაინა, თურქეთი, ესპანეთი, ინდოეთი, ისრაელი) მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ მაისში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 10 ქვეყანაზე გასული წლის მაისში მთელი ფულადი გზავნილების 90.9 პროცენტი მოდიოდა.

2011 წლის მაისში საქართველოდან საზღვარგარეთ 6.7 მლნ აშშ დოლარი გადაიგზავნა, ნაცვლად 5.8 მლნ აშშ დოლარისა გასული წლის მაისში.

**მედიანიუსი**

## ოჩამჩირის რაიონში ბანკის კუთვნილი ავტომანქანიდან 5 მილიონი რუბლი გაიტაცეს

ოჩამჩირის რაიონის სოფელ გუმპში, ბანკის კუთვნილ ავტომანქანას თავს დაესხნენ და 5 მილიონი რუბლი გაიტაცეს. აღნიშნულის შესახებ „აპსნი პრესი“ იტყობინება.

თავდამსხმელებმა თავდასხმისას „კალაშნიკოვის“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენეს, რის შემდეგაც უროს გამოყენებით მანქანის მინა ჩაამსხვრიეს და ფული გაიტაცეს.

თავდასხმის შედეგად ავტომობილის მძღოლი დაურ გუმბა და ინკასატორი გურამ ჯინჯოლია დაიჭრნენ. ამ დროისათვის დადგენილია, რომ თავდამსხმელები Xქჰ ტიპის ორი ავტომობილით იყვნენ, რომლებითაც დანაშაულის ადგილიდან მიიმალნენ. ერთ-ერთი ავტომობილი ოჩამჩირის რაიონში მოგვიანებით დამწვარი იპოვეს.შემთხვევის ადგილას სამართალდამცავები მუშაობენ. მიმდინარეობს გამოძიება.

**მედიანიუსი**

## იაპონიის სანაპიროზე გამორიყულ სეიფებში 12 მლნ დოლარზე მეტი თანხა იდო

იაპონიის პოლიციამ ზღვის სანაპიროზე გამორიყულ სეიფებში 12 მილიონ დოლარზე მეტი იპოვა. ამჟამად პოლიცია მიწისძვრისა და ცუნამისგან დაზარალებულ რაიონებს ასუფთავებს.

უცხოური მედიის ინფორმაციით, თანხის დიდი ნაწილი საოჯახო სეიფებში იყო შენახული. სეიფებში იდო აგრეთვე პირადი დოკუმენტებიც, რამაც გააადვილა მეპატრონეების დადგენა და მოძებნა. ტელეეთერით აჩვენეს, როგორ დაალაგეს პოლიციელებმა ნაპოვნი თანხა ქაღალდის დიდი ზომის ფურცლებზე და დააუთოვეს კუპიურები.

ცნობისთვის: იაპონიაში 9.0 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა წელს, 11 მარტს მოხდა, რასაც ცუნამი მოჰყვა. სტიქიას ატასობით ადამიანი ემსხვერპლა, სდაინგრა დასახლებული პუნქტები, ზარალმა კი 312 მლრდ დოლარს მიაღწია.

**მედიანიუსი**

# ეუთო მედიის თავისუფლებაზე კანონმდებლობის სრულყოფას მხარს უჭერს

ნანა მიშელაშვილი



ეუთო მედიის თავისუფლების დაცვის კუთხით კანონმდებლობის სრულყოფას უჭერს მხარს. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი პეტროს ეფთიმიუ პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს შეხვდა, რის შემდეგაც ერთობლივი ბრიფინგი გაიმართა.

— მხარს ვუჭერთ სრულყოფას, რეფორმებს საარჩევნო კოდექსსა და სარჩევნო გარემოსთან მიმართებაში. რასაკვირველია, კანონმდებლობას, რომელიც იქნება სრულყოფილი მედიის თავისუფლების დაცვის კუთხით და ჟურნალისტების დაცვის ასპექტში, — აღნიშნა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა.

პეტროს ეფთიმიუს თქმით, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა ასევე მხარდაჭერას უცხადებს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების სრულყოფასა და რეფორმირებას.

□ — როგორც მე მესმის, ამ საკითხებზე არის ფართო კონსენსუსი პოლიტიკურ პარტიებს შორის, როგორც პარლამენტს შიგნით, ასევე მის გარეთ. ჩვენ საპარლამენტო ასამბლეაში გამოვხატავთ ერთსულოვნებას, სოლიდარობას სადაც არის საუბარი ამ ძირითადი ფასეულობების დაცვაზე, — აღნიშნა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა.

ეუთო ჟენევის მოლაპარაკებების გაგრძელებას მხარს უჭერს.

— ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა და ეუთო სრულ მხარდაჭერას უცხადებს ჟენევის ფორმატის მოლაპარაკებებს, რათა არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტა მოხერხდეს, — აღნიშნა ეფთიმიუმ.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ბრიფინგზე ისაუბრეს, ეუთოს მისიას შეეხება.

— ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეუთოს მისიის ყოფნა აუცილებელია, ჩვენ გვჭირდება ეუთოს მისია აქ, — აღნიშნა ეფთიმიუმ და აქვე დასძინა, რომ ამ განცხადებას მხოლოდ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სახელით აკეთებს.

გუშინ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი პეტროს ეფთიმიუ საპარლამენტო ოპოზიციისა და უმრავლესობის წევრებს შეხვდა.

საქართველოში სტაბილურობის და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად ეუთოს როლის გააქტიურებაზე ისაუბრეს საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა შეხვედრაზე.

საპარლამენტო ოპოზიციის წევრებმა შეხვედრაზე განაცხადეს, რომ უსაფრთხოებისთვის თანამშრომლობაში არსებული პრობლემების თავი და თავი რუსეთის ფედერაციაა, რომელიც დღემდე იყენებს ვეტოს უფლებას და ეუთოს საქართველოში მუდმივი მისიის ყოლის საშუალებას არ აძლევს, რომელიც თავის მხრივ, მიმდინარე ვითარების მონიტორინგს მოახდენს.

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ ერთობლივი ძალისხმევით ყველა დემოკრატიული პროცესი წარმატებით წარიმართება და საქართველო ჩადგება განვითარებული, დემოკრატიული სახელმწიფოების რიგებში.

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი მმართველი გუნდის წევრებსაც შეხვდა. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ყურადღება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, საგარეო პოლიტიკაზე და ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებზე გამახვილდა.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის, აკაკი მინაშვილის განცხადებით, შეხვედრაზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეუთოს მისიის აღდგენის აუცილებლობაზე ისაუბრეს.

— პირველ რიგში, რუსეთის ფედერაცია უნდა დარწმუნდეს, რომ საჭიროა ეუთოს მისიის აღდგენა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, — აღნიშნა აკაკი მინაშვილმა. მისივე თქმით, უმრავლესობის წევრებმა სტუმრებს დეტალურად გააცნეს ის რეფორმები, რომლებიც ქვეყანაში სხვადასხვა მიმართულებით და სხვადასხვა სფეროში ხორციელდება.

# ნინო ბურჯანაძე ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს, პეტროს ეფთიმიუსს შეხვდა



„დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს" ლიდერი და „სახალხო კრების" აღმასრულებელი საბჭოს წევრი ნინო ბურჯანაძე გუშინ „თბილისი მარიოტში" ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს პეტროს ეფთიმიუსსშეხვდა.

როგორც „მედიანიუსს" „დემოკრატიული მოძრაობიდან" აცნობეს, ნინო ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა 26 მაისის მოვლენების გამოძიებას მოითხოვს - ამის შესახებ მან ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.შეხვედრაზე საუბარი საქართველოში რეალურად არსებულ ვითარებას შეეხო.

— მოხარული ვარ, რომ მქონდა შესაძლებლობა, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტთან ერთი საათის განმავლობაში მესაუბრა, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს, საქართველოში ჩამოსულ უცხოელებთან ჩემი შეხვედრა დაბლოკოს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში უცხოელ სტუმარს უთხრეს, რომ ბურჯანაძემ ქვეყანა დატოვა. საბედნიეროდ, მე მაქვს საკმარისი კონტაქტები იმისთვის, რომ ასეთი შეხვედრები ჩემი თანდასწრებით მიმდინარეობდეს. დღევანდელ შეხვედრაზე ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს საქართველოში არსებულ რეალურ ვითარებასთან დაკავშირებით ვესაუბრე, მივაწოდე ყველა დოკუმენტი იმის დასადასტურებლად, რომ 26 მაისს საქართველოში ახალი დიქტატორი დაიბადა, რომელიც დემოკრატიის ფასადს უკან ადამიანებს ყოველდღიურად უკანონოდ იჭერს და ასამართლებს. დარწმუნებული ვარ, რომ ამ შეხვედრის შემდეგ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე გამოძიების კატეგორიული მოთხოვნის საკითხი აუცილებლად დაისმება, — განაცხადა ბურჯანაძემ.

პეტროს ეფთიმიუსთან შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოს პარლამენტის მიერ შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებებს.

— უცხოელ სტუმარს ვუთხარი, რომ ამის შემდეგ საქართველოში მანიფესტაციის ჩატარება საერთოდ შეუძლებელი გახდება. ქვეყანაში ბელორუსიზაციის კი არა, მინი-საბჭოთა კავშირად გარდაქმნის პროცესი მიმდინარეობს და ამას ხელი მხოლოდ ჩვენმა და ხალხის აქტიურობამ შეიძლება, შეუშალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ დიქტატურას, რომელშიც თავს უსაფრთხოდ ვერავინ იგრძნობს, — დასძინა ნინო ბურჯანაძემ.

**მედიანიუსი**

# ხელისუფლება მარტო სპეცრაზმის იმედად არ აპირებს დარჩენას

ნონა ცაბა ე



## ინტერვიუ ექსპერტ სოსო ცისკარიშვილთან

***— ბატონო სოსო, როგორც ცნობილია, ხელისუფლება სათავისოდ ახალ-ახალ კანონებს ქმნის. ამჯერად ხელისუფლებას შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში ცვლილებები შეაქვს. ოპოზიციის დიდმა ნაწილმა ამ ნაბიჯს არაკონსტიტუციური უწოდა, როგორი იქნება თქვენი, როგორც ექსპერტის შეფასებები?***

— ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც რაიმე საპროტესტო აქციებს მოჰყვება საკანონმდებლო ინიციატივები ხელისუფლებისა, საერთო სათაურით — შიშს დიდი თვალები აქვს. ამიტომ ჩვენი დამფრთხალი ხელისუფლება, რასაკვირველია, აღარც ზომიერებაზე ფიქრობს და აღარც გონიერებაზე საკუთარი წინადადებებისა. დღესაც ამის მოწმენი გახლავართ. დამფრთხალი ხელისუფლება, რომ ვერაფერი პერსპექტივის მომტანია ქვეყნისთვის, ამის მტკიცება ზედმეტად მიმაჩნია. რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა, დიდი საფრთხის წინაშეა საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც ინსტიტუტი. ძალიან გამიკვირდება თუ ეს ორგანო აღმოჩნდება თავის სიმაღლეზე და დაიწუნებს ახალ შეთავაზებებს, მაგრამ ვფიქრობ, როგორც კი გაიგებს, რომ კუბლაშვილი და თაქთაქიშვილი არიან, ეს ორი გენიოსი იურისტი, ყველა ინიციატორის ავტორი, დიდი ალბათობით საკონსტიტუციო სასამართლო თავს დახრის, თითს მოკაკვავს და დათანხმდება ყველა იმ სიავეს, რაც წარმოჩენილია ხელისუფლების მიერ, როგორც შველა სახელმწიფოსი. საინტერესოა, რასაკვირველია, რეაგირება საზოგადოების, ისევე როგორც პოლიტიკური სპექტრის ასეთ სიახლეებზე, მაგრამ ნათქვამია — ვერ დაიჭირავს სიკვდილსა, გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანიო. თუ რომელიმე პოლიტიკურ ძალას საკუთარი ნამოქმედარის გამო პოლიტიკური სიკვდილი ელის, ვერანაირი თითიდან გამოწოვილი კანონი მას ვერ გადაარჩენს.

***— ფიქრობთ, რომ ეს არაფრის მომტანი იქნება ხელისუფლებისთვის? ხელისუფლება, როგორც წესი, ცდილობს, რომ კანონიც და კონსტიტუციაც თავის თავზე მოირგოს...***

— რასაკვირველია, როდესაც მათ ეცოტავებათ საკუთარი მრავალათასიანი სპეცნაზი, როგორც დაცვის საშუალება, ახლა ისინი საკანონმდებლო ბარიკადებსაც ქმნიან თავის გარშემო, ვაითუ რომელიმე გაბრაზებულ თანამემამულეს ხელი წაუცდა ასეთი კანონის ინიცირების ავტორთა ხმისკენ, მაშინ ის უკვე გაფრთხილებული იქნება, რომ ასეთ შემთხვევაში მას სამუდამო პატიმრობა ელის. ქართული დემოკრატიის წინსვლა აშკარაა, ოღონდ ამ შემთხვევაში ეს არც დემოკრატიაა და არაც წინსვლა.

***— მოვისმინე შეფასებები, რომ ეს ყველაფერი აგონიაში ჩავარდნილი ხელისუფლების პოლიტიკააო და როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანს გაძლებს ამ მდგომარეობაში ეს რეჟიმი?***

— იცით, აგონიაც ინდივიდუალური მახასიათებელია ორგანიზმისა, ოღონდ თუ ინდივიდის შემთხვევაში ეს წუთები საათებით განისაზღვრება, აგონირებული ხელისუფლება შეიძლება ამ ვითარებაში წლობითაც დარჩეს თუ მას მკურნალად არ მოევლინა თავად ხალხი.

***— თქვენ განაცხადეთ საინტერესო იქნება საზოგადოების რეაქციაო, თუმცა, ხალხის აზრი და განწყობა არასდროს არ გაუთვალისწინებია ხელისუფლებას და ალბათ ამ შემთხვევაშიც ახალს არაფერს უნდა ველოდოთ...***

— ხელისუფლება მივიდა უკვე იმ ზღვარამდე, როდესაც აღარც ის ითვალისწინებს საზოგადოების აზრს და აღარც საზოგადოება თვლის თავს ვალდებულად მისი აზრის გათვალისწინებაზე.

***— ბატონო სოსო, რაც შეეხება რვიანს, ისინი აცხადებენ, რომ სამოქალაქო კუთხით გააქტიურდებიან, როგორ ფიქრობთ, ცოტა დაგვიანებული ხომ არ არის ეს პროცესი და თუ უნდა ველოდოთ რაიმე დადებით შედეგს?***

— დაგვიანებული შეიძლება ყოფილიყო იმ შემთხვევაში თუ რაიმე შედეგი დადგებოდა და საკითხი, რომლის ირგვლივაც არის ასეთი ვნებათაღელვა, დასრულდებოდა და ჩაითვლებოდა გადაწყვეტილად. ვინაიდან შედეგი არ ჩანს, ეს ის პერიოდია, როდესაც შეიძლება ვთქვათ, რომ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. მე ვფიქრობ, ამასთან დაკავშირებით თავიდანვე გადაჭარბებული მოლოდინები იყო, როდესაც ისინი ფართო სამოქალაქო მხარდაწერის გარეშე ცდილობდნენ, რომ დაერწმუნებინათ ხელისუფლება საკუთარი წინადადებების სიკეთეში. თუ სამოქალაქო საზოგადოება იქნება დარწმუნებული რვიანის ქმედებათა მიზანმიმართულებაში და სიმტკიცეში, რასაკვირველია, შედეგი შეიძლება უკეთესი დადგეს. ასეთი საკანონმდებლო ველის არსებობის შემთხვევაში, რომელიც ჩაიფიქრა დღეს ხელისუფლებამ, კიდევ უფრო იზრდება ინტერესი რვიანის საქმიანობის მიმართ, რადგან ნებისმიერი სახით გამოხატული შიში ჯოხიანი ადამიანის მიმართ, რასაც ვატყობ ჩვენს ხელისუფლებას, იქნება აბსოლუტურად არაადეკვატური, ხელში საარჩევნო ბიულეტინის დამჭერი ადამიანის მიმართ. არადა, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ხელისუფლებას ძალადობრივი ქმედებები ხელისუფლების შესაცვლელად, ბევრად უფრო მეტ სიმშვიდეს გვრის და სიამოვნებით თავად უწყობს ხელს ასეთი ვითარების შექმნას და შემდგომ ხალხზე შურისძიებით გადადის კვლავ საკუთარი ძალაუფლების ნირვანაში და მისთვის ყველაზე საშიში შეიარაღებული ადამიანი გახლავთ, საქართველოს მოქალაქე საარჩევნო ბიულეტენით ხელში. ამავდროულად თავადვე ოსტატურად ნერგავენ ნიჰილიზმს საზოგადოებაში არჩევნების და ამჯერად რვიანის საქმიანობის მიმართ. ეს მათ გამოსდით, ხოლო ბევრი ჩვენი სულსწრაფი, ან კონკურენტის მიმართ დაუნდობელი სუბიექტი საზოგადოებისა ნამდვილად ხელს უწყობს ჩვენს ხელისუფლებას ასეთ ზეწოლაში ზოგადად არჩევნებისა და კონკრეტულად პოლიტიკური რვიანის მიმართ.

***— ყოველდღიურად მიდის ამაზე საუბრები, რომ რვიანში განხეთქილებაა, დაპირისპირებაა და ასე შემდეგ...***

— იცით, განხეთქილება შეიძლება რომელიმე კონკრეტული საკანონმდებლო მუხლის მიმართ წარმოიშვას. ჯერ ცხადია, ხელისუფლებას არ უნდა რაიმე სიკეთე საარჩევნო გარემოს რომ წაადგებოდეს, ისე ჭიმავს დროს. დიდი ალბათობით ის შემოიღებს და დაიწყო კიდეც გაცემა ახალი პირადობის მოწმობებისა. ოღონდ ცხადია, უამრავი ისეთი მონაცემი დაჰყვება თან, რომელიც სულაც არ სჭირდება საარჩევნო პროცესს ან პირადობის მოწმობებს. მერე მოიმიზეზებს დროის და ფულის ნაკლებობას და იტყვის ძველი და ახალი პირადობის მოწმობები შეიძლება იყოს გამოყენებული. ამიტომ ერთ-ნახევარ მილიონ, როგორც მინიმუმ ახალ პირადობის მოწმობას გასცემს, ხოლო ძველის განადგურების პროცესს ვერავინ დაესწრება. გამოვა ჭკვიანი სახით ბატონი ვაშაძე, ადეიშვილის ფავორიტი და იტყვის, რომ განადგურებულია ძველი პირადობის მოწმობები. ამ დროს კი გაგვახსენდება, რომ ეს ის მოხელე გახლავთ, რომლის სამსახურმაც თუნდაც უკანასკნელ ადგილობრივი არჩევნების წინ 400 სულზე მეტი დაარეგისტრირა როგორც ამომრჩეველი ერთ ეკლესიაში და ამაზე პასუხი არავის უგია. ამიტომ გასაკეთებლისა რა მოგახსენოთ, რისი გამკეთებლები არიან, ვხედავთ, მაგრამ გასაყალბებელი რომ კიდევ ბევრია, ამაში ეჭვი არ ეპარება ნაციონალური მოძრაობის არც ერთ ლიდერს.

***— ამ ფონზე რისი იმედი უნდა ჰქონდეს საზოგადოებას, ან რვიანს, დაუთმობს რამეს ეს ხელისუფლება?***

— საზოგადოებას და რვიანს უნდა ჰქონდეს ერთმანეთთან მიახლოებული იმედები, რომ თუ არ შედგა სამართლიანი არჩევნები და თუ ხელისუფლებამ კვლავ მოირგო უტიფრად ყველაფერი, იგი აღარ იქნება მარტოდ შეტოვებული პირისპირ ამ ხელისუფლების წინააღმდეგ და რომ არაერთი გამოცდილება სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული ყალბი არჩევნებისა, იქნება ობიექტური რეალობა საქართველოს შემთხვევაშიც. რადგან ერთია, როგორ აღგიქვამს მსოფლიო ჯოხიანი და მუზარადიანი კაცის შერკინებას, თავისი მომწამლავი გაზებითაც და მეორეა ის, როგორ აღიქვამს ის უტიფრობას და ძალადობას, საარჩევნო ბიულეტინით შეიარაღებულ მოსახლეობასთან.

***— ალბათ, დიდი იქნება საერთაშორისო საზოგადოების როლი ამ შემთხვევაში...***

— იზრდება ეს როლი, მაგრამ ვხედავთ, რომ ჩვენ სულაც არ ვართ გამონაკლისი და სია ქვეყნების საკმაოდ დიდია, რომელიც შველას ელოდება საზღვარგარეთიდან. არ ვგულისხმობ იმ ტიპის შველას, რომელიც აფრთხობს ხელისუფლებას და იწვევს რუსოფობიას. მე ვგულისხმობ სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომლის მიმართაც პრეტენზიებიც და თხოვნებიც გააჩნია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ყველა იმ ქვეყნის მოსახლეობას, სადაც მიმდინარეობს ღია ბრძოლა ადგილობრივი დიქტატურის წინააღმდეგ.

***— საუბრის ბოლოს სახალხო კრების ლიდერების შესახებაც მინდა რომ გკითხოთ, მათი შემართება ისევ ისეთია, როგორიც თავიდან იყო და საუბრობენ, რომ არ დანებდებიან ამ ხელისუფლებას, მაგრამ რა შანსები აქვთ მათ?***

— ვერ გეტყვით, ამ სამზარეულოში არ ვარ ჩახედული, მაგრამ თუ რაიმე დამაჯერებელი არგუმენტები გააჩნიათ საკუთარი ქმედების წარმოსაჩენად და საზოგადოების წარმატებაში დასარწმუნებლად, მაშინ შესაძლებელია რაიმე ტიპის მხარდაჭერას ელოდნონ, მაგრამ ხვალ გეტყვი, ზეგ გეტყვი, რას გავაკეთებ და ჯერ მოდი და მერე გაიგებ, ეგ გზა უკვე გავიარეთ, თანამოაზრეები ასეთ გზაზე არ დადიან, ასე შეიძლება გაიყოლიო მხოლოდ თანამზრახველი. ხოლო თანამზრახველთა ჯგუფები რამდენად სიკეთის მომტანნი იქნებიან ზოგადად ქვეყნის დემოკრატიული პერსპექტივისთვის, ამის გარანტიის მიმცემი არ არსებობს არც ერი ძალა ამქვეყნად.

# საქართველოში მიტინგების ჩატარება შეუძლებელი გახდება

ნანა მიშელაშვილი

**„მთავარია, ნუ იქნება ბუნტი“ — ეს ფრაზა ოპოზიციონერმა დეპუტატმა ნიკა ლალიაშვილმა „შეკრებებისა და მანიფესტაციის შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებზე საუბრისას თქვა. გუშინ ნიკა ლალიაშვილმა პარლამენტში ბრიფინგი გამართა და ის ცვლილებები გააპროტესტა, რომელიც უმრავლესობის წევრების მიერ არის მომზადებული.**

**ნიკა ლალიაშვილის განცხადებით, აღნიშნული ცვლილებები კიდევ უფრო ამკაცრებს შეკრებებისა და მანიფესტაციების წესს და პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის სახელმწიფო ადმინისტრაციულ შენობებთან მანიფესტაციების მოწყობას.**



— ეს ყველაფერი არის გამოძახილი 26 მაისის მოვლენების და მცდელობაა, რომ ლეგიტიმაცია მოხდეს იმ კანონდარღვევების, რასაც 26 მაისს ჰქონდა ადგილი, — აღნიშნა ნიკა ლალიაშვილმა.

დეპუტატმა შემაშფოთებელი უწოდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების უგულებელყოფას. თავის დროზე, ქრისტიან-დემოკრატებმა ისტორიული გადაწყვეტილება უწოდეს მანიფესტაციების კანონში მთელი რიგი აკრძალვების გაუქმებას. მაშინ საკონსტიტუციო სასამართლომ პარლამენტის მიერ მიღებული კანონიდან რამდენიმე მუხლი არაკონსტიტიურად სცნო.

— ჩვენ მაშინ აღვნიშნეთ, რომ ძალიან ძვირი ფასის გადახდა მოუწევდათ იმ მოსამართლეებს, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო. არა მარტო მოსამართლეებს, არამედ მთელ საზოგადოებას ძვირი ფასის გადახდა მოუწევთ ამ გადაწყვეტილებით, რომელიც დარწმუნებული ვარ, აპლოდისმენტების ქვეშ იქნება მიღებული საპარალამენტო უმრავლესობის მიერ. პრაქტიკულად, წერტილი დაესმევა ქვეყანაში ყველაზე მაღალი ინსტანციის არსებობას, — აღნიშნა ლალიაშვილმა.

დეპუტატი ამბობს, რომ ქრისტიან-დემოკრატები აპირებენ ამ ფაქტის შესახებ დასავლელ პარტნიორებს, სართაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს აცნობონ, რომლებიც საქართველოში არიან აკრედიტებული. ამ მიზნით კვირის ბოლოს დიპლომატიურ წარმომადგენლებს შეხვდებიან, ასევე იგეგმება კანონპროექტის გადაგზავნა ვენეციის კომისიაში. ამ პროექტის მიღების შემთხვევაში, ოპოზიციური ფრაქცია მის გასაჩივრებას საკონსტიტუციო სასამართლოში გეგმავს.

— შესაძლებელია უმრავლესობამ ყურად იღოს და ხელი არ მოაწეროს ხელი განაჩენს, რომლის მიხედვითაც ამ ქვეყანაში დემოკრატია დასრულდება თუკი რაიმე ჩანასახი ჯერ კიდევ დარჩენილა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საკონსტიტუციო სასამართლო არის სწორედ ის ინსტანცია, რომელიც უნდა განაპირობებდეს დემოკრატიის არსებობას. იმედი მაქვს, რომ უმრავლესობა ხელს არ მოაწერს და ხმას არ მისცემს მართლა ტირანულ კანონს, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, — აღნიშნა ლალიაშვილმა.

დეპუტატმა არაკონსტიტუციური უწოდა ცვლილებას, რომლის მიხედვითაც ერთი ადამიანი არ შეიძლება გახდეს შეკრებებისა და მანიფესტაციების ინიციატორი.

ლალიაშვილის თქმით, საუბარია შეზღუდვებზე, რომელიც თუ გავითვალისწინებთ 20 მეტრიან რადიუსს იმას ნიშნავს, რომ პრაქტიკულად ქუჩის გადაკეტვა გამოდის. ამის მაგალითად ლალიაშვილმა დაასახელა უზენაესი სასამართლო, სადაც 50 კაციც რომ შეიკრიბოს 20 მეტრის რადიუსით, ავტომატიურად ქუჩის გადაკეტვა მოხდება, რაც მიტინგის დაშლის საფუძველი ხდება.

— ანუ ამ ქვეყანაში პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება მიტინგებისა და მანიფესტაციების ჩატარება, — აღნიშნა ლალიაშვილმა.

ოპოზიციონერი დეპუტატის შეფასებით, უმრავლესობა საერთაშორისო აზრს არნაირ ანგარიშსს არ უწევს.

— ქვეყანა ასეთი გადაწყვეტილებებით პრაქტიკულად მიდის თვითიზოლაციისკენ, ანუ საერთაშორისო აზრს არანაირი მნიშვნელობა უკვე აღარ ენიჭება. მთავარია, შიგნით იყოს სტაბილურობა, მთავარია ნუ იქნება ბუნტი. ეს არის მთავარი დევიზი ხელისუფლების, — ასეთია ნიკა ლალიაშვილის პოზიცია.

ოპოზიცია საკუთარ უარყოფით მოსაზრებას ახალ ცვლილებებთან დაკავშირებით კომიტეტებში განხილვის დროს დააფიქსირებს.

# დემოკრატიის საინტერესო ტენდენცია

ბოლო ორ-სამ წელიწადში დემოკრატიის საინტერესო ტენდენციაა ჩვენ ქვეყანაში — კანონები მხოლოდ პრაქტიკიდან გამომდინარე იწერება.ასე იყო 2009 წელს, როდესაც რუსთაველის გამზირზე ვისთვის საკნები, ვისთვის გალიები და ვისთვის რკინის კონსტრუქციები დაიდგა. იყო სირცხვილის კორიდორები, ბევრი კვერცხითა და წყლით თავდასხმა.. . შედეგი კი იყო მყისიერი. (ამ სიტყვას წინა მოწვევის პარლამენტიდან მოყოლებული, ხშირად გაიგონებთ. "მყისიერი რეაგირება" საპარლამენტო უმრავლესობის საყვარელი ტერმინია).

მყისიერი რეაგირება მოჰყვა ე.წ. 9 აპრილის აქციებს და რკინის კონსტრუქციებით ქუჩის გადაკეტვა აიკრძალა; ადმინისტრაციული პატიმრობა 90-დღემდე გაიზარდა, აიკრძალა ქუჩაში წარწერების გაკეთება, ადმინისტრაციული შენობების შესასვლელიდან 20 მეტრში მანიფესტაციის გამართვა და ა.შ.

მაშინვე აფორიაქდნენ აქციონერი ოპოზიციონერები, მალე დაგვიდგენენ ტანსაცმლის ფერს, რითაც აქციაზე უნდა მივიდეთ და რა ზომის ფეხსაცმელი უნდა გვეცვასო დაანოსნდა, რომ ქვეყნისთვის აქციების კიდევ ერთ ტალღას უნდა გადაევლო, თუმცა, ეს ყველაფერი ხანმოკლე, გაუგებარმიზნიანი და ზედმეტად სისხლიანი აღმოჩნდა... რკინის კონსტრუქციები აღარ, მაგრამ 2011 წლის აქციების ნიშა თეთრი ხელკეტები გახდა, რომელთაც ე.წ. შეფიცულებისა თუ აქციის რიგითი მოხალისე მონაწილეების გარდა, "გადაცმული" ე.წ. სამართალდამცველებიც ოსტატურად იყენებდნენ... ხო, მაშინ არც დედაქალაქის მერის ვიდეოკონფერენცია ყოფილა და არც აქციებით „შეწუხებული“ მოქალაქის კითხვა „ფეისბუქზე“, დედაქალაქის მერისთვის განკუთვნილი. წელს კი, კითხვაც იყო, თუმცა არ ვიცი, ვინ შეწუხდა ისეთი, ვისი ბიზნესი შეფერხდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმდებარე ტერიტორიაზე და ვინ "მოითხოვა პასუხი" ხელისუფლებისგან. მაგრამ, შედეგი, ამ შემთხვევაშიც მყისიერი იყო. აი, ისიც — შეკრებისა და მანიფესტაციის პარალელურად, ადგილობრივი მოსახლეობისა და მოვაჭრეების უფლებების დაცვა სავალდებულო იქნება. კანონპროექტით დგინდება, რომ შესაბამის ორგანოს აქვს ვალდებულება, დაიცვას ბალანსი შეკრების თავისუფლებასა და იმ პირთა უფლებებს შორის, ვინც ცხოვრობს, მუშაობს, ვაჭრობს და აქვს ბიზნესი იმ ადგილებში, სადაც შეკრება მიმდინარეობს. კანონში ცალსახად ჩაიწერება, რომ ამ პირებს ხელი არ უნდა შეეშალოთ, რათა განაგრძონ თავიანთი საქმიანობა. ამ მიზნით, შეიძლება დაწესდეს დროისა და ადგილის შეზღუდვა და მოხდეს ალტერნატიული ვარიანტების შეთავაზება.

ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ბალანისის შემფასებელი ვინ იქნება? როგორ უნდა გაითვალოს ბალანსი დაზარალებულ „ბიზნესსა“ და თუნდაც იმ თონის მცხობელს შორის, რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებლის პირდაპირ ტერიტორიაზე მდებარეობს და სადაც მთელი აქციის დროს, მუდმივი რიგი იყო ან მზესუმზირის, მიწის თხილის და სასმელი წყლის ფასი რომ ორმაგდება ხოლმე? ან როგორ უნდა მოხდეს ბალანსის დაცვა ციხეში „გაურკვევლად“ გარდაცვლილი პატიმრის მშობელსა და „ვინც ვაჭრობს და აქვს ბიზნესი“-ს შორის? მოკლედ, მთავარია ეს დათქმა იქნება და შემდეგი აქციების ტალღისას კი მას ვინ როგორ და რისთვის გამოიყენებს, არ დაიმალება და ვნახავთ..ხო, მერმა ისიც თქვა, იდგნენ და სვამდნენო; 21 მაისიდან 26 მაისამდე გვარწმუნებდნენ, რომ ეს აქცია, უბრალოდ, ბომჟების აქციაო, მიდით და ნახეთო... მივედი, ვნახე კი, სმაც იყო, მაგრამ ის ხალხიც იყო, ვისაც უსამართლობასთან ბრძოლა უნდოდა... მოკლედ, შემდეგი აქციების ტალღისას ნაბახუსევზე გამოსვლა აქციაზე თუ მოგინდა, ან „მამაპაპური პურის ჭამა“ კარგ "ჭაჭასთან" ერთად და მთვრალი, როგორც წესი გაურჩდი და ქართულ შეურაცხყოფად მიიღე დალევის აკრძალვა, 15 წუთში, წყლის ჭავლი ან პოლიციელის ხელკეტი გამოგაფხიზლებს. აი, ამიტომ - აქციის მონაწილეების მიერ ალკოჰოლის მასობრივი გამოყენება მისი დაშლის მიზეზი გახდება. „შეკრებებისა და მანიფესტაციების“ შესახებ კანონში ცვლილებების პროექტით დგინდება, რომ თუ აქციის მსვლელობისას მასობრივად აქვს ადგილი იმ გარემოებას, რომ მონაწილეებს აქვთ ისეთი საგნები ან ნივთიერებები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ან შეუძლია შეუქმნას შეკრების ან მანიფესტაციის სხვა მონაწილეებს ან სხვების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას; ასევე, თუ აქვთ ცრემლსადენი, ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების და მომწამვლელი ნივთიერებანი ან ალკოჰოლიანი სასმელები, შეკრება და მანიფესტაცია დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მოთხოვნისთანავე. თუ მანიფესტაცია არ შეწყდა, კანონპროექტში ცალსახად წერია, რომ "სამართალდამცავი ორგანოები შეკრების ან მანიფესტაციის მსვლელობის შესაწყვეტად და მის მონაწილეთა დასაშლელად გამოიყენებენ საერთაშორისო სამართლითა და საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ზომებს". აქციის დაშლა იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ აქციის პასუხისმგებელმა პირებმა აქციის მონაწილეების მიერ დარღვევების აღმოფხვრა გაფრთხილებიდან 15 წუთში ვერ შეძლეს.

პოლიციელის ავტომანქანაზე თავდამსხმელებს უვადო პატიმრობა ემუქრებათ. ცვლილება „სისხლის სამართლის კოდექსში“ შედის. კანონპროექტის თანახმად, კოდექსს ახალი მუხლი ემატება, რომელიც განსაზღვრავს სასჯელს პოლიციელზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ან საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმისთვის. კერძოდ, პოლიციელზე, ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ან მათ სამსახურებრივ ან საცხოვრებელ შენობაზე, ასევე, სატრანსპორტო საშუალებაზე თავდასხმა, აგრეთვე, მათი ოჯახის წევრის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების ხელყოფა, პოლიციელის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით შვიდიდან ოც წლამდე ან — უვადოდ. საინტერესოა, ეს მუხლი, კვერცხებით თავდასმაზე თუ გავრცელდება და თუ აქვთ საქმე ცუდად „არას“ ბიჭებს.



ძალადობა ძალადობაა, იქნება ეს პოლიციელზე თავდასმა თუ მოქალაქეზე კანონით თავდასხმა. გამოდის, რომ, რაც არ უნდა ჩავიდინოთ, თუ „ვილაცას“ უნდა, უცებ დაგვიწერენ კანონს და „რასაც უნდათ, იმას გვიზამენ?“

2009 წლის აქციებზე, ქუჩებზე წარწერები გახდა პრობლემა და მაშინვე აიკრძალა წელს კი, მონუმენტებსა და არქიტექტურული ძეგლების დაზიანება აიკრძალება მანიფესტიისას. ამის კონკრეტული მიზეზი არ ვიცით, მაგრამ კანონი კონკრეტულ ფაქტებს ერგება-ხოლმე და ეს ან პროტექციონალურ კანონმდებლობას ნიშნავს ან - პრაქტიკულს.

შეიარაღებული დაჯგუფების განმარტება გაფართოვდა და თითქოს, 21-26 მაისის შემთხვევებს მოერგო. ეს იმდენად პრობლემაა არ არის, როგორც ამბობენ, ქართველი ხალხი „ნიჭიერია“ და შემდეგი აქციებისას ისეთი იარაღით შეიარაღდება, კანონით რომ არ იქნება აკრძალული. თუმცა, ნებისმიერი საგნით შეიძლება ადამიანის ჯანმრთელობას ზიანი მიადგეს, ამიტომ მომავალი აქციები „შიშველი ხელებით და ფეხებით“ ჯობია, 15 წუთში დაშლის საფუძველი რომ არავის ჰქონდეს...

ხო, პრაქტიკულ-პროტექციონალისტურ კანონდმებლობაზე იყო საუბარი და აბა, მეტი რაღაა ეს, თუ არა ის, რომ უკანონო ფორმრების დაფინანსება ჯარიმით ან ხუთიდან რვა წლამდე დაისჯება.. ახლა ჯობია, ზედმეტი არ ვიმსჯელოთ, ეს კანონი ალბათ უახლოეს ერთ თვეში დამტკიცდება და გავიგებთ, კონკრეტულად ვის მიესადაგება თუმცა, რა თქმა უნდა, იმედი მინდა მქონდეს, რომ ახალი კანონი, შემდგარ ფაქტებზე არ გავრცელდება... თუმცა, ახლაც მარტივია იმის თქმა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება რაღაცნაირად ინტერპრეტირებული და როგორც უნდათ, ისე გაგებული გახდა.სასამართლომ თუ თქვა, არ შეიძლება მოქალაქეობის არმქონე პირს, აქციაზე პასუხისმგებლობა ავუკრძალოთო, პირიქით, ხელისუფლება ამბობს — კი, შეიძლება ავუკრძალოთო;

თუ სასამართლომ აქციის გამართვისას ადმინისტრაციული შენობიდან 20 მეტრის დაშორება არაპრაქტიკულიაო, ხელისუფლებამ თქვა, კი, არაპრაქტიკულია, მაგრამ ზოგ შემთხვევაში, პრაქტიკულიაო.

კერძოდ, კანონის ძველი რედაქციით, აკრძალული იყო შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება შემდეგ შენობების შესასვლელიდან 20 მეტრის რადიუსში: საქართველოს პარლამენტი; საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლო, საერთო სასამართლოები, პროკურატურის, პოლიციის, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები და სამართალდამცველი ორგანოები; სამხედრო ნაწილები და ობიექტები; რკინიგზის სადგურები, აეროპორტები, პორტები; საავადმყოფოები; დიპლომატიური დაწესებულებები; სამთავრობო დაწესებულებები; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები; შრომის უსაფრთხოების სპეციალური რეჟიმის ან შეიარაღებული დაცვის მქონე საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, 20 მეტრის რადიუსის შეზღუდვა მოიხსნა. თუმცა, პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტით დგინდება, რომ აკრძალული იქნება შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარება შემდეგ შენობებში და მათი შესასვლელიდან 20 მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საერთო სასამართლოები, პროკურატურის, პოლიციის, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები და სამართალდამცველი ორგანოები. ასევე, რკინიგზის სადგურებთან, აეროპორტებთან და პორტებთან. ამას გარდა, აკრძალული იქნება შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარება სამხედრო ნაწილებში და ობიექტებში და მათი შესასვლელიდან 100 მეტრის რადიუსში. ამას გარდა, საერთოდ აკრძალული იქნება შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარებისას ავტომაგისტრალების და რკინიგზის ბლოკირება. შენობის შესასვლელების ბლოკირების აკრძალვა კი კანონის მოქმედ რედაქციაშიც არის. ასევე, დგინდება, რომ ადმინისტრაციული ორგანო, რომლის მიმდებარე ტერიტორიაზეც იმართება მანიფესტაცია, უფლებამოსილია განსაზღვროს შეკრების ჩატარების ადგილი შენობის შესასვლელიდან, მაგრამ არა უმეტეს 20 მეტრის დაშორებით. ადმინისტრაციული ორგანო ამ გადაწყვეტილებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არსებული გარემოების და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით იღებს.

ეს რომ წაიკითხა საპარლამენტო ოპოზიციამ, თქვა, რომ ხელისუფლებამ საკონსტიტუციო სასამართლოს მის მიერვე მიღებული გადაწყვეტილება, თავზე გადაახიაო. დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმა უფრო პრაქტიკული ნაბიჯი შესთავაზა უმრავლესობას და ურჩია, საკონსტიტუციო სასამართლო საერთოდ გააუქმეთო . . . მოკლედ, ასეა თუ ისე, მცირეოპოზიციან პარლამენტში ვნებათაღელვა მაინც მოსალოდნელია ამ კანონპროექტთან დაკავშირებით. კანონპროექტშიც ბევრი რამ შეიცვლება, მაგრამ არ შეიცვლება ის მოლოდინი, რომ მომავალი აქციების დასრულებისას, "მანიფესტაციებისა და შეკრებების" შესახებ კანონში ცვლილებები ისევ შევა. თუ, რა თქმა უნდა, აქციები კიდევ იქნა; თუ ყველა შემთხვევა განსაკუთრებულ შემთხვევად არ მიიჩნიეს და აი, ეს თუ მოხდა - განსაკუთრებულ შემთხვევაში მთავრობას მანიფესტაციაში ჩარევის უფლება ეძლევა. ამასთან დაკავშირებით ცვლილება "შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონში შედის. კანონის მოქმედ რედაქციაში მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ ტრანსპორტის სავალი ნაწილის ნაწილობრივ ან სრულად გადაკეტვა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეკრებაში ან მანიფესტაციაში მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით, შეკრების ან მანიფესტაციის სხვაგვარად ჩატარება შეუძლებელია. ასევე, ტრანსპორტის სავალი ნაწილი ნაწილობრივ ან სრულად უნდა გადაიკეტოს მხოლოდ იმ დროის განმავლობაში, რომელსაც მოითხოვს შეკრებაში ან მანიფესტაციაში მონაწილეთა რაოდენობა.

პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტის თანახმად კი, ზუსტდება, რომ შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა მხრიდან ტრანსპორტის სავალი ნაწილის ნაწილობრივი ან სრული გადაკეტვის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობა ან განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, მიიღოს ტრანსპორტის სავალი ნაწილის გახსნის ან/და ტრანსპორტის მოძრაობის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება, თუ შეკრებაში ან მანიფესტაციაში მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით, შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება სხვაგავარად შესაძლებელია. ამ ნორმის ამოქმედება დაუშვებელი იქნება მაშინ, თუ შეკრებაში ან მანიფესტაციაში მონაწილეთა გათვალსწინებით, შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება სხვგავარად შეუძლებელია და კანონის ყველა ნორმა დაცულია.

ხელისუფლებას აქციის დაშლის მიზეზს რა დაულევს, ისევე როგორც ოპოზიციას - მისი გამართვისას.

**ინტერპრესნიუსი**

## „ქუთაისის მაღაზიებში საქონლის ხორცის ნაცვლად ცხენის ხორცი იყიდება“

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე ზვიად წაქაძს ინფორმაციით, ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ბაზრობებზე განთავსებულ ხორცის მაღაზიებში საქონლის ხორცის ნაცვლად ცხენის ხორცი იყიდება.

— ხელისუფლების უგუნური პოლიტიკით, როდესაც ერთი ხელის მოსმით გააუქმა ყველა ის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელი იყო (ვეტერინალური, სანიტარული და ა.შ) საკვები პროდუქტის ვარგისიანობაზე და შესაბამისობაზე, მივიღეთ შედეგად ის, რომ ვინც გადაწყვეტს ადვილად ფულის შოვნას, შეუძლია მომხმარებელს მიაწოდოს საქონლის ხორცის ნაცვლად ცხენის ხორცი. როგორც ყველგან, ისე აღნიშნულ სფეროშიც დარღვეულია და დაუცველია მომხმარებლის უფლებები, რაც არსებულ ხელისუფლებას ნამდვილად არ ანაღვლებს, — აცხადებს კახა კუკავას პარტიის წარმომადგენელი.

**მედიანიუსი**

## ვერა ქობალია და კახა ბაინდურაშვილი სასტუმროების მფლობელებს შეხვდნენ





საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ვერა ქობალია და ფინანსთა მინისტრი კახა ბაინდურაშვილი ზაფხულის ტურისტული სეზონის გახსნის წინ საქართველოს საინვესტიციო სააგენტოს ორგანიზებით საქართველოში მოქმედ წარმატებული სასტუმროების ხელმძღვანელობას შეხვდნენ. შეხვედრას ასევე დაესწრნენ ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსა და ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელები.

შეხვედაზე განიხილეს საქართველოში სასტუმროს ბიზნესის განვითარების ახალი შესაძლებლობები, ის პრობლემები, რომელთა წინაშეც დგანან სასტუმროები და ასევე, თუ რა მიმართულებით სჭირდებათ მათ სახელმწიფოს მხრიდან დახმარება.

როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა აღნიშნა, მიმდინარე წლის მაისის თვეში საქართველოში ტურისტთა უპრეცედენტოდ მაღალი რაოდენობა ჩამოვიდა, ამიტომ ქვეყანა მზად უნდა იყოს ტურისტთა შემდგომი ნაკადისთვის, კერძოდ, წინასწარი პროგნოზით, წლის ბოლომდე საქართველოში 3 მილიონამდე ტურისტი ჩამოვა, 2015 წლამდე კი ეს ციფრი 5 მილიონამდე გაიზრდება. ვერა ქობალიას განცხადებით, სასტუმროების ხელმძღვანელებთან შეხვედრის მიზანიც სწორედ ეს იყო კონკრეტულად როგორ, რა კუთხით უნდა აღმოუჩინოს სახელმწიფომ მხარდაჭერა ამ სექტორში მომუშავე ბიზნესს, რათა ქვეყანა მზად დახვდეს ტურისტთა სულ უფრო მზარდ ნაკადს. “ჩვენ ბიზნესთან ერთად უნდა გადავწყვიტოთ, თუ რისი გაკეთებაა საჭირო ამ მიმართულებით“, - აღნიშნა ვერა ქობალიამ.

**მედიანიუსი**

## რუსეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების მოცულობა გაიზარდა

2011 წლის მაისში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 93.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 21.0 მლნ აშშ დოლარით, ანუ 29.2 პროცენტით მეტია 2010 წლის მაისის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ამ პერიოდში ფულადი გზავნილების მოცულობა გაიზარდა რუსეთიდან (10.0 მლნ აშშ დოლარით), ყაზახეთიდან (3.6 მლნ აშშ დოლარით), იტალიიდან (3.0 მლნ აშშ დოლარით), აგრეთვე ზოგიერთი სხვა ქვეყნიდან, — აცნობეს „მედიანიუსს“ საქართველოს ეროვნული ბანკიდან.

უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 90.4 პროცენტი იმ 10 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე (რუსეთი, საბერძნეთი, იტალია, აშშ, ყაზახეთი უკრაინა, თურქეთი, ესპანეთი, ინდოეთი , ისრაელი) მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ მაისში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 10 ქვეყანაზე გასული წლის მაისში მთელი ფულადი გზავნილების 90.9 პროცენტი მოდიოდა.

2011 წლის მაისში საქართველოდან საზღვარგარეთ 6.7 მლნ აშშ დოლარი გადაიგზავნა, ნაცვლად 5.8 მლნ აშშ დოლარისა გასული წლის მაისში.

**მედიანიუსი**

# კახეთი აქციებისთვის ემზადება!

## ვინ ბლოკავს თბილისის ხორცით მომარაგებას?

ქეთი ხომერიკი

**გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო, სწორედ ასეა ჩვენი საქმე. კვირაზე მეტია, საქართველოს მოსახლეობა კიდევ ერთი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, კერძოდ, საქონლის ხორცი და ხორცპროდუქტი გაძვირდა. საქონლის ხორცის ფასმა 5-7 ლარით მოიმატა და კილოგრამი 20 ლარი გახდა. ერთნი, გაძვირებას სპეკულაციურ ჯგუფებს აბრალებენ, სხვები კი, ხორცის ფასის მატებას მარეგულირებელი სტრუქტურებისა და წესების ამოქმედებას უკავშირებენ. საქონლის ხორცის გაძვირების მიზეზს სოფლის მეურნეობის სამინისტრო შემდეგნაირად ხსნის:**

— გარკვეული სპეკულაციური ჯგუფები ცდილობენ ხელოვნურად შექმნან საქონლის ხორცის დეფიციტი. ამით არის განპირობებული ბოლო პერიოდში საქონლის ხორცზე მომხდარი ფასის გარკვეული ცვლილება. თუმცა, საქონლის ხორცის მომწოდებელი სასაკლაოები სრულად აკმაყოფილებენ ქალაქ თბილისის მოთხოვნას და უახლოეს დღეებში ხორცის ფასი დასტაბილურდება, ნათქვამია, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში. „თავისუფალი საქართველოს“ კახეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი მოსიაშვილი ამას ეთანხმება, თუმცა მისი თქმით, აქ ერთი მნიშვნელოვანი უზუსტობაა, ეს უზუსტობა კი გახლავთ ის, რომ საქონლის ხორცზე ფასის ზრდა მოახდინა არა ცალკეულმა სპეკულაციურმა ჯგუფმა, არამედ კარგად ორგანიზებულმა უწყებამ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფმა „სურსათის ეროვნულმა სააგენტომ“. მოსიაშვილი ირწმუნება, რომ დედაქალაქში ხორცის პროდუქტების გაძვირება სოფლის მეურნეობის მინისტრის ზეპირი დირექტივით ხორციელდება. რატომ ადანაშაულებს მოსიაშვილი ხორცის პროდუქტების გაძვირებაში კონკრეტულად ცეზარ ჩოჩელს და მის „საძმოს“, რა მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და რას აპირებენ კახელი გლეხები?

„ახალი თაობა“ „თავისუფალი საქართველოს“ კახეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი მოსიაშვილს ესაუბრა.

**გიორგი მოსიაშვილი:**

— პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფალი საქართველო“ კახეთის ორგანიზაცია დავინტერესდით აღნიშნული პრობლემით და გავარკვიეთ, რომ ყოველგვარი ოფიციალური ახსნა-განმარტების გარეშე „სურსათის ეროვნული სააგენტოს“□კახეთის სამმართველო დოკუმენტს საქონლის ხორცის უვნებლობაზე აღარ გასცემს იმ შემთხვევაში, თუკი პროდუქციის მისამართი იქნება ქ.თბილისი, სხვა შემთხვევაში, თუკი გლეხს ხორცი გადააქვს ქუთაისში, გორში, ბათუმში აძლევენ საბუთს. გამონაკლისი მხოლოდ დედაქალაქია, რაც ბუნებრივად ახდენს გავლენას ფასების ზრდაზე. ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენელი მივიდა კახეთის სურსათის სააგენტოს უფროსთან, ბ-ნ თენგიზ მთვარელიშვილთან ვითარების გასარკვევად. მოვითხოვეთ ოფიციალური დოკუმენტი, თუ რატომ არ აძლევენ ცნობას დედაქალაქში ხორცის გადატანაზე, რაც მან ვერ წარმოგვიდგინა, რადგან ასეთი დოკუმენტი ბუნებაში არ არსებობს. ჩვენ ასევე დავუკავშირდით სურსათის ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, ქ-ნ ვერიკო გულუას, რომელმაც ასევე ვერ გაგვცა პასუხი. არსებობს მხოლოდ ზეპირი დირექტივა, რომ დედაქალაქში ხორცი მხოლოდ ნატახტრის და თელეთის სასაკლაოებიდან უნდა მოხვდეს, რაც პირდაპირ მიუთითებს კორუფციულ ინტერესებზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრიდან. ჩნდება მარტივი კითხვა: 1. თუკი თელავსა და ნატახტარში ხორცი ერთი და იგივე საშუალებით, ერთი და იგივე მეთოდით მოწმდება, რატომ იკრძალება თელავის მუნიციპალიტეტში არსებული სასაკლაოდან ხორცის გადატანა დედაქალაქში? 2. თუკი თელავის სასაკლაო არ შეესაბამება შესაბამის სტანდარტებს, რატომაა ნებადართული დედაქალაქის გარდა სხვა ქალაქებში ხორცის გადატანა?



***— და თქვენი აზრით, თელავის მუნიციპალიტეტში არსებული სასაკლაოდან ხორცის გადატანა მხოლოდ დედაქალაქში რატომ აიკრძალა და რატომ არ აქვს პასუხი ამ კითხვაზე კახეთის სურსათის სააგენტოს ხელმძღვანელს, ეს ბევრ კითხვას და ეჭვს ბადებს, რა შეიძლება იდგეს ამ ყველაფრის უკან?***

— აქ პასუხი ერთია და თანაც ძალიან მარტივი, ესაა ხელისუფლებაში მყოფი კორუფციული ჯგუფის ინტერესი, რომელსაც კურირებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ერთი სიტყვით, ხელისუფლება, როგორც სჩვევია და როგორც განვლილმა წლებმა გვაჩვენა, ნებისმიერი ბიზნესისკენ მიდის მონოპოლიზირებული ნაბიჯებით, ანუ მონოპოლიზირებას იღებს ბიზნესზე. იცით, ცოტა რთულია, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით უცბად ერთნაირად მოიცვა რომელიმე ბიზნესი და ამიტომ ისინი იწყებენ ხოლმე, ასე ვთქვათ, მსუყე ნაჭრიდან და ეს მსუყე ნაჭერი, ამ შემთხვევაში, არის დედაქალაქი. მე ზემოთ მოვიყვანე მაგალითი და ვთქვი, რომ თუკი ერთი და იგივე მეთოდით, ერთი და იგივე საშუალებით, ორი სხვადასხვა სასაკლაო ახდენს ხორცის გადამუშავებას, სანიტარულ შემოწმებას და ორივესთვის ნებადართულია, რომ ხორცი ქუთაისში, ბათუმსა და გორში შეიტანოს, რატომ არ შეიძლება შევიტანო დედაქალაქში? ამის პასუხი რაც არის, უკვე აღვნიშნე, თუმცა კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რადგან მინდა, რომ მკითხველისთვის ნათელი იყოს, არის ის, რომ ცალკეული ჯგუფების, რომლებიც არიან სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან დაახლოებულნი, ინტერესებში შედის, რომ მათ გარდა არავინ შეიტანოს დედაქალაქში ხორცი. ამას სხვა პასუხს ნამდვილად ვერ მოუძებნი.

***— და კონკრეტულად, ვინ დგას ამ ცალკეული ჯგუფების სათავეში, ბატონო გიორგი?***

— არავისთვის უცხო არ არის და პირველად მე არ ვაცხადებ იმას, რომ იგივე ცეზარ ჩოჩელი არის ამ ბიზნესით დაკავებული, ანუ ცეზარ ჩოჩელს დედაქალაქის ხორცით მომარაგების ექსკლუზიური უფლება აქვს და აქ არ არის საუბარი პატარა თანხებზე, არამედ საუბარია დღეში ასი ათასობით ლარის შემოსავლებზე. უყურეთ როგორ არის, როდესაც გლეხს მიაქვს თბილისში ხორცი, რომ ბაზარზე გაყიდოს, მნიშვნელობა არ აქვს ფერმა აქვს, ერთი თუ ბევრი საქონელი ჰყავს, როდესაც აპირებს თბილისში წაღებას, უნდა წავიდეს ორი ტრანსპორტით. ანუ ცოცხალად უნდა ჩაიყვანოს და დიდი მანქანით, შემდეგ მიდის ნატახტრის თუ თელეთის სასაკლაოზე, იქ ამ საქონელს აწერენ ნომერს, შემდეგ საქონელს ველარ ხედავს, ანუ შეჰყავთ ეს საქონელი დახურულ და შემოღობილ ტერიტორიაზე, სადაც ხდება მისი დაკვლა, სანიტარული შემოწმება და რომ გამოდის, პატრონმა უკვე არ იცის, მისია ეს თუ სხვისი. შემდეგ პირდაპირ ეუბნებიან, ერთი ლარია გადასახდელიო და ვთქვათ, აწონეს და გამოვიდა ასი კილოგრამი, ასი ლარი უნდა გადაიხადოს მან. შემდეგ უკვე იმ დიდი მანქანით, რომლითაც ჩაიყვანა, ველარ დააბრუნებს, ანუ ხორც-პროდუქტს პირდაპირ, დიდ მანქანაზე ველარ დადებს და იგივე გლეხი უკვე სხვა მანქანას ქირაობს და ასე მიაქვს, ვთქვათ, ბაზარზე. და ამ ყველაფერს საბოლოო ჯამში სად მივყავართ? რა თქმა უნდა, ფასების ზრდასთან. ანუ ორი ტრანსპორტის გამოცვლა რომ გიხდება და ორმაგი კილომეტრაჟის გავლა, აი, მაგალითად, თელავიდან თბილისი ახლოა, მაგრამ ნატახტარში ან თელეთში უნდა ჩახვიდე ხომ? ეს კი უკვე შორი მანძილია და საბოლოო ჯამში გვაძლევს გაძვირების მომენტს. სოფლის მეურნეობის სამინისტრო კი თავის ოფიციალურ ვებგვერდზე იუწყება, რომ თითქოსდა, ცალკეული სპეკულაციური ჯგუფები აძვირებენ ხორცს. დიახ, ცალკეული სპეკულაციური ჯგუფები აძვირებენ, რომელი ჯგუფების წარმომადგენელიც თვითონ სოფლის მეურნეობის მინისტრია. აი, ესენი არიან სპეკულაციური ჯგუფები, რომლებიც ხელს უწყობენ მონოპოლიზირებას. ესენი არიან, მინდა რბილად ვთქვა, მაგრამ აღარ გამომდის, მაფიოზი ცეზარ ჩოჩელის წარმომადგენლები. ეს არის კარგად ორგანიზებული მაფია, სიცილიაში რომ იყო, აი ისეთი. ანუ დღეს საქართველოში ხორცპროდუქტების ბიზნესში ასეთი მაფიაა.

***— რა მდგომარეობაში არიან კახელი გლეხები, დიდი ზარალი მიადგა მათ?***

— კახელ გლეხს აღარ რჩება ის მოგება, რომელიც რჩებოდა, რადგან ტრანსპორტირების თანხები გაეზარდა. ჩადის იმ ორ მონოპოლიზირებულ სასაკლაოზე და მთელი დღე რიგში დგომა უწევს. უნდა ელოდონ, რიგი როდის მოუწევთ, ამ დროს იქაურები მეგობრულად მიდიან და ეუბნებიან, მოდი, აღარ გინდა აქ დგომა და ლოდინი, პირდაპირ ფულს მოგცემ და გაყიდე საქონელიო. აი, ამით სარგებლობენ ეს სასაკლაოები და დიდ ფულს შოულობენ. აქვე მინდა ერთი რამ თელავის სასაკლაოზე გითხრათ: ნაციონალებმა სამჯერ გახსნეს ეს სასაკლაო და გააპიარეს, რომ სასაკლაო ევროპული დონის არისო და მართლაც უმაღლესი დონისაა. დაავალეს, რომ საქონელი შეესყიდათ სარეზერვოდ, ანუ დეფიციტურ შემთხვევაში მათ საკუთარი საქონელი ჰქონოდათ და ბაზარზე დეფიციტი არ შექმნილიყო, მაგრამ რა გამოვიდა, აყიდინეს, კრედიტი ააღებინეს ამ სასაკლაოსაც და დღეს ისე არიან, რომ კრედიტს ველარ იხდიან. საქონელი კი მთაში გარეკეს, რადგან მათზე მოთხოვნა აღარ არის. სასაკლაო, ფაქტობრივად, ჰაერში დატოვეს. მოგეხსენებათ, ნებისმიერ პროდუქტზე ყველაზე დიდი მოთხოვნა დედაქალაქშია, აქ არ არის საუბარი მხოლოდ ხორცპროდუქტებზე, იგივე ნავთობპროდუქტებზე და ა.შ. ამიტომ უმეტესობას ხორცი ჩაჰქონდა დედაქალაქში. ადგილობრივ ბაზარზე ანუ თელავში, ხორცი ფოთიდან და ხარაგაულიდან არ ჩამოაქვთ და ყველას, ვისაც ჭარბად ჰყავს საქონელი, მიჰყავს დედაქალაქში, მაგრამ ხელისუფლებამ ამოუკეტა ყველა საშუალება და განახორციელა წნეხი, როგორც ვთქვათ, მომხმარებელზე. ამ შემთხვევაში თბილისის მოსახლეობა მყავს მხედველობაში, ასევე რეალიზატორებზე, უფრო სწორად, მათზე, ვინც აწარმოებს ხორცპროდუქტებს. ერთადერთი, ვინც აქედან იხეირა, არის ეს ჯგუფი, რომელ ჯგუფსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მეც ასე ვუწოდებ, სპეკულაციური ჯგუფი უწოდა, რომლის თავშიც ხელისუფლების პირველი და მეორე პირები არიან.

***— გამოდის, რომ ამით ცალკეული ჯგუფები მდიდრდებიან, კახელ გლეხებს და არა მარტო, მათ კი, ასე ვთქვათ, ის ერთადერთი საარსებო წყაროც აღარ აქვთ, რომელიც ჰქონდათ და დიდ გასაჭირში იმყოფებიან...***

— დიახ, დიდ გასაჭირში არიან მომხმარებლებიც, გამსაღებლებიც და ამ ჯგუფის გარდა აბსოლუტურად, ყველა. ვიმეორებ, შექმნილი სიტუაციიდან მხოლოდ ცეზარ ჩოჩელი სარგებლობს, უფრო სწორედ, ხელისუფლების პირველი პირები, რადგან ცეზარ ჩოჩელი არის შუა რგოლი, რომელსაც ეს თანხები, რომელიც იქაჩება მოსახლეობის ჯიბიდან,ააქვს ზედა ეშელონებში.

***— და რას აპირებს კახელი გლეხობა, ბატონო გიორგი?***

— კახელები ცოტა დინჯი ხალხი ვართ და არ ვიცი, რას ვიზამთ. ისე, მე მქონდა შეხვედრა რამდენიმე მეწარმესთან, მათთან, ვინც ამ საქმით არის დაკავებული და ისინი გაოგნებულები არიან. ყველაფერს ველოდით, მაგრამ ასეთ რამეს არაო. არ არის გამორიცხული, რომ აქცია გამართონ, პროტესტის გამოხატვის რაიმე გზას აუცილებლად მიმართავენ, რადგან ძალიან მძიმე მდგომარეობაში არიან. ხალხს კრედიტები აქვს აღებული, ფერმები გააკეთეს და ამის რეალიზებას ველარ ახდენენ და თუ ახდენენ რეალიზებას, კიდევ ისეთ ფასში, რომ ნამდვილად აღარ უღირთ.

## საოჯახო სასტუმროების მეპატრონეებს გადასახადი დაუწესეს

ტურისტული ზონებთან დაკავშირებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანა იგეგმება. მთავრობის საპარლამენტო მდივან გიორგი ხუროშვილის განმარტებით, ამ ცვლილებების თანახმად, კერძო საოჯახო სასტუმროების მფლობელები შემოსავლების სამსახურში საკურორტო სეზონის პერიოდს დაარეგისტრირებენ, რომლის განმავლობაშიც ისინი გაქირავებული ფართის მიხედვით 1 კვადრატულ მეტრ ფართობზე ფიქსირებულ გადასახადს -- 10 ლარს გადაიხდიან.

მისი თქმით, ამით მათთვის საგადასახადო პროცედურა მნიშვნელოვნად გამარტივდება.

—მათ რთული ბუღალტრული ოპერაციების წარმოება აღარ დასჭირდებათ. ეს წინადადება კერძო საოჯახო სასტუმროების მეპატრონეებისაგან შემოვიდა. ეს ალტერნატიული გადასახადის ფორმაა და მათ სურვილისამებრ, გადახდის ძველი სისტემით სარგებლობა შეეძლებათ, — აღნიშნა გიორგი ხუროშვილმა.

ძველი სისტემის თანახმად, კერძო სასტუმროების მფლობელები გადასახადს ვიზიტორების რაოდენობის მიხედვით იხდიდნენ.

აღსანიშნავია, რომ მოსალოდნელ საგადასახადო ცვლილებებზე მთავრობისაგან ახსნა-განმარტება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე გიორგი ახვლედიანმა მოითხოვა. მისი მოსაზრებით, ეს კერძო მეწარმეებისათვის სერიოზული წნეხი იქნება.

როგორც მის პასუხად უმრავლესობის ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა აღნიშნა, ეს სიახლე წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან გამქირავებელს ზუსტად ეცოდინება, რა უნდა გადაიხადოს და მთელი ეს პროცესი გამჭვირვალედ წარიმართება.

**მედიანიუსი**

# ხელისუფლებას ეკონომიკური პოლიტიკა არა აქვს

შორენა კოწოწაშვილი

**ეკონომიკური ექსპერტი სოლომონ პავლიაშვილი ხელისუფლებას პრივატიზაციის სტრატეგიის გამოკვეთას ურჩევს და იმ ხარვეზებზე საუბრობს, რაც ამ კუთხით არსებობს. პავლიაშვილი იმ ფარულ გასხვისებაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომელიც ბათუმის პორტს უკავშირდება. ეს სკანდალური ინფორმაცია ხელისუფლებამ კარგად შეფუთა და ალბათ ამით სოლიდურადაც იხეირა.**

— ხელისუფლებაში ერთი პერიოდი დაიწყო ბიზნესმენების მოყვანა. იგივე პარლამენტში, მთავრობაში. ეს ნიშნავს ოლიგარქიული კლანების ჩამოყალიბებას. ეს თავისთავად ყალიბდება. რაც გინდა თქვა, მე ჩემს ბიზნესს არ ვპატრონობო, ეს არის გამორიცხული. ვინ დამაჯერებს, იგივე მადნეულის, მელვინეობაშია ბევრი დღეს პარლამენტში მყოფი, რომ ისინი თავის ბიზნესს არ უპატრონებენ და პირდაპირ თუ ირიბად, გინდა-არგინდა, კოლეგაც კი გიწევს შეღავათს ამაზე. მე თვითონ ვიყავი პარლამენტში და ეს კარგად ვიცი, გამოცდილი მაქვს. ასეთი ნაბიჯების გადადგმა მონოპოლიურ გარემოს უწყობს ხელს. ზოგი პარლამენტის წევრია და თან შპს-ს დირექტორიც არის. პარლამენტში იმიტომაც არ იმართება დებატები. ეს იმის ბრალია, რომ ალტერნატიული წინადადებები ძალიან სუსტია და ძალიან ნაკლები, — აცხადებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში სოლომონ პავლიაშვილი.

არის თუ არა იგნორირებული პრივატიზაციის პროცესში სახელმწიფოს გეოსტრატეგიული ინტერესები და რამდენად ართმევს თავს სააკაშვილის რჩეული მინისტრი ვერა ქობალია იმ უწყებას, რომლიც მინისტრის პორტფელსაც ფლობს? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ექსპერტ **სოლომონ პავლიაშვილთან.**

*— ბატონო სოლომონ, წარმატებული რეფორმების მიუხედავად, რასაც დასავლეთი სააკაშვილს უწონებს, ფაქტია, იგივე დასავლეთი აღიარებს, რომ ეკონომიკური კუთხით ქვეყანაში მძიმე მდგომარეობაა და რომ ქვეყანა ძირითადად უცხოურ დახმარებებზე და ინვესტიციებზე დგას. იგრძნობა, რომ საინვესტიციო კუთხით საქართველო კვლავ საინტერესოა? აგვისტოს ომის შემდეგ ფინანსური ნაკადები ძალიან შემცირდა.*

— საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის 4,5 მლრდ, რომელიც მივიღეთ აგვისტოს საომარი მოქმედებების შემდეგ. ეს იყო ის ტრანში, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებმა მოგვცეს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაწყებამდე ანუ ჩვენ ამ მოვლენას დავასწარით. თორემ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი დაწყებული რომ ყოფილიყო, ჩვენ ამ თანხას ვერ მივიღებდით, რადგან სხვა პრიორიტეტებია და სხვა პრობლემები ჰქონდა მთელ მსოფლიოს. მოგეხსენებათ, ამ თანხიდან 2 მლრდ არის გრანტი, დანარჩენი გრძელვადიანი დაბალპროცენტიანი სესხი. რა თქმა უნდა, ეს იმ პერიოდში იყო ძალიან მკაფიოდ გამოხატული მხარდაჭერა. იმიტომ, რომ სხვა ქვეყნებს თავიანთი ფინანსური პრობლემები ასე მწვავედ არ ჰქონდათ. დღეს უკვე სხვა რეალობის წინაშე ვართ. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ სხვა ქვეყნებმა ნაკლები ინტერესი გამოიჩინონ, რაღაც დახმარებები მოგვცეს, კრედიტები გამოგვიყოს და ა.შ. თუმცა ბოლო პერიოდში ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის მშენებლობისთვის 575 მლნ დოლარი გრძელვადიანი დაბალპროცენტიანი სესხი გამოგვიყო აზერბაიჯანმა, მაგრამ ეს მისი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების სფეროა და ერთ-ერთი მოტივაცია ესეც იყო. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია ინფორმაციულად, დახმარებების და კრედიტების სახით დღეს საქართველოს მიმართ ეს ინტერესი შედარებით შენელებულია. ამას ობიექტური მიზეზიც აქვს — ყველა ქვეყანას თავის პრობლემა უდგას. ნახეთ, რა ხდება საბერძნეთში, პორტუგალიაში, რა ხდება ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში და პრიორიტეტები უფრო სხვა გახდა. მაშინ რუსეთის აგრესია გამოკვეთილი იყო და მსიფლიომ თავისი პოლიტიკური მხარდაჭერა გამოხატა იმ ფინანსურ მხარდაჭერაში, რა თანხებიც ქვეყანაში მაშინ შემოვიდა.

*— თქვენ ამბობთ, რომ არაერთ ქვეყანას თავად დაუდგა ფინანსური პრობლემები მწვავედ, მაგრამ არაერთი ეკონომისტი და პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ ებრაელი ბიზნესმენების სკანდალურად დაპატიმრებამ ბევრი ინვესტორი დააფრთხო და ინვესტორები კაპიტალის გატანაზე დააფიქრა.*

— ეს, რა თქმა უნდა, არ იყო კარგი ფაქტი. მით უმეტეს, თუ პროვოცირებული იყო ადგილობრივი ხელისუფლების მიერ — ეს არის ძალიან ცუდი. ამას მეორე მხარეც აქვს — ქრთამის მიცემა დასჯადია და ამიტომ



თუ ყველაფერი ისე იყო, როგორც გადმოიცა, მაშინ თუნდაც ებრაელი იყოს და თუნდაც თურქი, ამ შემთხვევაში რაღაც გარკვეული განსხვავება ქართველ ბიზნესმენებთან შედარებით, რატომ უნდა ჰქონდეთ მათ. რა თქმა უნდა, ამ ფაქტს პოლიტიკურად უფრო მეტი ხმაური მოჰყვა. იმიტომ, რომ საკმაოდ ცნობილი ბიზნესმენები არიან ისინი ისრაელში. რამდენადაც ვიცი, ისინი ისრაელში გარკვეული პოლიტიკური მხარდაჭერითაც სარგებლობენ. ამიტომ ამან, რა თქმა უნდა, გარკვეული რეზონანსი გამოიწვია. თავისთავად, ვფიქრობ, რომ ინვესტიციების შემოდინება ასე თუ ისე, მაინც ხდება ქვეყანაში. სხვანაირად ლარის კურსი ვერ გამყარდებოდა. მე ვფიქრობ, ლარის კურსი რომ მყარდება, ეს პირველ რიგში არის გარკვეული ინვესტიციების შემოდინების საფუძველი. ეს შეიძლება არ არის დიდი ოდენობის, არ არის ისეთი ბუმი, როგორიც იყო 2007 წელში, როცა ჩვენ 2 მლრდ-მდე ინვესტიცია მივიღეთ, მაგრამ ინვესტიტიები მაინც შემოდის. არა მგონია, ეს იყოს მარტო დამსახურება იმის, რომ ჩვენი ქართველი თანამემამულეები, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ, მათგან გადმორიცხული თანხების შედეგად მაგრდებოდეს ლარი. რადგან ვალუტა შემოდის, ეს ფაქტობრივად ლარის კურსს ამყარებს. უფრო მეტს გეტყვით, ეროვნული ბანკი პირიქით, ცდილობს, დაასუსტოს ლარის კურსი, რათა გარკვეული მხარდაჭერა შეუწყოს ექსპორტს. ანუ ინვესტიციები შემოდის, თუმცა, რა ინვესტიციები, ეს თავისთავად არ ჩანს. საერთოდ ადგილობრივი ინვესტიციები მოგეხსენებათ ბიუჯეტში გაწერილია. ეს არის 1 500 0000 ლარი. ეს არის საგზაო ინფრასტრუქტურა ძირითადად, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი. მაგრამ ეს არის ნაწილი და დანარჩენი შემოდის გარედან. ამიტომ ასე თუ ისე ეს ლარის კურსის გამყარების საფუძველია. რაც მთავარია, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ექსპორტი გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 30-35%-ით. ძირითადად გაზრდილია ღვინის ექსპორტი. ასეც ერთგვარად მნიშვნელოვანი მოვლენაა, იმიტომ, რომ რაღაცნაირად უკრაინა ჩამოყალიბდა ჩვენთვის როგორც ღვინის ექსპორტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორი. უკვე უკრაინის ბაზარზე ჩვენი ღვინო გადის და იყიდება.

*— თქვენ თურქული ინვესტიციები ახსენეთ. ისრაელში თვლიან, რომ საქართველოში ყველაზე მეტად თურქული კაპიტალია პრივილეგირებული. მართლაც ბოლომდე ახორციელებს თურქეთი საქართველოს ტერიტორიაზე თავის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს?*

— ეკონომიკური ინტეგრაციის კუთხით ჩვენ ყველაზე მჭიდროდ ვართ თურქეთთან. როგორც სავაჭრო ურთიერთობებით, ისე ინვესტიციების ჩადებით და ერთობლივი კომპანიების რაოდენობით. „ასე ვთქვათ, პირველად „რკინის ფარდების“ გახსნის შემდეგ თურქეთი გახდა საქართველოს მნიშვნელოვანი პარტნიორი. გარდა მაგისა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თურქეთთან უვიზო რეჟიმი გვაქვს. ასევე ხელი გვაქვს მოწერილი ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებაზე. კულტურულადაც ძალიან დავუახლოვდით ამ ბოლო დროს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ თურქები შემოდიოდნენ და აქ ფულს დებდნენ.

*— სწორი პოლიტიკაა, როცა სახელმწიფო მეზობელს ამ დონეზე უშვებს ქვეყნის ტერიტორიაზე?*

— მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ნებისმიერი ინვესტიცია უნდა მივიღოთ, იმიტომ, რომ საქართველოს საქმე ასარჩევად არ აქვს. ერთადერთი ეს ინვესტიცია თუ არ ანგრევს ჩვენ პოლიტიკურ ინტერესებს და ასევე ზნეობრივ და კულტურულ ინტერესებს, დანარჩენი ყველა ინვესტიცია მისაღებია. ჩვენ არა ვართ ძლიერი ქვეყანა, როგორიც არის მაგალითად გერმანია, ჰოლანდია, ბელგია, რომლებსაც ასარჩევად აქვთ ეს ინვესტიცია მივიღოთ თუ არ მივიღოთ. მიუხედავად მისი წარმოშობისა, მე პირდაპირ ვაცხადებ, ჩვენ ნებისმიერი ინვესტიცია უნდა მივიღოთ და გავუსხნათ კარები. თუ ჩვენს პოლიტიკურ ინტერესებს არ ეწინააღმდეგება, რადგან გამორიცხული არ არის, რომ ამ ინვესტიციებს გარკვეული პოლიტიკური შეფერილობაც ჰქონდეთ. დღეს ხელისუფლებას აქვს პოლიტიკური ნება და იმას აკეთებს, რაც სწორად მიაჩნია, რომ ეკონომიკისთვის არის კარგი. საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება ხშირ შემთხვევაში შეიძლება ეკონომიკური თვალსაზრისით არის წამგებიანი. ხშირ შემთხვევაში ეს ემართება ხოლმე სუსტ ხელისუფლებას. რა თქმა უნდა, საზოგადოების მთლიანი იგნორირებაც არ ვარგა, მე ვიძახი ეკონომიკურ სტრატეგიებთან და ინვესტიციებთან მიმართებაში.

*— თქვენი საუბრიდან გამოდის, რომ სააკაშვილის მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას მხარს უჭერთ ასეა?*

— ამ შემთხვევაში ინვესტიციებს ვგულისხმობ, რაც შეეხება ეკონომიკურ პოლიტიკას, მე ვერ ვნახე, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას ჰქონდეს გამოკვეთილი ეკონომიკრი პოლიტიკა ანუ ეკონომიკური სტრატეგია. მე თუ მკითხავთ, ეკონომიკა რაც დღეს კეთდება, ეს არის ფრაგმენტული. ეს არის ამოგლეჯილი. ერთ დღეს გვინდა ტურიზმის განვითარება, მეორე დღეს სოფლის მეურნეობის განვითარება, მესამე დღეს სულ სხვა მიმართულებაზე ვფიქრობთ. ეს ძალიან ფრაგმენტულია. ამას სჭირდება სისტემური მიდგომა. ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა იყოს მოცული, როგორც სოფლის მეურნეობა, ისე ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი და ა.შ. ამის პატრონი უნდა იყოს ეკონომიკის სამინისტრო. სამინისტროს უნდა ჰქონდეს გრძელვადიანი სტრატეგია. მინიმუმ 2025 წლამდე მაინც უნდა იყოს განსაზღვრული ეკონომიკური სტრატეგია. მაგრამ არ აქვთ.

*— ანუ მინისტრი ვერა ქობალია თავის ფუნქციებში და ეკონომიკური ხედვებში ვერ ერკვევა?*

— ეს ადამიანი ხან ტურიზმზე ლაპარაკობს, ხან რაზე. ძალიან ფრაგმენტულია.

*— ეს მინისტრის არაკვალიფიციურობის ბრალია?*

— შეიძლება იყოს არაკვალიფიციურობის ბრალი. მე ვფიქრობ, რომ მინისტრს სხვა ხედვები უნდა ჰქონდეს. ეკონომიკის მინისტრი მაკროეკონომიკაზე უნდა საუბრობდეს და იმაზე, როგორი იქნება მისი კოორდინაცია. ვერა ქობალიას უწყება უნდა იყოს განმსაზღვრელი, გარკვეული კოორდინატორი, ეს სამინისტრო უფრო მაღლა დგას, ვიდრე ფინანსთა სამინისტრო, ანდა სოფლის მეურნეობის ან ენერგეტიკის სამინისტრო. ჩვენ თუ სოფლის მეურნეობის მინისტრთან პრეტენზიები გვაქვს ეკონომიკურ პოლიტიკაზე, ასე არ შეიძლება. ეს უნდა იყოს მთლიანი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი. ამიტომ მინისტრს უფრო ასეთი ხედვები უნდა ჰქონდეს.

# უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა მკაცრდება

უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნისთვის, ხელმძღვანელობისთვის და/ან მასში მონაწილეობისთვის, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა მკაცრდება.

როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ გახდა ცნობილი, ამ მიზნით ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში იგეგმება.

კერძოდ, დღეს უკანონო შეიარაღებული ფორმირების (ლაშქრის, გაერთიანების, რაზმის ან სხვა ჯგუფის) შექმნა ან ხელმძღვანელობა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.

პარლამენტში მომზადებული კანონპროექტით კი, ეს ქმედება ექვსიდან თორმეტ წლამდე დაისჯება.

ასევე, უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობა დღეს მოქმედი ნორმით, ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ხუთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით სამიდან ხუთ წლამდე.

კანონპროექტით კი, რომლის განხილვაც პარლამენტში იგეგმება, ეს ქმედება სამიდან შვიდ წლამდე დაისჯება.

აქამდე მოქმედი ნორმით, უკანონო შეიარაღებულ ფორმირებად მიიჩნეოდა ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული დაჯგუფება. ცვლილებების პროექტით კი, ფორმირების განმარტება ფართოვდება.

კერძოდ, ფორმირება გულისხმობს ნებისმიერ ფორმირებას, რომელიც შეიარაღებულია ცეცხსასროლი იარაღით, საბრძოლო მასალით, ფეთქებადი ან ადვილად აალებადი ნივთებით, ასაფეთქებელი მოწყობილობით, ცრემლსადენი, რადიოაქტიური, ნევრულ-პარალიტიკური მოქმედების ან მომწავლელი ნივთიერებით, ცივი იარაღით ანდა ნებისმიერი მოწყობილობით ან საგნით, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ცოცხალი ან სხვა ობიექტის დასაზიანებლად ან გასანადგურებლად.

რაც შეეხება აქამდე არსებულ შენიშვნას, რომ ის, ვინც ნებაყოფლობით შეწყვიტა უკანონო ფორმირებაში საქმიანობა და ჩააბარა იარაღი და ჩამოთვლილი საგნები, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება, თუ მის ქმედებაში სხვა დანაშაულის ნიშნები არ არის, უცვლელი რჩება.

აღნიშნული ინციატივის განხილვა პარლამენტში ჯერ არ დაწყებულა, შესაბამასად, უცნობია შეეხება თუ არა ახალი რეგულაციები 26 მაისის აქციის დროს დაკავებულ პირებს.

**ინტერპრესნიუსი**

# „ჩვენ თვითონ“ წყლის გამრიცხველიანებას აპროტესტებს

პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენ თვითონ“ კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ წყლის გამრიცხველიანების პროცესის დაწყებას აპროტესტებს.



როგორც გუშინ პარტიის წარმომადგენელმა ლიკა ნალებაშვილმა განაცხადა, მრიცხველი 100 ლარი ეღირება და მისი დამონტაჟების ხარჯებს თავად მომხმარებელი გადაიხდის. სინამდვილეში კი თითოეული მრიცხველის ღირებულება და მისი დამონტაჟება დაახლებით ათი დოლარი ჯდება.

— ივნისიდან კომპანია ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა„ უკვე დაიწყო გამრიცხველიანების პროცესი და უკვე გაკეთდა განცხადება, რომ მრიცხველი ეღირება 100 ლარი და მისი დაფარვა მოუწევს თითოეულ მომხმარებელს საკუთარი ჯიბიდან. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს დადასტურებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თითოეული მრიცხველი ჯდება დაახლებით ათი დოლარი თავისი ტრანსპორტირებისა და დამონტაჟების ჩათვლით, — განაცხადა ნალებაშვილმა.

„ჩვენ თვითონის“ განცხადებას კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერიდან“ გამოეხმაურნენ. როგორც კომპანიაში განაცხადეს, მოსახლეობას თანხის გადახდა მონტაჟიდან 6 თვის შემდეგ შეეძლება.

— ჩვენ ვმოქმედებთ სემეკის №18 დადგენილების მიხედვით, რომლის ფარგლებშიც კომპანიებს აქვთ უფლება, რომ გაამრიცხველიანონ ის მოსახლება, რომლებსაც აქვთ 24 საათიანი წყალმომარაგება. რაც შეეხება თანხას, მოსახლეობის გადახდილ 100 ლარში შედის როგორც მრიცხველის ფასი, ასევე მისი მონტაჟი. მოსახლეობა ამ თანხას გადაიხდის მონტაჟიდან ექვსი თვის შემდეგ, — განაცხადა „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ გენერალური დირექტორის მოადგილე ჰელმეტ ვეიდელმა. **მედიანიუსი**

# რამაზ ნიკოლაიშვილი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზარალებულ სოფლებში ჩავიდა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი, ქვემო ქართლის გუბერნატორ დავით კირკიტაძესთან ერთად, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზარალებულ სოფელ არდისუბანსა და კოდა-ფარცხისის გზის 29-ე კმ-ზე სტიქიის შედეგად დაზიანებულ მონაკვეთზე იმყოფებოდა.

თეთრწყაროს მუნიციპალიტეტში ძლიერი წვიმის, სეტყვისა და ქარის შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა დასახლებულ პუნქტებში არსებული გზები, ხიდები და სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები.

მოვარდნილმა ღვარცოფმა კოდა-ფარცხისი-მანგლისი-წალკა-ნინოწმინდის გზის 29 კილომეტრზე არსებულ მონაკვეთს მთლიანად გამოაცალა საფუძველი, რის გამოც აღნიშნულ გზაზე გადაადგილება შეზღუდულია. ჭარბი ნალექის შედეგად არდისუბანში მეწყერიც ჩამოწვა, რის გამოც სოფელი შუაზე გაიყო.

გუშინ რამაზ ნიკოლაიშვილმა შესაბამის სამსახურებს დაავალა, დაუყოვნებლივ დაიწყონ აღდგენითი სამუშაოები კოდა-ფარცხისის მონაკვეთზე. მინისტრი დაზარალებულ მოსახლეობასაც შეხვდა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად დახმარებას დაპირდა. ადგილზე მობილიზებულია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და მუნიციპალიტეტის სპეციალური კომისია, რომელიც დაადგენს ზარალის ოდენობას და შეიმუშავებს გზებს სტიქიის შედეგების აღმოსაფხვრელად და მოსახლეობისათვის მოსალოდნელი საფრთხის ასაცილებლად. **მედიანიუსი**

## ლეიბორისტებმა თავისუფლების ქარტია დაიწუნეს



ლეიბორისტული პარტია „თავისუფლების ქარტიას" ნეოფაშიზმისა და დიქტატორული ვნებების მორიგ გამოვლინებას უწოდებს.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ განაცხადა, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დავალებით გამომცხვარი კანონი ე.წ. „თავისუფლების ქარტია" არის ნეოფაშიზმის და დიქტატორული ვნებების მორიგი გამოვლინება, რომელიც ითვალისწინებს იმ თაობის ფიზიკურ და სულიერ განადგურებას, რომლებიც დაიბადნენ და საქმიანობდნენ კომუნისტურ ეპოქაში. მისი თქმით, სწორედ ამის გამო 30 წელს გადაცილებული ადამიანები პრაქტიკულად ჩამოცილებულები არიან სახელმწიფო და სხვა სამსახურებს.

— ეს კანონი, როგორც ამერიკაში მაკარტიზმის დროს, ითვალისწინებს „კუდიანებზე" დევნას, ანუ იმ ადამიანებისა და პოლიტიკური ოპონენტების განადგურებას, ვინც ამ სისხლიანი რეჟიმის მონა და ლაქია არ არის, — აღნიშნა გიორგი გუგავამ.

მისი განცხადებით, აღნიშნული კანონის ამოქმედების შემთხვევაში ისინი მოითხოვენ სააკაშვილისა და მისი ოჯახიდან ლუსტრირების დაწყებას, რომლებიც ღიად თუ ფარულად თანამშრომლობდნენ საბჭოთა სპეცსამსახურებთან.

გუგავას თქმით, ეს დოკუმენტი ისედაც მონსტრად ქცეულ შინაგან საქმეთა სამინისტროს აძლევს ახალ ბერკეტებს, განახორციელოს დევნა იმ ადამიანებზე, რომლებიც არ ეგუებიან იმ დიქტატურას, იმ ტირანიას, რომელიც ქვეყანაშია დამყარებული.

— უნდა დასრულდეს ამ პატარა, სისხლიანი კაცუნების თარეში, — აღნიშნა გუგავამ.

**მედიანიუსი**

## ნაციონალები კურიოზულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ ლევან ვეფხვაძის განცხადებით, გუშინ საქართველოს სახალხო დამცველ გიორგი ტუღუშის ანგარიშის საპარლამენტო განხილვისას, ნაციონალური მოძრაობა„ კურიოზულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

როგორც ვეფხვაძემ გუშინ კავკასიის ინტერნეტმედია კლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა, ნაციონალური მოძრაობის„ წევრმა დეპუტატებმა ტუღუშს დიდი სამუშაოს ჩატარებისათვის ერთი მხრივ, მადლობა გადაუხადეს, ხოლო მეორე მხრივ, უარი თქვეს იმ სახელმწიფო მოხელეების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაზე, რომელთა დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ სახალხო დამცველის აპარატის მიერ მომზადებულ ანგარიშშია მოხსენიებული.



— ანგარიშში ათეულობით სახელი და გვარია მოხსენიებული, რომელთა არა მხოლოდ თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, არამედ მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეც უნდა აღიძრას. ამ ყველაფერზე ნაციონალურმა მოძრაობამ„ უარი განაცხადა, რის გამოც ძალიან კურიოზულ სიტუაციაში აღმოჩნდა, როდესაც სახალხო დამცველს მადლობა გადაუხადა. ნაციონალურ მოძრაობას კიდევ ერთი ვარიანტი ჰქონდა: მათ უნდა ეთქვათ, რომ ტუღუში, ისევე როგორც თავის დროზე სოზარ სუბარი, პოლიტიკურად ანგაჟირებული პიროვნებაა და მისი სახალხო დამცველის თანამდებობაზე დატოვება მიუღებელიაო, მაგრამ ეს არ თქვეს, რადგან მიხვდნენ, რომ ამ შემთხვევაში საზოგადოებაში სამართლიანი ეჭვები გაჩნდებოდა. როგორ შეიძლება ყველა სახალხო დამცველი პოლიტიკურად ანგაჟირებული იყოს? ცხადია, ეს შეუძლებელია, — განაცხადა ლევან ვეფხვაძემ და დასძინა, რომ ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით ნაციონალური მოძრაობა გუშინ სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენითა და მადლობის გადახდით შემოიფარგლა.

„ნაციონალური მოძრაობა" იმ მინისტრებს და სახელმწიფო მოხელეებს, რომელთა პასუხისმგებლობის საკითხი რეალურად უნდა დადგეს, მხოლოდ ერთი ნიშნით — პარტიული ნიშნის გამო იცავს.

მმართველი პარტია მხოლოდ იმის გამო იცავს იგივე ხათუნა კალმახელიძეს და კობა სუბელიანს, რომ ეს უკანასკნელები ნაციონალური მოძრაობის წევრები არიან. ჩვენთვის საკითხისადმი ამგვარი მიდგომა კატეგორიულად მიუღებელია„, — განაცხადა ვეფხვაძემ.

**მედიანიუსი**

# საქართველო არ აპირებს ჟენევის ფორმატში მოლაპარაკებების შეწყვეტას

*ნათია ხურცილავა*

**საქართველოს სამდღიანი ვიზიტით შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი ეწვია. ბილდტი საქართველოს სამხრეთ კავკასიის ტურნეს ფარგლებში ეწვია. შვედეთის პირველი დიპლომატი უკვე იმყოფებოდა ჩვენს მეზობელ სახელმწიფო აზერბაიჯანში, საქართველოში ვიზიტის დასრულების შემდეგ სომხეთში გაემგზავრება, სადაც ასევე გამართავს მაღალი დონის ოფიციალურ შეხვედრებს.**




შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სამდღიანი ვიზიტი დღეს სრულდება. ის უკვე შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს და ოპოზიციის რამდენიმე ლიდერს.

კარლ ბილდტმა შეხვედრა გამართა თავის ქართველ კოლეგა გრიგოლ ვაშაძესთან.

ერთსაათიანი შეხვედრის შემდეგ კარ ბილდტმა და გრიგოლ ვაშაძემ პრესისთვის ერთობლივი პრესკონფერენცია ჩაატარეს.

კარ ბილდტი საქართველოში უკვე მერვედ იმყოფება. სანამ ის ოფიციალურ შეხვედრებს გამართავდა, გუშინ ქართველ გმირთა მემორიალი ყვავილებით შეამკო.

კარლ ბილდტის და გრიგოლ ვაშაძის შეხვედრის დროს მთავარი სასაუბრო თემა იყო რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ოკუპირებულ ტერიტორიებში არსებული მდგომარეობა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაზეც მინისტრებმა დახურულ კარს მიღმა ისაუბრეს, ეს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პერსპექტივებს ეხება.

რა ტემპით და როგორ უნდა გაგრძელდეს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოება.

— ჩვენ ვმასპინძლობთ პოლიტიკოსს, რომელსაც საქართველოსთან ბევრი რამ აკავშირებს და რომელიც ყოველთვის მტკიცედ იჩენდა მხარდაჭერას, როდესაც საქმე ეხებოდა ჩვენს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და ჩვენს ევროპულ არჩევანს. ვისაუბრეთ და სერიოზულად განვიხილეთ ის მდგომარეობა, რომელიც რეგიონშია, ასევე განვიხილეთ ის, რომელი სიტუაციაც საქართველოშია. ვისაუბრეთ საქართველოსა და ევროპის კავშირის პერსპექტივებზე. რა ტემპით და როგორ უნდა გაგრძელდეს საქართველოს დაახლოება ევროკავშირთან. ასევე ვისაუბრეთ იმ საკითხებზე, რომელიც მალე წამოიჭრება საქართველოსა და შვედეთის, ასევე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე, განსაკუთრებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე. რა თქმა უნდა, ვისაუბრეთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე. ალბათ არც საჭიროებს იმის აღნიშვნა, რომ დიდი ყურადღება დავუთმეთ ორმხრივ ურთიერთობებს, — აღნიშნა გრიგოლ ვაშაძემ.

კარლ ბილდტის განცხადებით, ისინი აკვირდებიან პროცესების განვითარებას დემოკრატიის კუთხით.

შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ასევე ისაუბრა სამხრეთ კავკასიის როლზე და ამ სახელმწიფოების განსხვავებულ სტანდარტებზე.

— ჩვენ ვაკვირდებით პროცესების განვითარებას დემოკრატიის კუთხით. ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატში გაიმართება სამიტი სექტემბერში ვარშავაში. ახლა მიმდინარეობს მზადება ამ სამიტისთვის. რაც შეეხება საქართველოს, საქართველო არის ის ქვეყანა, რომელსაც ყველაზე კარგი შედეგები აქვს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში, ვიმედოვნებთ, რომ სხვა ქვეყნებიც დაეწევიან, მაგრამ სტანდარტები განსხვავებულია, როდესაც საქმე ეხება აზერბაიჯანსა და სომხეთს, — აღნიშნა კარლ ბილდტმა.

შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ყარაბაღის კონფლიქტის შესაძლო მოგვარებაზეც ისაუბრა. მისი თქმით, ეს საკითხი უკვე ზღურბლზეა მისული.

— რაც შეეხება ყარაბაღის კონფლიქტს, მისი გადაწყვეტის მიზნით მოლაპარაკებები მიმდინარეობს მინსკის ფორმატში. ეს არის კონფლიქტი, რომელიც არამხოლოდ ამ ორ ქვეყანაზე აისახა ცუდად, არამედ მთლიანად რეგიონზე. ჩვენ ძველი კონფლიქტის გადაწყვეტის დაწყების ზღურბლზე ვართ. ვიმედოვნებთ, რომ ყაზანში დაგეგმილ შეხვედრაზე პოზიტიური შედეგები იქნება მიღწეული, — განაცხადა კარლ ბილდტმა.

კითხვა, რომელიც კარლ ბილდტს ჟურნალისტებმა დაუსვეს, ჟენევის მოლაპარაკებებიდან საქართველოს შესაძლო გასვლას ეხება.

ჟენევის ბოლო შეხვედრიდან დაბრუნებულმა გიგა ბოკერიამ განაცხადა, რომ იმ ფონზე, როდესაც საქართველოს ტერიტორიებზე რუსეთის ფედერაცია ტერაქტებს გეგმავს, აზრი ეკარგება მოლაპარაკებების გაგრძელებას.

გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, საქართველო არ აპირებს ჟენევის ფორმატში მოლაპარაკებების შეწყვეტას.

უშიშროების საბჭოს მდივნის განცხადების ციტირებაც კი მოახდინა საგარეო საქმეთა მინისტრმა და განაცხადა, რომ ბოკერიას ასე არ დაუყენებია საკითხი.

— არა მგონია, ვინმე ოფიციალურ პირს ეთქვას, რომ შევწყვიტოთ მოლაპარაკებები ჟენევაში. ბოკერიამ განაცხადა, ტერაქტის მცდელობა საფრთხეს უქმნის ჟენევის მოლაპარაკებებს. ჩვენ რუსეთს მარტივად ვეუბნებით, ვერ იმოქმედებ ისე, რომ ტერორისტები შემოგვიგზავნოთ და მერე ჟენევაში მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდნენ ჩვენთან, — განაცხადა ვაშაძემ.

კარლ ბილდტმა კი ღიად განაცხადა, რომ ის არ ურჩევს საქართველოს ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატიდან გასვლას და რომ მოლაპარაკებები არ შეწყდეს.

— ჩემი პასუხი ასეთია ამ საკითხზე: ჟენევის ფორმატი ძალიან მნიშვნელოვანია მიუხედავად იმისა, რომ დიდი პროგრესი შეიძლება ამას არ მოჰქონდეს. მნიშვნელოვანია, რომ უწყვეტი პროცესი იყოს, რადგან ეტაპობრივად შეიძლება წვლილი იქნას შეტანილი პროგრესის მიღწევაში, — განაცხადა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

რაც შეეხება ტერაქტების დაგეგმვას და შემდეგ განხორციელებას რუსეთის ფედერაციის მხრიდან ამ ფონზე, რამდენად რეალურია მოლაპარაკებებში შედეგის მიღწევა, ბილდტი აცხადებს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით კითხვები უნდა წამოიჭრას.

— კითხვები ტერაქტების მცდელობაზე უნდა წამოიჭრას, რომ მივიღოთ პასუხები, მაგრამ ჯერჯერობით პასუხები არ გვაქვს, — ამბობს შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.

კიდევ ერთი კითხვა, რაზეც კარლ ბილდტმა უპასუხა, რუსეთის ფედერაციის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხია.

— მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანება საქართველოსთვისაც სასარგებლო იქნება.

ვაშაძის განცხადებით, საქართველო არ ეწინააღმდეგება რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას.

— საქართველო, ჟენევაში რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების დასაბლოკად არ ჩადის, არამედ ჩავდივართ, ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებები რომ იყოს მიღებული, — აცხადებს ვაშაძე.

## წყლის ინდივიდუალური მრიცხველების მონტაჟი დედაქალაქის უბნებში მიმდინარეობს

წყლის ინდივიდუალური მრიცხველების მონტაჟი დედაქალაქის სხვადასხვა უბანში კერძო სახლებში მიმდინარეობს.



ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" კომპანიიდან „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერიდან" აცნობეს, წლის ბოლომდე 50000 აბონენტი გამრიცხველიანდება. კომპანიამ გამრიცხველიანება მიმდინარე წლის 1 ივნისიდან დაიწყო. უკვე დასრულდა საპილოტო პროექტი, რომლის ფარგლებში, ისანი-სამგორის რაიონში მდებარე "მეტრომშენის" დასახლებაში 200 ერთეული ინდივიდუალური მრიცხველი დამონტაჟდა.

კომპანიის ტექნიკური დირექტორის ომარ გოცირიძის განცხადებით, გამრიცხველიანება პოზიტიურად აისახება თბილისში მცხოვრები თითოეული ოჯახის ბიუჯეტზე, რადგან გამრიცხველიანებული აბონენტი თავის ბიუჯეტსაც დაზოგავს და სასმელ წყალსაც რაციონალურად მოიხმარს.

მისი განმარტებით, ოთხსულიანი ოჯახი, რომელიც ფიქსირებული გადასახადით, ყოველთვიურად 12,6 ლარს იხდის, მრიცხველის მონტაჟის შემდეგ, დღეღამეში 1 სულზე 150 ლიტრის მოხმარების შემთხვევაში, ყოველთვიურად 5 ლარამდე გადაიხდი. ამასთან, არც წყლის ტარიფი შეიცვლება და 1 კუბური მეტრი წყლის მოხმარებისთვის ისევ 26,6 თეთრი იქნება.

ომარ გოცირიძის თქმით, მოსახლეობის გამრიცხველიანება თბილისის უწყვეტი წყალმომარაგების პრობლემის გადაჭრასაც შეუწყობს ხელს.

კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილე ჰელმუტ ვეიდელი კი აცხადებს, რომ ერთი აბონენტის გამრიცხველიანებისთვის გასაწევ ხარჯში შედის როგორც მრიცხველის, ასევე გამრიცხველიანებისთვის საჭირო ყველა აქსესუარის შეძენისა და შემდგომი მონტაჟის ხარჯები. მათ დაფარვას აბონენტი მრიცხველის დამონტაჟებიდან 6 თვის შემდეგ დაიწყებს და 24 თვის განმავლობაში ეტაპობრივად, მიმდინარე გადასახადთან ერთად გადაიხდის. თითოეული აბონენტის გამრიცხველიანება "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს" 100 ლარზე მეტი უჯდება.

**ინტერპრესნიუსი**

# აფხაზეთის ეროვნული გმირი ქართველებთან შერიგების მომხრეა

## იბრაგიმ იაგანოვი ჩერქეზების გენოციდის აღიარების გამო მადლიერია

თეა მარხვაი ე

**ვისაც აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტთან შეხება აქვს, აუცილებლად ექნება გაგონილი იბრაგიმ იაგანოვის სახელი. ის ჩვენს წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდა და ჩრდილოკავკასიელთა მოხალისეთა ბატალიონს ედგა სათავეში. ამ ბატალიონმა ბევრი ქართველის სიცოცხლე შეიწირა.**



თავის დროზე მას მიაჩნდა, რომ ის აგრესორი საქართველოსგან იცავდა აფხაზებს. თავის ქმედებებს არ ნანობდა და ალბათ დიდხანს იყო ბედნიერი იმით, რომ მოძმე აფხაზები ქართველების ტყვეობისგან იხსნა.

შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა. ეს კონფლიქტი ბევრმა შეაფასა და გადააფასა. დღეს აფხაზეთშიც მრავლად გამოჩნდნენ მებრძოლები, რომლებიც უკვე ვეღარ ხვდებიან, რატომ იბრძოდნენ საქართველოს წინააღმდეგ.

ეს ხალხი ამ დასკვნამდე რუსეთის პოლიტიკამ მიიყვანა. იმ პოლიტიკამ, რომელიც მოკლე ხანში აფხაზებისგან და აფხაზეთისგან არაფერს დატოვებს. რამდენიმე რუს პოლიტიკოსს ღიად აქვს ნათქვამი, რომ მათ აფხაზეთის მარტო მიწა სჭირდებათ, აფხაზები და მათი დამოუკიდებლობა სულ ფეხებზე ჰკიდიათ.

ამ მხრივ საინტერესო პოზიცია დააფიქსირა იბრაგიმ იაგანოვმა. „ექსპერტთა კლუბმა" იაგანოვის შეხედულებები გამოაქვეყნა.

ეს უკანასკნელი ყაბარდო-ბალყარეთის საზოგადოებრივი მოძრაობის „ხასეს" თავმჯდომარეა. ის 1963 წელს ჩეგემის რაიონის სოფელ ნართანში დაიბადა. დამთავრებული აქვს ბაქოს მილიციის სკოლა და სოხუმის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. იგი ყაბარდო-ბალყარეთის საცხენოსნო სპორტის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და უნიკალური ყაბარდოული ჯიშის ცხენსაშენის მფლობელია.

აფხაზეთის 90-იანი წლების კონფლიქტის დროს სრულიად ახალგაზრდა იბრაგიმ იაგანოვი მოხალისეთა ბატალიონს ხელმძღვანელობდა და მინიჭებული აქვს აფხაზეთის გმირის წოდება. სარგებლობს ყაბარდო-ბალყარეთში აფხაზეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლის სტატუსით. 2009 წლის დეკემბერში და 2010 წლის აპრილში დღემდე დაუდგენელმა პირებმა იაგანოვის მიმართ განახორციელეს ტერორისტული თავდასხმები.

აფხაზეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის პრობლემებით დაინტერესებული წრეებისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება ასეთი ბიოგრაფიის მქონე პიროვნების მოსაზრებები და შეფასებები კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესებზე, რომელთაგან ნაწილი შეიძლება მიუღებელი იყოს, მაგრამ გარკვეული ნაწილი უდავოდ იმსახურებს ყურადღებას, რადგან მასში კავკასიური ტრადიციების პატივისცემა იგრძნობა და სამომავლო პერსპექტივები რეალურად და პირუთვნელად არის წარმოსახული.

— ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ მთელი დარჩენილი ცხოვრება საქართველოსთან მტრობაში უნდა გავატაროთ. 90-იან წლებში ერთმა მუჭა ავანტურისტებმა ერთმანეთს გადაკიდა ეს ორი ხალხი, ქართველ ხალხთან ჩვენ არანაირი პრობლემები არ გვაქვა, — განაცხადა იაგანოვმა.

„ექსპერტთა კლუბში" მიაჩნიათ, რომ იაგანოვის ეს სიტყვები სერიოზული მინიშნება იყო იმ პოლიტიკოსების მიმართ, ვინც ჩინურ კედლებს აშენებს ქართველ ხალხთან გასამიჯნად და საუკუნო მტრობას უცხადებს მათ.

ჩვენი ექსპერტების განმარტებით, რამდენიმე დღის წინ საინფორმაციო საშუალებების მიერ დასმულ კითხვებზე იაგანოვი არ მოერიდა პირდაპირ გამოთქმებს და განაცხადა, რომ დამოუკიდებელი აფხაზეთის ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში წარმოდგენილი არიან რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები. ყველა სამთავრობო თათბირს და შეკრებას პრეზიდენტთან აუცილებლად ესწრება რუსეთის ელჩი. თავდაცვის სამინისტროს ყველა დანაყოფში ჩართული არიან რუსეთის ოფიცრები. მთელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, თვით გალის საზღვრამდე, დგანან რუსეთის ჯარები. ეს უკვე დახმარება კი არა, უფრო ოკუპაციაა. ნებისმიერ დროს, თუ აფხაზეთი უარს იტყვის შეასრულოს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მოთხოვნები, ეს ჯარები მაშინვე იქნება გამოყენებული. ასეთ ფონზე მოხდა აფხაზური ჯარის სრული დეგრადირება. შეიძლება ითქვას, რომ აფხაზური ჯარი უკვე აღარ არსებობს, რამდენიმე შემორჩენილი აფხაზური სამხედრო დანაყოფი უკვე აღარავითარ როლს აღარ ასრულებს.

— მიმდინარეობს მძლავრი ეკონომიკური ექსპანსია. ფედერალური ხელისუფლება თხოულობს მათთვის მნიშვნელოვანი ობიექტების, მათ შორის აგარაკების გადაცემას, რომელიც ადრე სახელმწიფოს ეკუთვნოდა. ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვან. შეიძლება მათი არენდით გადაცემა და არა რუსეთის სტუქტურებისათვის საკუთრებაში დამტკიცება. ოლიმპიური კომიტეტი, რომელიც მშენებლობებს აწარმოებს ქ.სოჭში, ძალიან აგრესიულად მოითხოვს სახელმწიფო საზღვრის გადალახვას. საუბარია აიბგას 160 კვადრატული კილომეტრის გადაცემაზე და საზღვრის 40 კილომეტრით აფხაზეთის სიღრმეში გადაწევაზე. ეს ღონისძიება მიზნად ისახავს სახელმწიფო საზღვრის დაშორებას ოლიმპიადის ზონიდან. ყოველივე ეს შეიძლება შეფასებულ იქნას, როგორც რუსეთის ექსპანსია და აფხაზეთის დამოუკიდებლობის ჩაბარება რუსეთის ხელისუფლების ფედერალური სტრუქტურებისათვის, — ამბობს იაგანოვი.

მისი თქმით, პოლიტიკური და ეკონომიკური რეალიებიდან გამომდინარე, აფხაზეთი იძულებულია ანგარიში გაუწიოს რუსეთის ხელისუფლებას.

— ფაქტიურად აფხაზები, ისე როგორც ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები, რუსულ ფინანსურ ნემსზე სხედან და მთლიანად დამოკიდებული არიან კრემლზე. მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეს დროებითი მოვლენაა და აფხაზეთის საყრდენი სამომავლოდ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები და განსაკუთრებით ყაბარდო იქნება. რაც შეეხება აფხაზეთის ხელისუფლებას, უნდა ითქვას, რომ ხელისუფლები მოდიან და მიდიან, ისტორია და ხალხი კი რჩება. „კრასნაია პოლიანაში" გაანადგურეს და დღესაც ნადგურდება ჩვენი ხალხის უდიდესი ისტორიული ძეგლები. იქ ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები და მე არ შემიძლია დავეთანხმო მათ ძვლებსა და საფლავებზე ოლიმპიადის ჩატრებას, — მიიჩნევს იაგანოვი.

ის ქართველებს ჩერქეზების გენოციდის აღიარებასაც გვიწონებს და მიაჩნია, რომ ეს აუცილებლად გამოიღებს შედეგს.

— საქართველოს მიერ ჩერქეზების გენოციდის ცნობა ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი საერთაშორისო თანამეგობრობისკენ. ჩერქეზული საკითხი დღემდე ტრიალებდა შინაგან წრეში. ახლა ის გავიდა პოლიტიკურ არენაზე. იგი მალე გახდება ევროკავშირისა და ევროპარლამენტის განხილვის საგანი. მას უყურადღებოდ არ დატოვებენ არც ბალტიისპირა ქვეყნები და არც ფინეთი და პოლონეთი. გენოციდის ცნობამ ახალი გზა გაუხსნა ჩერქეზ ხალხს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას. მათ შესაძლებლობა მიეცემათ თავისუფლად გადაადგილდნენ იმ ქვეყნებში, რომლებიც ცნობენ გენოციდს და მიიღებენ იქაურ უმაღლეს სასწავლებლებში ცოდნას, — მიაჩნია იაგანოვს.

მისი განცხადებით, საქართველომ უკვე შეასრულა თავისი როლი. ახლა საჭიროა აღდგეს საქართველოსთან ძველი ნათესაური და მეგობრული კავშირები.

— ჩერქეზებს არ მიუმართავთ აფხაზებისთვის გენოციდის ცნობის შესახებ, რადგან ასეთი თხოვნა ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა მათ რუსეთთან მიმართებაში.

საქართველოს მიერ ჩერქეზეთის ცნობაში არავითარი ანგარება არ ყოფილა. ამ საკითხში ერთმანეთს დაემთხვა საქართველოს და ჩერქეზეთის პოლიტიკური ინტერესები. საქართველოს პარლამენტისადმი მადლობის წერილის ავტორებს არავითარი ვალდებულება არ აულიათ, ამისთვის არაფერი არ არის გადასახდელი მადლობის გარდა. კოლონიალიზმის ეპოქა ისტორიას ჩაბარდა. ბევრი კოლონიალური ქვეყანა განთავისუფლდა კოლონიალური წარსულისაგან და მათ ბოდიში მოიხადეს ყოფილი კოლონიური ხალხების მიმართ. სამწუხაროდ, რუსეთს უჭირს ამ ბარიერის გადალახვა. იქ დღემდე დომინირებს იმპერიული ამბიციები, რაც დღეს შლის და ანადგურებს ამ ქვეყანას. რუსეთი დაშლის ზღვარზეა მისული. რუსეთის ხელისუფლების იმპერიული ამბიციები ვლინდება არა მარტო კავკასიელების, არამედ საკუთარი ხალხის მიმართაც. უზარმაზარ ტერიტორიაზე გადაშლილი ყველაზე მდიდარი ქვეყნის მოსახლეობა, მოსკოვის გარდა, სილატაკის ზღვარზეა მისული. ეს არის მეტროპოლიის თავის კოლონიებთან დამოკიდებულების შედეგი, რისი აღიარებაც რუსეთის ხელისუფლებას არ უნდა, — აცხადებს ყაბარდოელი მებრძოლი.

„ექსპერტთა კლუბის" განმარტებით, იაგანოვმა ძალიან მნიშვნელოვანი და გაბედული განცხადება გააკეთა.

ამის მიუხედავად, ქართველი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ იაგანოვს ბევრი საკითხისთვის აქვს გვერდი ავლილი. ის დიალოგის აუცილებლობაზე საუბრობს. თუმცა გადაწყვეტილი არა აქვს, ჩამოვა თუ არა საქართველოში.

ამიტომ მას „ექსპერტთა კლუბი" საგანგებოდ ეპატიჟება საქართველოში.

— მოერიეთ საკუთარ თავს, ბატონო იბრაგიმ, და ჩამობრძანდით საქართველოში. აქ ჯერ კიდევ სცემენ პატივს ფიცის და მიცემული სიტყვის არგამტეხ ადამიანებს. ქართველები კვლავ სათუთად ექცევიან დიდ ქართველ პოეტს ვაჟა-ფშაველას, რომელიც თაობებს მოძღვრავდა და განაწყობდა კავკასიური ტრადიციების თაყვანისცემისკენ. „დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა". გეპატიჟებით, ბატონო იბრაგიმ, საქართველოში. შეიძლება თქვენი სტუმრობა გახდეს იმ დიდი შემობრუნებისა და ურთიერთმიტევების დასაწყისი, რაც ესოდენ ესაჭიროება ჩვენს ხალხებს, — ასეთია „ქართველი ექსპერტების" მოსაზრება.

იაგანოვის საქართველოში ვიზიტი მართლაც მნიშვნელოვანი იქნებოდა. ის თავის ხალხში პატივისცემით სარგებლობს და ამდენად, მისი ვიზიტი კავკასიელებთან ურთიერთობის მოგვარებაში ძალიან დაგვეხმარება.

უკვე დროა საქართველომ მოაგვაროს უთანხმოებები კავკასიელებთან. ჩვენ თავის დროზე მათთან აქტიურად და სწორად რომ გვემუშავა, აფხაზეთში შესაძლოა ჩვენს წინააღმდეგ ასე აქტიურად არ ეომათ.

ეს შეცდომა ვერც შემდეგში გამოვასწორეთ. ამიტომაც იყო, რომ აგვისტოს ომის დროს ისინი ისევ იბრძოდნენ ჩვენს წინააღმდეგ.

როგორც ჩანს, ჩვენმა ხელისუფლებამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. კავკასიელებს ცოტა სხვა მენტალიტეტი აქვთ, მათ ძმობის და მიცემული სიტყვის ფასი იციან. ამდენად, ისინი კონფლიქტის მოგვარებაში აუცილებლად დაგვეხმარებიან. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება.

### სერგო ჯავახიძე:

# „რვიანის" გაფართოების იდეას რესპუბლიკური პარტია ბლოკავს

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერ სერგო ჯავახიძის აზრით, „ოპოზიციური რვიანის" გაფართოების იდეას რესპუბლიკური პარტია ბლოკავს.

როგორც ჯავახიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა, რესპუბლიკურ პარტიას რვიანის„ გაფართოება ხელს არ აძლევს, რადგან ამ შემთხვევაში მომდევნო საპარლამენტო არჩევნებში იმდენ მანდატს ვერ მოიპოვებს, რამდენი ამბიციური წევრიც ჰყავს.



„რვიანი" საარჩევნო გარემოსათვის ბრძოლას კრახით დაასრულებს, რადგან მის რიგებშია საქართველოს რესპუბლიკური პარტია. იქ, სადაც რესპუბლიკური პარტიაა, ოპოზიციის კონსოლიდაცია ვერასდროს მოხერხდება.

— გვაქვს ინფორმაცია, რომ სწორედ რესპუბლიკელები ბლოკავენ „რვიანის" გაფართოების იდეას. იმ შემთხვევაში თუ „რვიანის" მუშაობაში უფრო მეტი პოლიტიკური პარტია ჩაერთვება, მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნებისათვის რესპუბლიკელები თავისი პარტიის ამბიციების დასაკმაყოფილებლად საკმარის მანდატებს ვერ მოიპოვებენ, — განაცხადა ჯავახიძემ და დასძინა, რომ მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" მხარს უჭერს აიფიეს-ის პროექტის ხელისუფლებასა და 16 ოპოზიციურ პარტიას შორის მოლაპარაკებების პროცესის აღდგენას.

— საარჩევნო გარემოს შეცვლისათვის ბრძოლა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ ამ პროცესში უფრო მეტი პოლიტიკური პარტია, დამოუკიდებელი ექსპერტები და საზოგადოების წარმომადგენლები იქნებიან ჩართულები. თუ მოლაპარაკებების აიფიეს-ის პროექტი აღდგება, ჩვენ მზად ვართ, ერთი კვოტა დავუთმოთ ლევან გაჩეჩილაძეს ან ამ პროექტში მონაწილეობის მსურველს სხვა რომელიმე პოლიტიკურ ფიგურას, — განაცხადა ჯავახიძემ.

მედიანიუსი

# საქართველოსა და სურინამს შორის პოლიტიკური კონსულტაციები გაიმართა

საქართველოსა და სურინამის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის პოლიტიკური კონსულტაციები გაიმართა.



საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, პოლიტიკური კონსულტაციების გამართვის მიზნით სურინამის დედაქალაქ პარამარიბოს ოფიციალური ვიზიტით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია მინისტრის მოადგილის დავით ჯალაღანიას ხელმძღვანელობით ეწვია.

დავით ჯალაღანია სურინამის საგარეო საქმეთა მინისტრს უინსტონ ლეკინს შეხვდა. გაიმართა პოლიტიკური კონსულტაციები, რომელსაც სურინამის მხრიდან თანათავმჯდომარეობას საგარეო საქმეთა სამინისტროს მოქმედი მუდმივი მდივანი რობი რამლახანი უწევდა.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოსა და სურინამს შორის ორმხრივი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარების და საერთაშორისო ორგანიზაციებში თანამშრომლობის საკითხები.

ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაციის სურინამის სავაჭრო-სამრეწველო პალატაში, რომლის დროსაც მხარეებმა ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობა განიხილეს. სურინამის მხარე საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან და ქართველ ბიზნესმენებთან თანამშრომლობის გაღრმავებით დაინტერესდა.

ინტერპრესნიუსი

# სახაზინო ვალდებულებების აუქციონი გაიმართა

გუშინ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე 15 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 364 დღიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა. აუქციონში მონაწილეობა მიიღო 5 კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ 23 000 000 ლარი შეადგინა. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 9.220%-ით განისაზღვრა, მაქსიმალური 9.430%-ით, ხოლო საშუალო შეწონილი - 9.366% ით განისაზღვრა.

მედიანიუსი

# სააკაშვილი და ბურჯანაძე, როგორც პოლიტიკოსები, არასდროს მომწონდნენ

გულიკო ბალა ე

**ინტერვიუ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ადა მარშანიასთან**



***— ქალბატონო ადა, რამდენადაც ვიცი, 26 მაისის აქციისა და სახალხო კრების ზოგიერთი ლიდერის მიმართ თქვენი დამოკიდებულება არცთუ ისე დადებითი იყო. რამ გადაგაწყვეტინათ აქციაზე მისვლა?***

— მე არ ვარ სახალხო კრების წევრი. უბრალოდ, როდესაც მანიფესტაციამ რუსთაველზე გადმოინაცვლა, ტრიბუნები დაიკავა და დააყენა მოთხოვნა, აღლუმი არ ჩატარებულიყო, მე ამ იდეას აბსოლუტურად გულმხურვალედ ვემხრობოდი. 25 მაისს საღამოს უკვე პოლიტიკურად, მორალურად, ზნეობრივად, ადამიანურად აბსოლუტურად სწორი მოთხოვა იყო და სხვათა შორის, შესრულებადი. არა მხოლო სახალხო კრებას, არამედ მთელ პოლიტიკურ სპექტრს და საზოგადოებას ამაზე თავიდანვე რომ ემუშავა, ჩვენ ამ მიზანს მივაღწევდით და აღლუმი არ ჩატარდებოდა.

***— ამას თქვენთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა?***

— რა თქმა უნდა, ეს იყო პრინციპული და უფრო შესრულებადი საკითხი, ვიდრე „მიშა, წადი“. ადამიანმა, რომელმაც კოდორის ხეობა ჩააბარა, დღენახევარში დაკარგა 152 სოფელი, სამარცხვინოდ მოიქცა გორთან, მას არც მორალური, არც პოლიტიკური და არც ადამიანური უფლება არ აქვს დედაქალაქის მთავარ გამზირზე აღლუმი მიიღოს. აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად გამართლებული იყო მოთხოვნა, სააკაშვილს აღლუმი არ მიეღო. ამიტომ მეც დავუჭირე მხარი ამ მოთხოვნას და აქციას შევუერთდი.

***— 25 მაისს საღამოს მიხვედით?***

— დიახ. საღამოს მივედი, სიტყვით გამოვედი. ცოტა ხანი ტრიბუნაზე დავრჩი და შემდეგ წამოვედი, რადგან გადაცემაში უნდა მიმეღო მონაწილეობა პირდაპირ ეთერში. რადიო „ობიექტივში“ გადაცემაც მიმყავს. გვიან საღამოს, სახლში მივედი, რომ ჩაი მაინც დამელია. დაღლილი ვიყავი, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ დარბევისკენ მიდიოდა საქმე. ამიტომ ღამით გულმა ვერ მომითმინა, ტელევიზორთან ვერ გავჩერდი და წამოვედი. ჩვენ ალბათ ყველა ვუყურებდით ტელეკომპანია „მაესტროს“ (დიდი მადლობა მას ამისთვის), სახლში ვერ გავჩერდი, ვიფიქრე, მივალ ჩემს მეგობრებთან და ნაცნობებთან-მეთქი. უამრავი ჩემი ნაცნობი, მეგობარი და დევნილი იყო აქციაზე. თუმცა, აქციაზე იმიტომ წავედი, მივხვდი, რომ ნამდვილად დაარბევდნენ. უნდა მეთქვა, რომ ნამდვილად დაარბევდნენ და თუ დაიწყება დარბევა, ძალიან გთხოვთ, არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწიოთ, მშვიდად დავიშალოთ და წავიდეთ-თქო. ამ თხოვნით მინდოდა მათთან მისვლა. 12 საათი არც იყო შესრულებული, რომ დარბევა დაიწყო. დარბევა გაზის გაშვებით დაიწყეს. ადამიანს გადაწყვეტილი რომ ჰქონდეს წასვლა, რადგან ხედავს, სპეცნაზი მოდის, ვერ წავა. აღმოჩნდა, რომ ალყაში ვიყავით. მე ვარ ცოცხალი მოწმე იმისა, აქციის მონაწილეები აბსოლუტურად ალყაში როგორ ჰყავდათ მოქცეული.

***— პირადად თქვენ შეურაცხყოფა მოგაყენეს?***

— შეურაცხყოფა რას ნიშნავს? რაც მე იქ დავინახე და მოვისმინე, ის უკვე შეურაცხყოფაა. ჩემთვის, პირადად, თავში ჯოხი არ ჩაურტყამთ, მაგრამ მაინც შეურაცხყოფაა, როცა შენს გარშემო ადამიანებს სცემენ, ხელ-ფეხს უკრავენ, ვინც არანაირ წინააღმდეგობას არ უწევდა. უბრალოდ, ხალხი მოედნიდან გადიოდა, მაგრამ მათაც იჭერდნენ, ხელ-ფეხს უკრავდნენ და ხელებშეკრულებს ურტყამდნენ. ზოგ შემთხვევაში ერთს ათი ურტყამდა. ნუ მომაყოლებ, ჩემს ქმარს რა უქნეს — შვიდმა სპეცრაზმელმა როგორ სცემა.

***— თქვენი მეუღლეც მიტინგზე იყო?***

— ბუნებრივია, ჩემი მეუღლეც ჩემთან ერთად იყო იმიტომ, რომ მარტო არ გამომიშვა. 12-ის ნახევარზე ნორმალური ოჯახის წევრი ქალს გარეთ, რუსთაველზე, მიტინგზე მარტო გამოუშვებს? ჩემმა მეუღლემ მანქანით მიმიყვანა და ჩემთან ერთად იქ იყო, არ მომეშვა, რადგან ხედავდა, რომ მე ძალიან ვღელავდი, სახლში ველარ ვჩერდებოდი. ჩემმა ქმარმა მიტინგზე მიმიყვანა და თვითონ მიიღო დარტყმა. მე მან დამიცვა ტყვიებისგან. გაზისგან ვერ დამიცავდა, გაზისაგან როგორ უნდა დაიცვა თავი, თუ პირბადე ან ნიღაბი არ გაქვს? თანაც არანორმალური რაოდენობის გაზს უშვებდნენ. მერე უკვე ადამიანი თავისთავად ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ უწევს და იქიდან ვერც გადის, რადგან ვერაფერს ხედავს. ცრემლები მოდის გაუჩერებლად, იხრჩობა. გზაც რომ იყოს სადმე წასასვლელი, იმ გზასაც ვერ მიაგნებს. მით უმეტეს, გასასვლელებს ბლოკავდნენ. რუსთაველზე უამრავი ჩასახვევია, მაგრამ ყველა ჩაკეტილი იყო ხუთრიგად. სპეცრაზმი ხუთრიგად იდგა. ხალხს რომ დაინახავდნენ, რომლებსაც უნდოდაც წასვლა, ტყვიებს თვალში ესროდნენ.

***— მე ქვემოდან მინდოდა ამოსვლა რუსთაველზე, მაინტერესებდა, რა ხდებოდა, მაგრამ ვერ ამოვედი.***

— ვერ ამოხვიდოდი, თუ ძალიან ადრე არ მიხვიდოდი და 12-ის ნახევარზე გვიან თუ შეეცდებოდი ამოსვლას. ჩვენ გაჭირვებით შევედით მიტინგზე ქაშვეთის ეზოდან. თუ 10-11 საათისთვის მიხვიდოდი, იქ იქნებოდი.

***— თუ იცით, კინოთეატრ „რუსთაველში“ რა ხდებოდა?***

— შიგნით რა ხდებოდა არ ვიცი. კინოთეატრ „რუსთაველში“ არ ვყოფილვარ. დიდი რაოდენობით გაზი და ტყვიები მოდიოდა და პირველი, საითაც ადამიანებმა მიაშურეს, ეს იყო კინოთეატრი „რუსთაველი“, მაგრამ ჩაკეტილი იყო. მისი გატეხვა ადვილი არ არის. ხალხს საყვედური არ უნდა ვუთხრათ. უნდა გავიგოთ, რა მდგომარეობაში იყო ხალხი. ნორმალური ადამიანი ხალხს კარს გაუღებდა. ცარიელი ხელებით მისი გატეხვა ძნელი იყო. ადამიანები იხრჩობოდნენ, თავის გადასარჩენად სად არ შევიდოდნენ და რას არ იზამდნენ. საერთოდ, აღმაშფოთებელია იმის თქმა, რას ჰქვია ქონება დაულეწესო. როგორ შეიძლება იმ ადამიანებს საყვედური ვუთხრათ.

***— ამბობენ, რომ გამოყენებული იყო ბგერითი იარაღი. რომელიც ფსიქიკაზე მოქმედებს და ადამიანებს პანიკაში აგდებს.***

— რომელიღაც მანქანა ყვიროდა, მაგრამ ხალხს ამაზე ყურადღების მიქცევის თავი არ ჰქონდა. ხალხი იმას ფიქრობდა, ტყვიებისაგან თავი როგორ დაეცვა. მთავარია, ტყვია თვალში არ მოხვედროდათ. სხვა ადგილზე მოხვედრაც მტკივნეულია, მაგრამ არაუშავს, ადამიანი გადარჩება. ამიტომ ჩემმა მეუღლემ აიღო ერთ-ერთი ფარი, რომელსაც ეწერა: „მიშა წადი“ და ამით სახეს ვიფარავდით. ამან გარკვეულწილად ტყვიებისაგან დაგვიფარა. ჩვენ წავედით სახელმწიფო მუზეუმის მხარეს.

***— ფეხი როგორ იტკინეთ?***

— ფეხი სადღაც გზაში ვიტკინე. უამრავი ადამიანი მორბოდა, უსწორმასწორო ადგილებია და იქ ფეხი ვიღრძე.

***— ქალბატონო ადა, თქვენ სააკაშვილთან ერთად თითქმის ორი მოწვევის პარლამენტში მოგიხდათ ყოფნა...***

— ერთი მოწვევის პარლამენტში ნამდვილად ვიყავით. მერე ის იუსტიციის მინისტრი გახდა.

***— როგორი იყო მაშინდელი მიხეილ სააკაშვილი? თავიდანვე ისეთი იყო, როგორც დღეს არის, თუ უსაზღვრო ძალაუფლებამ და პრეზიდენტობამ აქცია ის მონსტრად?***

— მე ძალიან ცოტას ვიტყვი ამაზე. ერთ ფრაზას გეტყვით. მაშინ მე მის თვისებებში დავინახე (ჩემთვის ერთმნიშვნელოვანი იყო), რომ ეს ადამიანი არც პარლამენტის დეპუტატი არ უნდა ყოფილიყო. ასეთი ადამიანი არც ერთ თანამდებობაზე არ უნდა გამწესებულიყო.

***— საერთოდ ურთიერთობა გქონდათ?***

— სააკაშვილი იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე იყო. მე იურისტი ვარ და კომიტეტის წევრი ვიყავი. არ მახსოვს იურიდიული კომიტეტის არც ერთი სხდომა, სადაც სააკაშვილი თავიდან ბოლომდე მჯდარიყო.

***— კომიტეტის სხდომას თვითონ სააკაშვილი არ ატარებდა?***

— სხდომას დაიწყებდა, 15 წუთი იქნებოდა, შემდეგ ახტებოდა, სადღაც გავარდებოდა. სხდომას კი მისი ერთ-ერთი მოადგილე გააგრძელებდა, ან ნინო ბურჯანაძე, ან ვინმე სხვა. ე.ი. ამ ადამიანს ერთ ადგილზე გაჩერება უჭირდა. 10-15 წუთზე მეტ ხანს ერთ ადგილზე ვერ ძლებდა. მე საერთოდ მიკვირს, ჰქონდა კი მას თავიდან ბოლომდე რომელიმე იურიდიული დოკუმენტი წაკითხული? შეიძლება პატარა განცხადება წაეკითხა თავიდან ბოლომდე. სააკაშვილი მოუსვენარი და უცნაური ადამიანი იყო, რომელიც ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა.

***— მაშინ რამ განაპირობა სააკაშვილის ასეთი დიდი წარმატება?***

— ჩვენი საზოგადოების უვარგისობამ (პირდაპირ ასე ვიტყვი და ვისაც უნდა, იმას ეწყინოს) და, პირველ რიგში, ჩვენი პოლიტიკური სპექტრის უსინდისობამ. ცხადია, ყველას არ ვგულისხმობ, მაგრამ მისი წარმატება პოლიტიკური სპექტრის უსინდისობამ განაპირობა. ვინც მიხეილ სააკაშვილს იცნობდა, თუ სინდისიერი ადამიანი იყო, მისთვის, როგორც პოლიტიკოსისა და „რევოლუციონერისთვის“ მხარი არ უნდა დაეჭირა.

***— ხალხს რეკლამებიც ახსოვს, ვინც მისი სიის პირველ რიგებში იყვნენ. მაგალითად, ბერძენიშვილი. დავითაშვილი, ძიძიგური და ა.შ. დღეს ისინი ოპოზიციაში არიან. მათ ვერ განჭვრიტეს, თუ იცოდნენ, მაგრამ მაინც ვა ბანკზე წავიდნენ?***

— რას ჰქვია არ იცოდნენ. მათ კარგად იცოდნენ, სააკაშვილი ვინ იყო და როგორი იყო. შენ თუ ნორმალური ფსიქიკისა და ჯანსაღი პოზიციის ადამიანი ხარ, მშვენივრად დაინახავ, რომ სააკაშვილისნაირი ტიპის ადამიანი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს ხელისუფლებაში. მით უმეტეს, მაღალ ეშელონებში. ნუთუ ეს ადამიანები ამას ვერ ხედავდნენ. ნუთუ ვერ ხედავდნენ რა ხდებოდა. ვერ დაინახეს იმიტომ, რომ უფრო ძლიერი იყო რევანშის გრძნობა, ვიდრე საღი აზროვნება.

***— ვის მიმართ უნდოდათ რევანში?***

— მაგალითად, შევარდნაძის მიმართ. შევარდნაძე დიდი ხნის წინ რომ უნდა წასულიყო, ეს მეც მშვენივრად ვიცოდი, ბერძენიშვილზე ადრე.

***— ბერძენიშვილები იყვნენ რევანშისტულად განწყობილი?***

— არამხოლოდ ბერძენიშვილები. საერთოდ, ჩვენი საზოგადოება არის რევანშისტული. მუდმივად არის დაყოფა ზვიადისტებად და ანტიზვიადისტებად, შევარდნაძისტებად და ანტიშევარდნაძისტებად, სააკაშვილისტებად და არასააკაშვილისტებად, დევნილებად და არადევნილებად. რევანშისტული, დაყოფილი, არასოლიდარული საზოგადოება გვყავს. ამიტომ ვერ ვიშორებთ თავიდან ასეთ უვარგის და სამარცხვინო ე.წ. პრეზიდენტს. არ მჯერა, რომ დავითაშვილი, ბერძენიშვილი, ძიძიგური ვერ ხედავდნენ, როგორი იყო მიხეილ სააკაშვილი. ზოგს უფრო რევანშისტულმა განწყობამ სძლია, ზოგი კი ფიქრობდა, პარლამენტში მოკალათდებოდა და მიშას მერე მოუვლიდა. აი, მოუარონ ახლა! პირველ რიგში, ბერძენიშვილმა, დავითაშვილმა და ბურჯანაძემ ჩამოგვაცილონ სააკაშვილი. პირველ რიგებში ისინი უნდა დადგნენ და ჯოხის დარტყმა მიიღონ, გაზი ჩაყლაპონ იმ ბრძოლაში, რა ბრძოლასაც ჰქვია მიხეილ სააკაშვილის სწრაფად გასტუმრება.

***— პირველ რიგებში დადგებიან და კვლავ ხელისუფლების პირველ ეშელონებში ყოფნის პრეტენზია ექნებათ. მათ ხელისუფლებაში მოსვლის პრეტენზია აქვთ კიდეც.***

— პირველ რიგებში ეგენი უნდა დადგნენ, ოღონდ რიგით ჯარისკაცებად. ვისაც უნდა მოხვდეს მიშას კეტი, გაზის ჭავლი და ტყვია. არავითარი ლიდერობა და პრეტენზიები, რომ მერე მოვლენ და თანამდებობებზე დასხდებიან. ზოგიერთები მასთან მოლაპარაკებებზე დარბიან. ვარდისფერი რევოლუციისა და ჟვანია-სააკაშვილ-ბურჯანაძის წინააღმდეგი იმიტომ ვიყავი, რომ მათ მე ძალიან კარგად ვიცნობდი მრავალი წლის განმავლობაში. ეს ადამიანები არასოდეს მომწონდნენ, როგორც პოლიტიკოსები. როგორც ადამიანები, როგორები იყვნენ, ეს უკვე მეორე საკითხია. ისეთი ადამიანური თვისებები გამოავლინეს, რომ მათი ყოფნა პოლიტიკაში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. პირველი თვისებაა ავანტიურიზმი. ავანტიურიზმი პოლიტიკაში არის დამღუპველი ქვეყნისთვის. რამდენჯერ მივიღეთ დაღუპვა ქვეყნისთვის, ამდენი კატასტროფა განვიცადეთ ამ ხელისუფლების ხელში, მთელმა ქვეყანამ იცის.

**განცხადება**

**(2998 წლის 24 მარტს გარდაცვლილი თეიმურაზ კენჭა ის მემკვიდრეების საყურადღებოდ**

**გაცნობებთ, რომ ა/წ ცხრა ივნისს ქალბატონ მაია ჭლიკაძის მიერ სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ს.ჩიქოვანის ქ.№16, ნოტარიუსი ეკატერინე ცხადაძე, შემოტანილ იქნა განცხადება 2009 წლის 24 მარტს გარდაცვლილი ქმრის თეიმურაზ კენჭაძესთან ქორწინების პერიოდში ერთობლივად შეძენილ ქონებაზე თავის კუთვნილ წილზე საკუთრების მოწმობის გაცემის თაობაზე.**

**2010 წლის 31 მარტის „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 57-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, თუ შეტყობინებიდან ოცდაათი დღის ვადის ამოწურვამდე ნოტარიუსს არ წარედინა დოკუმენტი, რომელიც სანოტარო მოქმედების შეჩერების ან გადადების საფუძველია, ნოტარიუსი გასცემს საკუთრების მოწმობას ცოცხლად დარჩენილი მეუღლის წილზე.**

**საკუთრების უფლების მოწმობის გაცემა მაია ჭლიკაძემ მოითხოვა შემდეგ ქონებაზე: უძრავი ქონება მდებარე: ქ.თბილისი, ტაშკენტის ქ.№31, ავტომანქანა (ბმვ 523) და წილზე შპს „ლომოიდო“-ში (საიდენტიფიკაციო კოდი 201950941, იურიდიული მისამართი ქ.თბილისი, ხოშარაულის ქ.№30, რეგისტრირებული 18.07.1996 წელს).**

**გთხოვთ 2009 წლის 24 მარტს გარდაცვლილი თეიმურაზ კენჭაძის მემკვიდრეებს და დაინტერესებულ პირებს აღნიშნული მიიღოთ ცნობად.**

**იყიდება**

**შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართით 312.0 კვ.მ და მასზედ არსებული შენობა-ნაგებობები სასარგებლო ფართით 36,7 კვ.მ მისამართზე: ქალაქი ბათუმი, ოსტროვის ქუჩა №103.**

**ფასი შეთანხმებით.**

**<u>მსურველები დაგვიკავშირდით მისამართზე:</u> თბილისი, 0194, ბურძგლას ქუჩა №56, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“, ტელ.: (995 32) 243 97 57, ფაქსი: (995 32) 243 97 67, მობილური: (995 77) 222 545, ვებ-გვერდი: www.SPG.ge; ელ-ფოსტა: info SPG.ge.**

**<u>საკონტაქტო პირი:</u> არჩილ ფირცხალავა — იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი, მთავარი იურისტი.**

## ინდმეწარმეები დააკავეს

დიდი ოდენობით პროდუქციაზე გამოწერილი ყალბი საგადასახადო დოკუმენტაციის დამზადებისა და გასაღების ფაქტზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს ინდივიდუალური მეწარმეები გიორგი მუსერიძე და იოსებ მიროტაძე.

გამოძიებით დადგენილია, რომ აღნიშნულმა პირებმა სხვადასხვა დროს რამდენიმე მოქალაქეს დაუმზადეს და გადასცეს დაახლოებით 72 500 ათასი ლარის სამშენებლო მასალაზე გამოწერილი ყალბი სასაქონლო ზედნადებები. უსაქონლო ოპერაციის შერულებაში გ. მუსერიძემ 8 000 ლარი, ი. მიროტაძემ კი 3500 ლარი აიღო.

სამართალდამცველებმა ბრალდებულები უშუალოდ ფაქტზე დააკავეს. სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ოდენობას ძიება დაადგენს.

მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210 ე მუხლით, რაც ითვალსიწინებს თავისუფლების აღკვეთას ორიდან ხუთ წლამდე ვადით.

**მედიანიუსი**

# „არტ-გენი“ იწყება

ეკა ირემაშვილი

**17 ივნისს ფესტივალი „არტ-გენი“ დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ მირზაანში ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმის ეზოში დაიწყება. ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქართული სახალხო ფესტივალის წლევანდელი თემა განათლებაა.**

ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება ადგილობრივი ხელოვანების შემოქმედება, რეწვა, ფოლკლორი და ქორეოგრაფია. გაიმართება შერეული კონცერტი ჯგუფ „არტ-გენის“ მონაწილეობით. კახეთის შემდეგ ფესტივალი 23 ივნისს ქვემო ქართლში, რუსთავში გაგრძელდება, სადაც თავს მოიყრის რუსთავის, მარნეულის, ბოლნისისა და მათი მიმდებარე სოფლების მოსახლეობა. 25-26 ივნისს კი, კონცერტი სამეგრელოში ქალაქ ფოთთან მალთაყვას ტბის პირას გადაინაცვლებს. ფესტივალში სამეგრელოს თითქმის ყველა რაიონის წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას. რეგიონების ტურზე გამოვლენილი საუკეთესო მონაწილეები თბილისში, ეთნოგრაფიულ მუზეუმში, 15-26 ივლისს გამართულ „არტ-გენის“ დასკვნით ტურზეც წარდგებიან.

ეთნოგრაფიულ მუზეუმში ფესტივალზე ტარადიციულად წარმოდგენილი იქნება, ხალხური რეწვის გამოფენა, ქართული საბრძოლო ხელოვნების საჩვენებლი წარმოდგენები, ფოლკლორული კონცერტი სხვადსხვა რეგიონების წარმომადგენელთა მონაწილეობით. დღის ბოლოს კი, გაიმართება შერეული კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ნიაზ დიასამიძე და „33ა“, „ზუმბალენდი“, ნინო ქათამაძე, „ჩვენებურები“, „სუხიშვილები“, „ხიდი“, „რეგიონი“, „ფრანი“. წლევანდელ ფესტივალს ესტუმრებიან უცხოელი ხელოვანები საფრანგეთიდან, ესტონეთიდან, უკრაინიდან, ავსტრიიდან და სენეგალიდან.

ფესტივალი „არტ-გენი“ მუსიკოსების ზაზა კორინთელის (ზუმბას) და ნიაზ დიასამიძის ინიციატივით 2003 წელს დაფუძნდა. ფესტივალის ძირითადი მიზანია საქართველოს ხალხური და ტრადიციული შემოქმედების პოპულარიზაცია, ამ დარგის უცნობი და ნაცნობი ნიმუშების მოძიება და საზოგადოებისათვის გაცნობა. ასევე, ყოველი მოძიებული მასალის დაარქივება და მომავალი თაობებისთვის გადაცემა. ფესტივალის ფინანსური მხარდამჭერი ევროკავშირია.

„არტ-გენის“ ინიციატივით არაერთი სხვადასხვა ტიპის ღონისძიება იმართება, მათ შორის საქველმოქმედოც. გაზაფხულზე ქართული საბრძოლო ხელოვნების წევრის გადასარჩენად საქველმოქმედო კონცერტი ფესტივალ „არტ გენის“ ინიციატივით კლუბ 33ა-ში გაიმართა. მასში მონაწილეობას ცნობილი ქართველი შემსრულებლები და ჯგუფები იღებდნენ. ყველა ერთად კავშირი „ქართული საბრძოლო ხელოვნების“ წევრის ნიკოლოზ ლაცაბიძის სიცოცხლის გადასარჩენად გაერთიანდა. კონცერტში მონაწილეობდნენ ნიაზ დიასამიძე, „ჩვენებურები“, „მგზავრები“, „ფრანი“, „ნიკოლშოუ“ და „გორდელა“. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ქართული საბრძოლო ხელოვნების საჩვენებელი გამოსვლა. კავშირმა „ქართული საბრძოლო ხელოვნება“ უნიკალური ქართული საომარი ხელოვნების, ტრადიციების გადარჩენასა და აღორძინებაში უდიდესი წვლილი შეიტანა და მათი ჩათვლით მთელი ქართველი ერი ვალდებულია „ქართული საბრძოლო ხელოვნების“ გვერდით დადგეს, მით უმეტეს, როცა საქმე ადამიანის სიცოცხლეს ეხება. ნიკოლოზ ლაცაბიძეს თავის არეში ანევრიზმა აღმოაჩნდა, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება გასკდეს და გამოიწვიოს მასობრივი სისხლჩაქცევა თავის ტვინში, რაც სიცოცხლისთვის შეუთავსებადია. პაციენტს გადაუდებელია ოპერაცია ესაჭიროება, ოპერაციის ჩატარება საქართველოში ვერ ხერხდება. საზღვარგარეთ კი ეს ოპეარცია 64 ათასი ევრო ჯდება.

ამჯერად „არტ-გენის“ დამფუძნებლები უკვე მირზაანში იმყოფებიან და ფესტივალის დაწყებამდე ბოლო დეტალებს აგვარებენ. „არტ-გენის“ ძირითადი მიზანია საქართველოს ხალხური და ტრადიციული შემოქმედების პოპულარიზაცია, ამ დარგის უცნობი და ნაცნობი ნიმუშების მოძიება და საზოგადოებისათვის გაცნობა. ფესტივალის ფარგლებში ყოველწლიურად ეწყობა კონცერტები და წარმოდგენები საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოწვეული შემსრულებლების მონაწილეობით, ტარდება ხალხური რეწვისა და სახვითი ხელოვნების გამოფენა-გაყიდვები. ჩვეულებრივ ფესტივალი იწყება საქართველოს რეგიონებიდან და ტრადიციულად იხურება თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ფესტივალი „არტ-გენი„, მისი 7 წლის არსებობის თავზე არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და დასწრებადი ღონისძიება საქართველოში, რომელიც ღიაა ყველა თაობისთვის.

ფესტივალი 18 ივნისს მირზაანში გაიხსნება. „არტ გენში“ მონაწილეობას მიიღებენ როგორც ადგილობრივი ანსამბლები და მომღერლები, ასევე სტუმრები თბილისიდან — ანსამბლი წინანდალი, თელავის ანსამბლი „შემოძახილი“, უხუცესი მომღერალი ანდრო სიმაშვილი და მისი მოწაფეები, დედოფლისწყაროს რაიონის ფოლკლორული ანსამბლი „ხორნაბუჯი“, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის ფოლკლორული თეატრი „ბარის ფშავლები“, თელავის რაიონის სოფელ ართანის ანსამბლი „სიღერეთი“, ახმეტის რაიონის ანსამბლი „პანკისი“, ახმეტის რაიონის ანსამბლი „კესელო“, წნორის ედიშერ გარაყანიძის სახელობის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ანსამბლი „ამერ-იმერი“, თელავის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ორონთა“, საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთის ანსამბლი „კაკაბელები“, საგარეჯოს ფოლკლორული ანსამბლი „გარეჯი“, ანსამბლი „ბალავარი“, გურჯაანის სახელმწიფო ანსამბლი. „არტ გენის“ კახელი მასპინძლები ელოდებიან სტუმრებს თბილისიდან — თსუ-ს გოგონათა ანსაბლი „გორდელა“, რუსთავლის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის გოგონათა ანსამბლი, ანსამბლი „ფიცვერცხლი“, კავშირი საბრძოლო ხელოვნება.




ამ ფესტივალის ძირითადი მიზანი ქვეყანაში არსებული სოციალურ-კულტურული პრობლემების დაფიქსირება და მათი წარმოჩენაა. თავიდანვე ფესტივალის დამაარსებელი ჯგუფის პრიორიტეტად განისაზღვრა საოჯახო ფოლკლორის და სხვადასხვა ძირძველი ტრადიციების მოძიება და მათი პოპულარიზაცია, ხიდის აღდგენა ქალაქსა და სოფელს შორის, სოფლიდან ქალაქში ტრადიციული კულტურის ჩამოტანა, რაც ერთის მხრივ ახალგაზრდობაში გააღვივებს ინტერესს მათი ისტორიისა და ტრადიციების მიმართ, მეორეს მხრივ დაანახებს სოფლის მაცხოვრებლებს მათ მიერ შენარჩუნებული ტრადიციებისადმი ინტერესსა და მოთხოვნას. სწორედ ამიტომ დაარსდა ყოველწლიური სახალხო ფესტივალი „არტ-გენი“, რომელიც ტრადიციულად იწყება ექსპედიციებით და ღონისძიებებით ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში, დასკვნითი ნაწილი კი იმართება თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე, სადაც თავს იყრის ექსპედიციების შედეგად მოძიებული სხვადასხვა დარგის ტრადიციული კულტურა. ფესტივალის 8 წლის არსებობის განმავლობაში მის ბაზაზე ჩატარდა ასზე მეტი კონცერტი და ღონისძიება. დღეს ის წარმოადგენს ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და ხალხმრავალ ფესტივალს, რომელსაც ყოველწლიურად საშუალოდ 30-40 ათასი ადამიანი ესწრება.

„არტ-გენი“ ყოველ წელს იძენს ახალ აქტუალურ თემას, რომელიც მას თან სდევს შემდგომშიც. პირველ წელს ფესტივალის თემა იყო საოჯახო ფოლკლორი, შემდგომ წლებში კი ხალხური რეწვა, კავკასიური სახლი, ეკო ტურიზმი, საქართველოს რეგიონები და მიგრაციის პრობლემები, მსოფლიო ტრადიციული კულტურები, საქართველოს ეკოლოგია და ბიო კულტურები, ქართული ენა დამწერლობა. წელს არტ-გენის თემა განათლებაა. ფესტივალის მიერ მომზადებული პუბლიკაციებია წიგნი „საქართველოს რეწვის ოსტატები“ და ფილმები „ადილა“ და „მოგზაურობა ფოლკლორში“ (რეჟისორი გია დიასამიძე), ასევე სიდი „ქართული საოჯახო ფოლკლორი“, „არტ-გენი“. გასული წლიდან გამოიცემა კვარტალური ჟურნალი „არტ-გენი“. ფესტივალის დამფუძნებლები და ორგანიზატორები არიან თამრიკო მელიქიშვილი (რეწვის და სახვითი ხელოვნების კურატორი, ჟურნალ არტ-გენის რედაქტორი), მარია ლანევსკი (ფოტოგრაფი, საერთაშორისო ურთიერთობების კურატორი), ნიაზ დიასამიძე (თანამედროვე ხელოვნების კურატორი), ზაზა კორინთელი, ზუმბა (ტრადიციული ხელოვნების კურატორი), გიორგი ბარამიძე (ფესტივალის ორგანიზების კურატორი), ნიკუშა ანჯაფარიძე (ფესტივალის ორგანიზების კურატორი).

ჯგუფ არტგენის მოგზაურობის გეგმა მირზაანში ასე გამოიყურება — გასვლა 18 ივნისს, მირზაანში სახლში დარჩენა 25 ლარი დილის კვებით 5-10 ლარი, ფესტივალის მიმდინარეობა — კახური სამზარეულო, რეწვა, ფოლკლორი. ფესტივალი გასტანს 7-8 საათი. 23 ივნისს ფესტივალის მონაწილეები უკვე რუსთავში გადაინაცვლებენ. ფესტივალის მიმდინარეობა — აღმოსავლეთ საქართველოს, შიდა ქართლის რეწვა, ფოლკლორი, ზეპირსიტყვაობა, თანამედროვე ხელოვნება.

25, 26 და 27 ივნიის „არტ გენი“ ფოთში ჩავა, სადაც ფოთის მიმდებარედ ტბის პირას მალთაყვის ტყეში საკუთარ შემოქმედებას გააცნობს შეკრებილ საზოგადოებას. ფოთში გამგზავრება 30-დან 80 ლარამდე ჯდება. 25 ივნისს 25 ფესტივალი გზაში ერთხელ გაჩერდება უბისაში, ხოლო მეორედ რესტორან „იმერეთში“, 26 ივნისს ფოთში ფესტივალი დაიწყება 12 საათიდან, სადაც თავს მოიყრის აღმოსავლეთ საქართველოს ტრადიციული ხელოვნება — სამეგრელო, აჭარა, იმერეთი, გურია.

ივლისის თვეში უკვე ფესტივალი თბილისში განახლდება. 15-დან 25 ივლისის ჩათვლით „არტ გენი“ თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში და კლუბში „33ა“ გაიმართება. კლუბში ახალი აუდიო დისკი „არტ გენი“-ს პრეზენტაცია შედგება. ეთნოგარფიულ მუზემუში კი წარმოდგენილი იქნება ქართული რეწვისა და ეთნოგრაფიის გამოფენები, ქართული საბრძოლო ხელოვნება, თბილისის ფოლკლორული ანსამბლები, რეგიონები მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლი, სამეგრელო, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, რუსთავი, ზემო სვანეთი, ლეჩხუმი, რაჭა, კახეთი, ქვემო სვანეთი, გურია, აჭარა, თუშეთი, პანკისის ხეობა, იმერეთი, ფოთი. ყოველი საფესტივალო დღე ცნობილი ჯგუფებისა და მომღერლების კონცერტით დასრულდება — „არტ გენზე“ საკუთარ შემოქმედებას წარმოაჩენენ ჯგუფები „ხიდი“, „ლეჟავები“, „დეციში“, „აუტსაიდერი“, „ფრანი“, „ფემილი“, „ჩვენებურები“, „რეგიონი“, „ზუმბალენდი“, „33ა“, „სუხიშვილები“, „გორედლა“, ნინო ქათამაძე. „არტ გენში“ მონაწილეობას მიიღებენ სტუმრები შრილანკიდან, ავსტრიიდან. 21 ივლისს თბილისში ჩამოვა ფოლკლორული ესტონეთიდან, რომელიც თავის შემოქმედებას ეთნოგრაფიულ მუზეუმში შეკრებილ საზოგადოებას გააცნობს.

ფესტივალ „არტ გენზე“ დასასწრები ბილეთის ფასი 3-5 ლარია, ხოლო საღამოს დაგეგმილ კონცერტებზე — 15 ლარი.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)


# საქართველო პრაღის კვადრიენალეში მონაწილეობს

ეკა ირემაშვილი

16-დან 26 ივნისამდე 11 დღით პრაღა სცენოგრაფიის მსოფლიო ცენტრად იქცევა. იქ რიგით მე-12 კვადრიენალეს გახსნაა დაგეგმილი. პრაღის კვადრიენალე მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი მოვლენაა სცენოგრაფიაში. სპექტაკლის მხატვრულ გაფორმებაზე, თეატრალური წარმოდგენის დიზაინსა და სივრცეზე ფოკუსირებული ფესტივალი 1967 წლიდან ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება პრაღაში. ის ინოვაციური იდეების და ექსპერიმენტული პროექტების, საბალეტო, საოპერო, დრამატული და მულტიდისციპლინარული წარმოდგენებისათვის შექმნილი სცენოგრაფიული ნამუშევრების სადემონსტრაციო უნიკალური სივრცეა და მსოფლიო მნიშვნელობის სცენის დიზაინერების, არტისტებისა და ექსპერტების, არტ კრიტიკოსებისა და თეორეტიკოსების შეკრების ადგილს

გაგრძელება მე-14 გვერდზე


## განცხადებები

- ნერვული სისტემის მოწესრიგება, უძილობა, შიშები, აკვიატებები, დეპრესია, აგრესია, ყურებში შუილები, კლიმაქსური ფონი, ციკლის მოწესრიგება, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 858-21-77-93; 234-02-38 ფატი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 899-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.
- იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან“ (50 მეტრში). ტელ.: 73-35-63. 893 93 40 36 ლიკა.
- სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 234-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.
- შევაკეთებთ ნებისმიერი სირთულის სარეცხ მანქანებს გარანტიით, ინდმეწარმე გოდერძი ადამია. ტელ: 899-63-62-32; 890-63-62-32.

# ლუის ენრიკე: „ტოტი მსოფლიოს საფეხბურთო მეფეა“

**ახალი სეზონიდან „რომას" „ბარსელონასა" და ესპანეთის ნაკრების ყოფილი ფორვარდი ლუის ენრიკე გაუძღვება. 41 წლის სპეციალისტმა „ჯალოროსისთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და საქმიანობასაც ენერგიულად შეუდგა.**

*— „ბარსელონა ბ“-დან საკუთარი სურვილით წახვედით და გადადგომისას განაცხადეთ, გარკვეული ხნით სამწვრთნელო საქმისგან უნდა დავისვენოო. ამის შემდეგ მოულოდნელად „რომას“ დამრიგებლობას დასთანხმდით. რამ განაპირობა თქვენ მიერ რომაელებთან მთავარ მწვრთნელად დანიშვნაზე თანხმობა?*

— რომაელთა ხელმძღვანელობის წინადადება ჩემთვის მოულოდნელი და ფრიად სასიამოვნო იყო. ნებისმიერი სპეციალისტისთვის პატივია, ესოდენ დიდი ტრადიციის მქონე გუნდი გაწვრთნას. გითხრათ სიმართლე, ჯერ კიდევ „ბარსელონაში“ მუშაობისას რამდენიმე შემოთავაზება მქონდა, მაგრამ ყველას თავაზიანი უარით ვისტუმრებდი, აი, რომაელებს კი უარი ვერ ვუთხარი. კლუბის უფროსობას მხოლოდ სამადლობელი სიტყვებით უნდა მივმართო — მათ „რომას“ განვითარების ახალი გეგმა შეიმუშავეს და მის სარეალიზაციოდ მიმიწვიეს. ამის გარდა, კლუბის მესვეურებმა თამამი ნაბიჯი გადადგეს, რომ ჩემი სახით გუნდის მწვრთნელად ახალგაზრდა სპეციალისტი მიიწვიეს. კარგად მესმის, რომ იოლად გადასაწყვეტი საქმე არ გახლდათ და ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რათა „რომას“ ხელმძღვანელებისა და გულშემატკივრების იმედი გავამართლო.

*— როგორი განწყობით შეუდექით ახალ საქმიანობას?*

— რომში ჩამოსვლის დღიდან დიდი სითბო ვიგრძენი. მოხარული ვარ, ამგვარ ადამიანებთან ურთიერთობის საშუალება რომ მომეცა. ჩემი მიზანია, „ბარსელონაში“ მოთამაშეობისას და მწვრთნელობისას შეძენილი



გამოცდილება □„რომას“□ მოვახმარო და გუნდთან ერთად წარმატებას მივაღწიო. გუნდის ქომაგებს დღესვე შემიძლია დავპირდე, რომ მოძრავ, შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ და როგორც შედეგით, ასევე ლამაზი თამაშით მათ გახარებას შევეცდებით. სამუშაო მართლაც ბევრია, იმედია, მაგრამ მუხლჩაუხრელი გარჯა სასურველ შედეგს მალე გამოიღებს. არაფერს დავიშურებთ საიმისოდ, „რომამ“ სერია ა-ს პირველსავე მატჩში რომ გაიბრწყინოს, გულშემატკივრებს კი სიამაყის გრძნობა განვაცდევინოთ.

*— „რომა“ „ბარსელონას“ სთამაშო სტილის გადმოღებას ხომ არ აპირებს?*

— „ბარსა“ ჩემი საყვარელი გუნდია და ობიექტურად, სადღეისოდ პლანეტაზე საუკეთესოცაა, მაგრამ არ მგონია სწორი იყოს თუნდაც მისი თამაშის მანერის კოპირება. □„რომაში“□ განსხვავებული ფსიქიკისა და სტილის ფეხბურთელები ირიცხებიან, ამიტომაც ჩვენეულ საასპარეზო ტაქტიკას შევიმუშავებთ. უმთავრესი კი ისაა, რომ „ჯალოროსი“ მინდორზე მხოლოდ მოსაგებად გავა.

*— რომელ ფეხბურთელებს დაეყრდნობით?*

— მეგობრული კოლექტივი უნდა შევკრათ, რომელშიც თავისი ადგილი ყველას ექნება. ლიდერებს რაც შეეხება, უპირველესად ფრანჩესკო ტოტი მსურს გამოვყო. ჩესკო არა მარტო რომის, მსოფლიოს საფეხბურთო მეფეა. მწვრთნელისთვის ბედნიერებაა, როცა გუნდში ამგვარი უნიკალური ტალანტის მქონე ფეხბურთელი ჰყავს. იგივე შემიძლია ვთქვა ჩვენ ვიცე-კაპიტან დანიელე დე როსისა და სიმონე პეროტაზე. ტოტის მაგავსად, ისინი ახალგაზრდა მოთამაშეებისთვის სამაგალითონი არიან. სიამოვნებით ვიმუშავებ მირკო ვუჩინიჩთანაც. მიყვარს მისნაირ ნიჭიერ ფეხბურთელებთან საწვრთნელ მინდორზე ურთიერთობა.

*— „ბარსელონაში“ ბევრი სეზონი გაქვთ გატარებული და გუნდის ერთგული გულშემატკივრებისთვის დღემდე გუნდის ერთ-ერთ სიმბოლოდ რჩებით. ამიტომაც კატალონიიდან თქვენი წასვლა ბევრისთვის მოულოდნელი და აუხსნელი ნაბიჯი გამოდგა.*

— ადრე თუ გვიან „ბარსაში“ გავაგრძელებ მუშაობას. ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, რომელ პოსტზე, მაგრამ თუკი ასე არ მოხდა, ჩემი საყვარელი გუნდის ერთ რიგით ფანად მიგულეთ. „ბარსა“ და ფეხბურთი სიცოცხლის ბოლომდე ერთნაირად მეყვარება.

# „დინამომ“ და „მეტალურგმა“ სპარინგები დაიწყეს

ქართული გუნდები აგრძელებენ მზადებას ახალი სეზონისთვის. ჯერჯერობით, განსაკუთრებული აქტიურობით ის გუნდები გამოირჩევიან, რომელთაც ევროტურნირებზე უწევთ თამაში.

სლოვენიაში შეკრებაზე მყოფმა თბილისის „დინამომ“ პირველი ამხანაგური მატჩი უკრაინის პრემიერლიგის წარმომადგენელ ლუგანსკის „ზარიასთან“ ჩაატარა, რომელიც 0:0 დასრულდა.

„დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა, ესპანელმა ალექს გარსიამ, პირველ ტაიმში გუნდი შემდეგი შემადგენლობით ათამაშა: ლორია, შ.კაშია, თომაშვილი, კაკუბავა, რეხვიაშვილი, ფირცხალავა, თექთურმანიძე, ჯილაური, კახელიშვილი, რობერტინიო, ჯუსი.

შესვენების შემდეგ კაშია ოდიკაძემ შეცვალა, თომაშვილი — ჰაჯიბულიჩმა, კაკუბავა — ჰომოლამ, რეხვიაშვილი — ხმალაძემ, ფირცხალავა — კვეკვესკირმა, თექთურმანიძე — ახალაიამ, კახელიშვილი — ლექვთაძემ, ჯუსი — იაშვილმა.

65-ე წუთზე კაკუბავა და კახელიშვილი მოედანზე დაბრუნდნენ — მათ, შესაბამისად, ჯილაური და რობერტინიო შეცვალეს.

მიკროტრავმების გამო თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ ალექსანდრე კოშკაძეს, ვახტანგ ფანცხავასა და გოგა ბერაიას. მომდევნო სპარინგს „დინამო“ 17 ივნისს გამართავს და მეტოქე გუშინ გვიან გაირკვეოდა.

ლუგანსკელთა ძირითად შემადგენლობაში იმყოფებოდნენ ჯაბა ლიპარტია და სინჯებზე მყოფი გიორგი ფოფხაძე, ხოლო ალექსანდრე კვახაძე, რომელიც უკრაინულ კლუბში ასევე ისინჯება, სათადარიგოებს შორისაც არ იჯდა.

სლოვენია-ავსტრიაში შეკრებაზე მყოფმა რუსთავის “მეტალურგმა“ პირველი ტესტ-მატჩი გამართა და ავსტრიის ბუნდესლიგაში მეცხრე ადგილზე გასულ “მატერსბურგს“ 1:0 მოუგო. ეს ერთადერთი გოლი მე-19 წუთზე ახალწვეულმა ირაკლი ქობალიამ გაიტანა.

ეს შეხვედრა ავსტრიაში გაიმართა და გუნდი ისევ მარიბორში დაბრუნდა, სადაც მზადებას გააგრძელებს.

18 ივნისს “მეტალურგი“ სლოვენიის შარშანდელ ჩემპიონ “კოპერს“ ხვდება, 20-ში კი “მარიბორს“, რომელიც ქვეყნის მოქმედი ჩემპიონია.

მართალია, ქუთაისის „ტორპედო“ ევროტურნირებზე არ მონაწილეობს, მაგრამ უკვე დაგეგმა სამზადისი.

ახალმა მწვრთნელებმა, გიორგი კიკნაძემ და ზაზა ზამთარაძემ ორშაბათს მოინახულეს გუნდის საწვრთნელი ბაზა და სტადიონი. ისინი ადგილზე გაეცნენ ინფრასტრუქტურას და ისევ თბილისში გაბრუნდნენ. „ტორპედო“ კი გუშინ შეიკრიბა საღორიის საწვრთნელ ბაზაზე.

შაბათ-კვირას ფეხბურთელები თბილისში გაივლიან სამედიცინო შემოწმებას და ისევ ქუთაისში დაბრუნდებიან. მომავალი კვირის ბოლოს, ქუთათურები ურეკში 10-დღიანი შეკრების გასავლელად გაემგზავრებიან.

ახალი ჩემპიონატის დაწყებამდე „ტორპედოს“ ერთი შეკრება კიდევ ექნება — გუნდი ივლისის ბოლოს რომელიმე უცხოურ კურორტზე გაემგზავრება, საიდანაც უკან 1 აგვისტოს დაბრუნდება.

კალენდრის მიხედვით, უმაღლესი ლიგის პირველ ტურში რიონისპირელებს 7 აგვისტოს ქვეყნის ჩემპიონ „ზესტაფონის“ მასპინძლობა უწევს. აღნიშნული მატჩისთვის ქუთაისურ საფეხბურთო არენაზე სრულიად ახალი გაზონი იქნება. ბერძნულმა ფირმამ, რომელმაც ეროვნული ნაკრების საწვრთნელი ბაზა „ბასა“ კეთილმოაწყო, გუშინ ქუთაისშიც დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება.

# თეთრაძე „ვოლგადან“ გაუშვეს

ომარ თეთრაძე ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს. გამოცემა „სპორტ-ექსპრესის“ ცნობით, ამ გადაწყვეტილებას კლუბი ოფიციალურად დღეს გაახმოვანებს.

ჯერჯერობით კლუბში შექმნილ ვითარებაზე კომენტარს არ აკეთებენ და რუს ჟურნალისტებს მოთმინებისკენ მოუწოდებენ. თუმცა, ცნობილია, რომ გუშინ გოიხმანი თეთრაძეს შეხვდებოდა, რათა მას კლუბის გადაწყვეტილება გააცნოს და კონტრაქტის გაწყვეტასთან დაკავშირებული საკითხები შეეთანხმებინათ.



„სპორტ-ექსპრესის“ ინფორმაციით, თეთრაძის გაშვების მთავარი მიზეზი ბოლო ტურებში გუნდის სუსტი თამაშია, რომელიც, კლუბის ხელმძღვანელობის აზრით, სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესებას ხელს არ უწყობს. სხვათა შორის, ბოლო ტურში რუსეთის პრემიერლიგის მე-13 ტურში „ვოლგამ“ „კრასნოდართან“ სტუმრად 2:4 წააგო.

თეთრაძესთან ერთად მომუშავე სამწვრთნელო შტაბის წევრთა საკითხს მომდევნო ტურში „ზენიტთან“ მატჩის შემდეგ გადაწყვეტენ. თუმცა, ფაქტობრივად გარკვეულია, რომ არტურ პაგაევი, სერგეი ტრუბიცინი და ანატოლი ვიალოხი კლუბს თეთრაძესთან ერთად დატოვებენ, ისინი □„ვოლგაში“□ სწორედ ომარის მიყვანილები არიან. შეგახსენებთ, რომ თეთრაძე „ვოლგას“ სათავეში შარშან ჩაუდგა და პრემიერლიგის საგზური მოაპოვებინა.

ნიჟნინოვგოროდულ კლუბში 6 ქართველი ფეხბურთელი გამოდის — ოთარ მარცვალაძე, გოგიტა გოგუა, გოჩა ხოჯავა, ლაშა სალუქვაძე, გია გრიგალავა და მათე ვაწაძე.„ვოლგას“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნის უპირველესი კანდიდატი „სიბირის“ სპორტული დირექტორი დმიტრი ჩერიშევია. ის ნიჟნი ნოვგოროდში დაბადებული და არც ერთი გუნდის თავკაცად აქამდე არ უმუშავია. ჩერიშევი რამდენიმე წელი მადრიდის „რეალის“ საკლუბო სტრუქტურაში ახალგაზრდული და ჭაბუკთა გუნდების მწვრთნელად მუშაობდა.

ჩერიშევის გარდა, „ვოლგას“ ხელმძღვანელობის სიაში ანდრეი კობელევი და იური კრასნოჟანი ფიგურირებდნენ, მაგრამ „სპორტ-ექსპრესი“ იუწყება, რომ ამ სპეციალისტებთან მოლაპარაკება არავითარ შედეგს არ გამოიღებს. მეტიც, თურმე ჩერიშევს ნიჟნი ნოვგოროდში ჩასვლაზე თანხმობა უთქვამს და „ზენიტთან“ მატჩს დაესწრება. თუ ის „სიბირთან“ ხელშეკრულების გაწყვეტის დეტალებს ოპერატიულად მოაგვარებს, მაშინ „ვოლგა“ შეეცდება, ჩერიშევი პარასკევის მატჩის განაცხადში მთავარი მწვრთნელის რანგში შეიყვანოს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# 17-წლამდელების საპატიო ფრე

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ბაქოში მიმდინარე კასპიის თასის რვაგუნდიან საერთაშორისო ტურნირზე ესპანელ თანატოლებთან 1:1 ითამაშა. ამ მატჩამდე ორივე გუნდს 6-6 ქულა ჰქონდათ, თუმცა ბურთების შეფარდება პატარა “ფურია როხას“ უკეთესი ჰქონდა და ჩვენებს ფინალში გასასვლელად მხოლოდ მოგება სჭირდებოდათ. როგორც ხედავთ, მიზანი შეუსრულებელი დარჩა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ პირინეელებს ყველა ასაკობრივ ნაკრებში უძლიერესი გუნდი ჰყავთ, მათთან ფრე ურიგო შედეგად არ უნდა ჩაითვალოს.

ესპანელები მე-11 წუთზე დაწინაურდნენ, ქართველებმა კი დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე, 75-ზე გაათანაბრეს — გოლი ალეკო ჩაკვეტაძემ გაიტანა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდის ცნობით, მაისურაძემ ძირითადში ასეთი თერთმეტეული დააყენა: ადამია, გაბაძე, ჩაკვეტაძე, მელიქიძე, ჭანტურია, ცინცაძე, ჭეჭელაშვილი, ახვლედიანი, კაკაბაძე, მზევაშვილი, დარციმელია.

გეტყვით იმასაც, რომ პირველ ტურში ქართველებმა ყაზახეთი 5:1, ხოლო მეორეში ტაჯიკები 5:0 გაანადგურეს. ვასილ მაისურაძის გუნდი მესამე ადგილისთვის მატჩში ითამაშებს და მისი მეტოქე ბ ჯგუფში მეორეზე გასული აზერბაიჯანი იქნება. ტურნირის მასპინძლებმა ჯგუფის ბოლო ტურში თურქებთან 2:4 წააგეს.

**ა ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 13:2 | 9 |
| აზერბაიჯანი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:6 | 6 |
| უზბეკეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 9:10 | 3 |
| ყირგიზეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:13 | 0 |

**ბ ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 15:1 | 7 |
| საქართველო | 3 | 2 | 1 | 0 | 11:2 | 7 |
| ყაზახეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:14 | 3 |
| ტაჯიკეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:13 | 0 |

# თორნიკე ოქრიაშვილმა „შახტართან“ 5 წელი გააფორმა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა თორნიკე ოქრიაშვილმა უკრაინის ჩემპიონ დონეცკის „შახტართან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. აქამდე ოქრიაშვილი „გაგრას“ საკუთრება იყო და „შახტარში“ იჯარით იყო. როდესაც დონბასელები თორნიკეს პერსპექტივაში დარწმუნდნენ, მისი გამოსყიდვა გადაწყვიტეს — ამიერიდან თორნიკე შახტარელია.

ნიჭიერ ახალგაზრდას ასეთ სოლიდურ კლუბში მოხვედრა ძალიან წაადგება. ერთია, ოქრიაშვილი „შახტარში“ ჯერ არ ითამაშებს. კლუბის ხელმძღვანელები უკვე ესაუბრნენ ფეხბურთელს და გარკვევით აუხსნეს, რომ ჯერ მისთვის ძირითადში მოხვედრა გაჭირდება. ამიტომაც პრაქტიკის მიზნით მარიუპოლის □„ილიჩევეცში“□ გაანათხოვრებენ, სადაც გასული სეზონი დაასრულა.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**კონკაკაფი. ოქროს თასი**

| | |
|---|---|
| კანადა-პანამა | 1:1 |
| გვადელუპე-აშშ | 0:1 |

**ევროპის ჩემპიონატი (21)**

| | |
|---|---|
| შვეიცარია-ისლანდია | 2:0 |
| დანია-ბელარუსი | 2:1 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ტომი-სპარტაკი | 1:1 |
| ამკარი-ტერეკი | 1:0 |
| ზენიტი-როსტოვი | 4:0 |
| ლოკომოტივი-ნალჩიკი | 3:1 |

*ნალჩიკელთა გოლი დავით სირაძემ გაიტანა*

| | |
|---|---|
| კრ.სოვეტოვი-ყუბანი | 1:0 |
| ცსკა-ანჟი | 3:0 |
| კრასნოდარი-ვოლგა | 4:2 |

*ვოლგელთა პირველი გოლი ლაშა სალუქვაძემ გაიტანა*

| | |
|---|---|
| რუბინი-დინამო | 3:0 |

**წყალბურთი**

**მსოფლიო ლიგა. სუპერფინალი ქალები**

| | |
|---|---|
| რუსეთი-კანადა | 9:8 |
| ავსტრალია-ესპანეთი | 14:6 |
| აშშ-იტალია | 9:6 |
| ჩინეთი-საბერძნეთი | 9:8 |
| რუსეთი-ესპანეთი | 14:6 |
| საბერძნეთი-იტალია | 8:4 |

**ფრენბურთი**

**პანამერიკული თამაშები**

| | |
|---|---|
| არგენტინა-პანამა | 3:0 |
| ბრაზილის-მექსიკა | 3:0 |
| არგენტინა-ბაჰამის კუნ. | 3:0 |
| აშშ-პანამა | 3:0 |
| ვენესუელა-მექსიკა | 2:3 |
| პუერტო რიკო-დონიმიკების რეს. | 3:1 |

**ჩოგბურთი**

**ატპ. ისტბორნი. ბალახი**

| | |
|---|---|
| ანდერსონი-სლაბინსკი | 7:5;6:3 |
| იანგი-კოქსი | 6:1;7:5 |
| მარჩენკო-ჟილი | 6:1;6:3 |
| სტახოვსკი-შუტლერი | 3:6;2:6 |
| ნიშიკორი-კირილოვი | 7:5;6:1 |
| გარსია ლოპესი-დევ ვარმანი | 3:6;4:6 |
| ცონგა-ისტომინი | 6:2;7:5 |
| ჰიუიტი-როხუსი ო. | 2:6;0:6 |

**ატპ. ჰერტოგენბოში. ბალახი**

| | |
|---|---|
| დოდიგი-მაურერი | 6:4;6:3 |
| გაბაშვილი-მარტი | 7:6;6:3 |
| ჰაასე-ზვერევი | 6:3;6:4 |
| ბოლოგომოლოვი-ვოლანდრი | 7:6;6:2 |
| ტურსუნოვი-მაიუ | 7:6;3:6;6:3 |

**ვტა. ისტბორნი. ბალახი**

| | |
|---|---|
| სკიავონე-კანეპი | 7:6;6:1 |
| უილიამსი ს.-პირონკოვა | 1:6;6:3;6:4 |
| ბარტოლი-საფაროვა | 6:3;3:6;7:6 |
| პავლუჩენკოვა-იოვანოვსკი | 6:7;4:6 |
| ზვონარევა-უოტსონი | 6:3;6:3 |
| ჰანტუჩუვოა-ჩჟენი | 6:4;6:4 |
| ლი-პაჩეკი | 7:5;6:4 |
| აზარენკო-ბალტაჩა | 6:1;7:6 |
| კვიტოვა-მაკაროვა | 7:6;7:6 |
| უილიამსი!ვ.-ივანოვიჩი | 6:3;6:2 |

**ვტა. ჰერტოგენბოში. ბალახი**

| | |
|---|---|
| ერანი-ბერტესი | 7:6;6:1 |
| დატე კრუმი-დომინგეს ლინო | 7:6;6:0 |
| კუდრიავცევა-დოკიჩი | 0:6;4:6 |
| კლაისტერსი-ოპრანდი | 6:7;3:6 |
| ვიკმაიერი-სანტონია | 7:6;6:7;7:5 |
| პენეტა-დოკიჩი | 3:6;4:6 |
| ციბულკოვა-ბარუა | 6:0;6:1 |
| ვინჩი-დულჟერუ | 6:2;6:1 |

სპორტი

# უკრაინელები ევროპის ჩემპიონატისთვის უძლიერესი შემადგენლობით იკრიბებიან

ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთმა მეტოქე უკრაინამ გაფართოებული შემადგენლობა გამოაქვეყნა. უკრაინელები შეკრებას 4 ივლისს 21-კაციანი შემადგენლობით დაიწყებენ, საბოლოოდ კი, მათგან 14 საუკეთესო კალათბურთელი შეირჩევა, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრება. მანამდე კი, კონკრეტულად 12-23 აგვისტოს, უკრაინელები ჩინეთში მსოფლიოს უნივერსიადაზე ითამაშებენ, სადაც ნაკრების რამდენიმე წევრი იქნება.

იქაური სპეციალისტთა ვარაუდით, ამჯერად უკრაინელთა რიგებში თავი ყველა საუკეთესო მოთამაშემ მოიყარა. არადა, ბოლო წლებში ამ გუნდს გამორჩეული წევრების სრულად შეკრება მუდმივად უჭირდათ. მაგალითისთვის, იტალიურ „კრემონაში" მოთამაშე არტურ დროზდოვიც კმარა, რომელიც რიგი მიზეზების გამო, ნაკრებში ჩასვლაზე უარს აცხადებდა.

უკრაინელთა ახალმა დამრიგებელმა, ცნობილმა ამერიკელმა მწვრთნელმა მაიკ ფრატელომ დროზდოვთან მოლაპარაკებაც შეძლო და გუნდში „ბკ კიევის" ერთ-ერთი ლიდერი ოლეგ სალტოვეციც დააბრუნა. შემადგენლობაში მოხვდნენ ახალბედებიც: დანილ კოზლოვი, ალექსანდრ ლიპოვეი და ამერიკის სტუდენტურ ლიგაში მოთამაშე კირილ ნატიაჟკო.

უკრაინელთა პირველ შეკრებაზე ეს კალათბურთელები არიან გამოძახებულნი.

უკანახაზელები: დმიტრი ზაბირჩენკო, დენის ლუკაშოვი (ორივე ბუდიველნიკი), ალექსანდრ ლიპოვი (ბკ კიევი), ნიკოლაი ვილხოვეცკი (დნიპრო), ალექსანდრ კოლშენკო (აზოვმაში), სერგეი გლადირი (მანრესა, ესპანეთი);

ფორვარდები: მაქსიმ პუსტოზვონოვი (აზოვმაში), დანილ კოზლოვი, კოსტანტინ გლაზირინი, მაქსიმ კორნიენკო (სამივე დნიპრო), ანდრეი აგაფონოვი (ბუდიველნიკი), დმიტრი გლებოვი (დონეცკი), სერგეი ლიშჩუკი (ვალენსია, ესპანეთი), არტურ დროზდოვი (კრემონა, იტალია), ალექსეი ონოფრიევი (ნიკოლაევი), ოლეგ სალტოვეცი (ბკ კიევი);

ცენტრები: იგორ ზაიცევი (კრივბასი), ოლექსეი პეჩიროვი (არმანი ჯინსი, იტალია), კირილო ფესენკო (იუტა ჯაზი, აშშ), კირილ ნატიაჟკო (არიზონა, აშშ), ვიაჩესლავ კრავცოვი (დონეცკი).

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# თემურ ყვითელაშვილი ახალ ალბომზე მუშაობს

ეკა ირემაშვილი



მიუხედავად იმისა, რომ ვირტუოზმა გიტარისტმა თემურ ყვითელაშვილმა თავისი რიგით მეშვიდე ალბომი სულ ახლახან წარუდგინა საზოგადოებას, იგი ახალ კომპოზიციებზე უკვე მუშაობს.

პარალელურად, გიტარისტმა ისრაელში პირველი სოლო კონცერტი გამართა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ისრაელში ბევრჯერ არის ნამყოფი, სოლოკონცერტის გამართვის საშუალება მას აქამდე არასოდეს მიეცა. ვირტუოზი მუსიკოსი კონცერტის გასამართად ისრაელში აშდოთის მერმა მიიწვია. იგი აღმოჩნდა პირველი ხელოვანი საქართველოდან, ვინც აშდოთის მერმა კონცერტის ჩასატარებლად თავის ქალაქში ოფიციალურად მიიწვია. კონცერტზე გიტარისტმა ოცამდე კომპოზიცია სიმფონიური ორკესტირსა და დასარტყამი ინსტრუმენტების თანხლებით შეასრულა. ქალაქ აშდოთში გამართულ კონცერტს ისრაელის სხვადასხვა ქალაქებში მცხოვრები საქართველოდან წასული ებრაელებიც დაესწრნენ. თემურ ყვითელაშვილის თქმით, ამაღელვებელი აღმოჩნდა კონცერტის შემდეგ ქართველ ებრაელებთან შეხვედრაც. გადაწყდა, რომ თემურ ყვითელაშვილი სოლოკონცერტებს თელავივში, იერუსალიმსა და ხაიფაშიც გამართავს. კონცერტი ისრაელის ტელერადიოკომპანიებმა პირდაპირ ეთერში გააშუქეს.

როგორც თემურ ყვითელაშვილი აცხადებს, ეს წელი ძალიან კარგად დაიწყო. მოაწყო უამრავი გასტროლი. გასულ წელს ნიუ იორკში, კარნეგი ჰოლში ჩაატარა კონცერტი. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ იყო გიტარისტის პირველი კონცერტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, კარნეგი ჰოლი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო დარბაზია, ამიტომ პასუხისმგებლობა გაორმაგებული იყო. აშდოთი ისრაელში სიდიდით მესამე ქალაქია.

გიტარისტს უკვე აღარ აქვს პასუხი, კიდევ სად უნდა ჩაატაროს კონცერტი, რადგან რადგან მსოფლიოს ყველა საუკეთესო დარბაზში აქვს დაკრული. მისი ახალი ალბომი დივიდის და სიდის სახით გამოვიდა. მას ჰქვია „თემურ ყვითელაშვილის ცოცხალი კონცერტი თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში". კონცერტი შესანიშნავმა რეჟისორმა ნუგზარ ჩხაიძემ გადაიღო. მხატვარი კი თამარ ფოცხიშვილია. დივიდის შესანიშნავი დიზაინი გააკეთა ზურაბ მიმინოშვილმა. ამას მოჰყვა გასტროლი ინგლისში, სამხრეთ აფრიკაში, ისრაელში, საიდანაც გიტარისტი ახლახან დაბრუნდა.

წელს სპეციალური სტუმრის სტატუსით თემურ ყვითელაშვილი მიწვეული იყო მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო გიტარისტთან ტომი ემანუელთან. მიუხედავად ასეთი დატვირთული საგასტროლო გრაფიკისა, თემურ ყვითელაშვილი უკვე მუშაობს ახალ კომპოზიციებზე, რომელიც 2012 წლის დასაწყისში გამოვა.

# საქართველო პრაღის კვადრიენალეში მონაწილეობს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

წარმოადგენს. კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მცირე სცენაზე პრაღის კვადრიენალესა და სცენოგრაფთა მსოფლიო ასოციაციის საგანმანათლებლო პროექტის სცენოფესტის კონკურსში გამარჯვებული პროექტების პრეზენტაცია უკვე გაიმართა, აქვვე შედგა დისკუსია პროექტის ავტორთან და შემსრულებლებთან.

აღნიშნული პროექტები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერაა დაფინანსებული. სცენოფესტი პრაღის კვადრიენალესა და სცენოგრაფთა მსოფლიო ასოციაციის საგანმანათლებლო პროექტია. საკუთარი ნამუშევრების წარდგენის გარდა სცენოფესტი დიდ გამოცდილებას შესძენს სტუდენტებს, მათ საშუალება ექნებათ დაესწრონ პერფორმანსებს, ლექციებს, პრეზენტაციებს, მონაწილეობა მიიღონ სემინარებში, დისკუსიებში. კვადრიენალეს კონცეფციის შესაბამისად სცენოფესტის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა „გაფორმება, როგორც პერფორმანსი", რომელიც ორ პროექტს აერთიანებს — მცირე სცენაზე გათვლილი და განათებასა და ხმოვან გაფორმებაზე ფოკუსირებულ „დისკ სტორის". კონკურსში გამარჯვებული პროექტები პრაღის კვადრიენალეს ოფიციალურ პროგრამაშია ჩართული — 17 ივნისს წარმოდგენილი იქნება თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტების წარმოდგენა „მოთმინება"( სცენოფესტის კონკურსში გამარჯვებული პროექტი). წარმოდგენის დასრულების შემდეგ გაიმართება დისკუსია პედაგოგებთან და სტუდენტებთან, წარმოდგენის შექმნისა და სწავლების პროცესის შესახებ. მეორე ნაწილია საჯარო სივრცეში ინტეგრაციასა და ამ სივრცესთან კომუნიკაციაზე ფოკუსირებული სტრით სტორის" — 30 წუთიანი წარმოდგენები პრაღის ცენტრში, ხალხმრავალ მოედანზე. 19 ივნისს გაიმართება თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტების წარმოდგენა „ნაკვალევი" (სცენოფესტის კონკურსში გამარჯვებული პროექტი).

სცენოფესტი პრაღის კვადრიენალეს და სცენოგრაფთა მსოფლიო ასოციაციის საგანმანათლებლო პროექტია, რომელიც 16-26 ივნისს ჩეხეთის რესპუბლიკის ქალაქ პრაღაში გაიმართება. ქართველი სტუდენტების მიერ წარმოდგენილია ორი პროექტი „მოთმინება" და „ნაკვალევი".

— „მოთმინება" ხელოვნების რამდენიმე დარგის ერთობლიობაა, ერთგვარი ზღვრული დარგი (სახვით და თეატრალურ ხელოვნებას შორის). თეატრალური, ვიზუალური, აუდიო და მედია ხელოვნების ერთგვარი ჰიბრიდი ზეწოლა-მოთმინების თემაზეა შექმნილი და ჩვენს ყოველდღიურობაში პერმანენტულად მიმდინარე პროცესს ასახავს: ის, რაც ყოველ დღე ჩვენ-ზე, ჩვენ-გან, ჩვენ-ში ხდება და ის, რასაც ყოველ დღე ჩვენ თვითონ „ვყლაპავთ" და ბოლოს, ის, რაც ყოველ დღე ჩვენთვის, ჩვენ-თან თავიდან იწყება, — აცხადებს პროექტის ავტორი ქეთი შავგულიძე.

ხმოვანი გაფორმების ავტორი ნიკა მაჩაიძეა, პროექტის ავტორი — ქეთი შავგულიძე (ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ხელოვნების ისტორიკოსი, თეორეტიკოსი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მოწვეული პროფესორი), გიგა ლაპიაშვილი (თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ასოცირებული პროფესორი), მხატვრები-შემსრულებლები ლევან კვარაცხელია, თამარ ჭავჭანიძე, ბექა სადალაშვილი, ქეთი ნადიბაიძე, თამარ ოხიკიანი და ბარბარა ასლამაზიშვილი არიან.

პრაღის კვადრიენალემდე ქართული ნამუშევრები ვენეციის ბიენალეზეც გამოიფინა. „სოხუმი დაცემამდე" — ასე ეწოდებოდა გამოფენას, რომელიც ვენეციის ბიენალეს შვეიცარიის პავილიონში ქართველი მოქანდაკის ნამუშევარმა გააერთიანა. 15 ნაგებობისაგან შემდგარი კომპოზიცია საქართველოს პრეზიდენტმა დაათვალიერა. ანდრო ვეკუა 1989 წელს აფხაზეთში მომხდარი პირველი შეტაკებისას დაღუპული შემოქმედის ვოვა ვეკუას შვილია. პრეზიდენტის განცხადებით, სოხუმის იერსახისათვის ცნობილი ქანდაკებების ასლები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ ქალაქის დიდებას.

— საბჭოთა დროს, პრაქტიკულად არ შემოგვრჩა კარგი სიმღერა სოხუმზე, აფხაზეთზე, თითქმის არ იწერებოდა ლიტერატურული ნაწარმოებები აფხაზეთზე, იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის დროს აკრძალული იყო. ვინაიდან პოლიტბიურო ყოველთვის ჩაფრენილი იყო სოხუმს, ნამდვილად არ აპირებდა საქართველოსთვის მის დათმობას. თუმცა, რა თქმა უნდა, მთელი აფხაზეთის კულტურა ეს არის თავიდან ბოლომდე ქართული კულტურა უძველესი დროიდან. ანდრო ვეკუამ რომ ეს გააკეთა, ძალიან ნიშანდობლივია, რადგან ვერ შეძლებს ჩვენი ქვეყნის დამპყრობელი ხალხის მენტალიტეტიდან ამოშალოს აფხაზეთი და ეს არის მისთვის ყველაზე მტკივნეული. ის ვერ შეძლებს დაპყრობილის შენარჩუნებას, იმიტომ, რომ, რაც მას არ ეკუთვნის, არ შერჩება. ეს, რა თქმა უნდა, ეკუთვნის საქართველოს, საქართველოს მრავალეთნიკურ ხალხს. კანონიერად, ჩვენ ამ ყველაფერს დავიბრუნებთ, — განაცხადა პრეზიდენტმა.

ვენეციის ბიენალეზე ქართველი მოქანდაკის ნამუშევრებმა ფურორი მოახდინა. თამარ კვესიტაძემ ექსპოზიციაზე ხუთი ქანდაკება გაიტანა. იტალიაში ვიზიტად მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა ვენეციის ბიენალეზე ქართული კუთხეც დაათვალიერა. „!" — ამ სახელწოდების უსახელო ადამიანების მოძრავი ქანდაკება საქართველოს პარლამენტის ახალ შენობასთან დაიდგმება. თამარ კვესიტაძის კიდევ ერთი ნამუშევარი „როტაცია" კი იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიდებს ბინას. ვენეციის ბიენალეზე ქართული კუთხე ყველაზე პოპულარული აღმოჩნდა. თამარ კვესიტაძის ნამუშევრებმა დისკუსიაც კი გამოიწვია, განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა მისი კიდევ ერთი ნამუშევარი „სფერო". ვენეციის ბიენალეს შემდეგ, ახლა უკვე პრაღის კვადრიენალეს ჯერია, სადაც ქართული ხელოვნება საკადრის დონეზე იქნება წარმოდგენილი.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ღვინის ვაჭარი ძველად; 2. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 3. ავადმყოფური გადახრა ნორმისგან, სიმახინჯე; 4. სატანვარჯიშო იარაღი; 5. ლოგარითმის წილადური ნაწილი; 8. ბიბლიური ნოეს ერთ-ერთი ვაჟი; 9. მრავალხმიანობა მუსიკაში; 12. ჩეხური ნაგაზი; 14. ელექტროძრავის მბრუნავი ნაწილი; 16. ქართველი კინორეჟისორი.

**თარაზულად:** 1. დელტაპლანის სახელწოდება ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში; 6. საფეხბურთო სტადიონი რიო დე ჟანეიროში; 8. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 9. ხიდის საყრდენი ბურჯი; 10. ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი გერმანიაში; 11. ვეტერინარის ძველი სახელწოდება; 13. ქართული ევადო ხმალი; 15. ლიტერატურული თამაში, იუმორისტული ლექსების შეთხზვა წინასწარ მოცემული რითმებით; 17. შეიარაღებული მძარცველი; 18. ზღვის წვრილი თევზი; 19. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 20. სამონასტრო კომპლექსი თბილისის მახლობლად.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კოიოტი; 2. აპნისი; 3. ნუჟრი; 5. ხევი; 6. რუტერი; 8. სამაია; 11. თეოდოლიტი; 13. მეეზოვე; 14. დურბანი; 15. თურქეთი; 19. ლეკი.

**თარაზულად:** 1. კოპაკაბანა; 4. სამხარი; 7. ოკარინა; 9. რევანში; 10. ათოსი; 12. ასათიანი; 16. კატმანდუ; 17. რეკორდი; 18. ობივატელი; 20. ტოსკანა; 21. კები; 22. სავოიარა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პობედა; 2. წულა; 3. შემოქმედი; 4. აგუნა; 5. მამფალი; 8. როტარუ; 9. მინანქარი; 12. კულუხი; 14. ოაზისი; 16. იტილი.

**თარაზულად:** 1. პეტრიწონი; 6. ლეთარგია; 7. ბაირალი; 9. მირონი; 10. ყანა; 11. ჰამსუნი; 13. ათოსი; 15. ბუზუკი; 17. ყირმიზი; 18. გულაბი; 19. ოდისეა; 20. ლიქიორი.

## მზად ხართ ფლირტისთვის?

ტესტი



***1. დაითვალეთ, რამდენი კარდინალურად განსხვავებული ფერია იმ ტანისამოსში, რომელიც ამჟამად გაცვიათ?***

ა. 1-2, ბ. 3. გ. 4-ზე მეტი

***2. რა დროს ხარჯავთ სამსახურში წასასვლელად მომზადებისათვის?***

ა. 20-30 წუთს, ბ. ერთ საათს, გ. საათ-ნახევარს და მეტს.

***3. როგორ გრძნობთ თავს ახლა?***

ა. რა სულელური ტესტია? ბ. ნორმალურად. გ. ცოტას ვღელავ.

***4. ასწრებთ თუ არა ყველაფერს შინ და გარეთ?***

ა. დიახ. ბ. ხანდახან, დღეს რასაც ვერ მოვასწრებ, ხვალ გავაკეთებ. ბ. უფრო ვერ ვასწრებ. ამიტომ, ყოველთვის ბევრი საქმე მაქვს.

***5. თქვენს ჩვეულებრივ დღეს 100 პროცენტად თუ მივიჩნევთ, რამდენ პროცენტს იღიმებით?***

ა. 10-20%, ბ. არანაკლებ 50%, 70%.

***6. აირჩიეთ ერთ-ერთი ფიგურა.***

ა. წერტილი. ბ. სამკუთხედი. გ. წრე

**დაითვალეთ პასუხებში „ა", „ბ", და „გ". ვარიანტების რაოდენობა.**

### პასუხები

**ჭარბობს „ა".** ფლირტის დაბალი გრადუსი. კონკრეტული მიზნების ადამიანი ხართ, სათამაშოდ არ გცხელათ, ყველა წუთი ზუსტად გაქვთ განოთვლილი და განსაზვრული, იცით რეგლამენტი და ეტიკეტი, წესებიდან გადახვევა არ გიყვართ.

**ჭარბობს „ბ".** ფლირტის საშუალო გრადუსი. მოგვილოცავს, გაწონასწორებული ხართ, ფლირტის ოსტატი და უბრალოდ მხიარული ადამიანი ხართ. რამე თუ არ გამოგდით, მაინც იღიმებით.

**ჭარბობს „გ".** ფლირტის მაღალი გრადუსი. გრძნობებით თამაშმა ღრმად ჩაგითრიათ. ცდილობთ ადამიანებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინოთ. კარგ ხუმრობას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებთ, ვიდრე სხვა დანარჩენს. ან უბრალოდ, რთული პერიოდი გაქვთ.

**გ.თ.**

## კობა სუბელიანი:
# დევნილთა განსახლების საკითხი პოლიტიზირებისგან შორს უნდა იყოს

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი კობა სუბელიანი მიიჩნევს, რომ დევნილების განსახლებისა და ფართებით დაკმაყოფილების საკითხი პოლიტიკური აპელირების საგნად არ უნდა იქცეს.

განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა გუშინ დევნილთა განსახლების საკითხებზე გამართულ სამუშაო შეხვედრაზე გააკეთა.



მისი თქმით, 2012-2014 წლების სამომავლო გეგმაში შევიდა ცვლილებები, რომლებიც უკავშირდება დევნილების განსახლებას, ფართებით დაკმაყოფილებას, საცხოვრებლების რეაბილიტაციას და ავარიული შენობებიდან დევნილების სხვა ფართებში გადაყვანას.

— აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ყველანი ერთსულოვნები ვართ. დღევანდელი დღის მთავარი მესიჯი ასევე ის არის, რომ ეს თემა პოლიტიზირებისგან შორს იყოს. ეს არის სოციალური პროექტი, რომელიც უკავშირდება დევნილების რეგიონებში განსახლებას და საჭირო არ არის ზოგიერთი პოლიტიკოსი ამ თემით აპელირებდეს, — განაცხადა სუბელიანმა.

მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ მთავარი გამოწვევები ჯერ კიდევ წინ არის.

— დევნილთა განსახლებასთან დაკავშირებით ხშირად არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღება გვიწევს, რის გამოც კრიტიკის ობიექტი ვხდებით. ჩვენი ერთობლივი მუშაობის შედეგია ის, რომ 30 ათასამდე დევნილ ოჯახთან დაკავშირებით გრძელვადიანი გადაწყვეტილება უკვე მიღებულია„ — განაცხადა მინისტრმა და აღნიშნა, რომ დევნილების მხოლოდ საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილება საკმარისი არ არის და მათი დასაქმებაც პროცესის ნაწილია.

შეგახსენებთ, რომ დღეს დევნილთა განსახლების საკითხებთან დაკავშირებით სასტუმრო რედისონ ბლუ ივერიაში„ სამუშაო შეხვედრა გაიმართა სახელწოდებით — მომავლის გეგმა: იგპ-თა მიმართ სამოქმედო გეგმის გაგრძელება 2012-14 წლებში.

**მედიანიუსი**

# სასჯელაღსრულების სამინისტროს მაღალჩინოსნები სამუშაო ვიზიტით იტალიაში იმყოფებოდნენ

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მოადგილე გიორგი მაკასარაშვილი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ჭაკუა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ორი თანამშრომელი სამუშაო ვიზიტით იტალიაში იმყოფებოდნენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს" სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროდან აცნობეს, ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ნეაპოლის მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების და არასრულწლოვანთა სპეციალური დაწესებულებები, გაეცნენ პირობით მსჯავრდებულთათვის კონტროლისა და რესოციალიზაციის იმ მექანიზმებს, რომელსაც იტალიის პრობაციის სისტემა უკვე მრავალი წელია იყენებს.

ნეაპოლში ყოფნისას დელეგაციის წევრებმა ნახეს ასევე ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი სარეაბილიტაციო ცენტრი ჯონატანი".

ვიზიტის ფარგლებში ქართულ დელეგაციას შეხვედრა ჰქონდა ერკოლანოს მერთან და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან, სადაც ინფორმაცია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ადგილობრივ სპეციფიკაზე მიიღეს.

5 დღიანი ვიზიტის ბოლოს კი შეხვედრა რომის პენიტენციური პოლიციის უფროსთან და სხვა ოფიციალურ პირებთან გაიმართა.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს წარმომადგენლები პერიოდულად ეცნობიან სხვადასხვა წამყვანი ევროპული ქვეყნების პენიტენციური სისტემის სპეციფიკას, რაც საქართველოში დასავლური სტანდარტების სრულფასოვან დანერგვას ემსახურება.

**ინტერპრესნიუსი**

# თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან აქცია გაიმართა

გუშინ თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან 2009 წლის 15 ივნისის აქციის დაშლის დროს დაზარალებული ახალგაზრდები შეიკრიბნენ და მომხდარის გამოძიება კიდევ ერთხელ მოითხოვეს.



აქციის მონაწილეებმა სამართალდამცველების ქმედებები გააპროტესტეს და განაცხადეს, რომ ხელისუფლებას მშვიდობიან მომიტინგეებზე განხორციელებული ძალადობა არ შერჩება.

როგორც აქციაზეა მყოფმა ერთ-ერთმა დაზარალებულმა დავით ფაცაციამ განაცხადა, ხელისუფლებას ხალხის და ახალგაზრდობის წინააღმდეგ მსგავს ძალადობრივ ფაქტებს არ შეეარჩენენ. სექტემბრიდან ძალადობის წინაღმდეგ პროტესტში უფრო მეტი ახალგაზრდობა ჩაერთვება და ამ კუთხით აქტიური მუშაობა დაიწყება.

— 2 წლის შემდეგ კიდევ ერთხელ მოვითხოვთ, გამოიძიონ 15 ივნისს პოლიციის სამართველოსთან შეკრებილ მშვიდობიან მანიფესტანტებზე პოლიციის თავდასხმა და სასტიკი ანგარიშსწორება. აღსანიშნავია, რომ დღემდე არცერთი საქმე არ გამოძიებულა და ეჭვი მეპარება სერიოზული ზეწოლის გარეშე ხელისუფლებამ 26 მაისის უსასტიკესი დარბევისა და წამების ფაქტები გამოიძიოს, — განაცხადა 15 ივნისის აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ და დაზარალებულმა დაჩი ცაგურიამ.

შეგახსენებთ, რომ 2009 წლის 15 ივნისს ახალგაზრდულმა მოძრაობებმა პოლიციის სამართველოსთან საპროტესტო აქცია გამართეს, რომელიც პოლიციამ დაშალა და ათეულობით დემონსტრანტი დააკავა, აქციის მონაწილეტა ნაწილი კი მძიმე დაზიანებებით საავადმყოფოში მოხვდა. აქციის დარბევის დროს სცემეს ჟურნალისტები და ოპერატორები.

**მედიანიუსი**

# გურჯაანის კანალიზაციიდან ფეკალური მასები ვენახებსა და ბოსტნებში იღვრება

გურჯაანის კანალიზაციიდან ფეკალური მასები ქალაქის ბოლოში მდებარე ვენახებსა და ბოსტნებში, დაახლოებით 170 ჰექტარზე იღვრება, საიდანაც ალაზნის სარწყავ არხში ჩადის. ფეკალური მასებით არის დატბორილი სავარგულებთან მისასვლელი გზებიც.

მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მძაფრი სუნის გამო გლეხები ვენახების მოვლას ვეღარ ახერხებენ.

როგორც ადგილობრივებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს აცნობეს, პრობლემის შესახებ არაერთხელ მიმართეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობას და წყალმომარაგების სამსახურს, მაგრამ ყურადღება არ მიაქციეს.

გლეხების თქმით, მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ რამდენიმე ადამიანი ავად გახდა და სამედიცინო დახმარება დასჭირდა.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილის გოგა პეტრუზაშვილის განცხადებით, კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობა არ არსებობს და ვერაფერს ვერ იზამენ.

სპეციალისტების განმარტებით, ფეკალური მასებით დაბინძურებული ბოსტნეულით ან ხილით შესაძლოა ადამიანები მოიწამლნენ.

— როდესაც ნაყოფის დაბინძურება ხდება ბაქტერიით, იწვევს ნაწლავთა ჯგუფის ინფექციურ დაავადებებს. თუ ფეკალურ მასას ბაქტერიოლოგიური ანალიზი არ ჩაუტარდა, ვერ ვიტყვით კონკრეტულად რომელ ინფექციას გამოწვევს, რადგან ნაწლავთა ჯგუფის 2 500 დაავადება არსებობს, — აღნიშნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ექიმმა - ეპიდემიოლოგმა ლალი ბაცანაძემ.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# დღეიდან ერევან-ბათუმი-ერევნის მიმართულებით მატარებელი იმოძრავებს

დღეიდან ერევან-ბათუმი-ერევნის მიმართულებით ჩქაროსნული სამგზავრო მატარებელი იმოძრავებს.

მატარებელი ერევან-ბათუმის მიმართულებით ყოველდღე ივლის.

2011 წლის 15 ივლისიდან კი ჩქაროსნულ მატარებელთან ერთად ერევან-ბათუმი-ერევნის მიმართულებით დამატებით სამგზავრო მატარებელი დაინიშნება, რომელიც კვირაში ორჯერ ივლის.

ერევნიდან ბათუმში ჩასასვლელად მატარებელს 16.37 საათი დაჭირდება, ბათუმიდან ერევნის მიმართულებით კი 16.55 საათი.

საქართველოს და სომხეთის რკინიგზაში ვარაუდობენ, რომ წელს სომხეთიდან ტურისტთა რაოდენობა სამჯერ გაიზრდება.

**მედიანიუსი**

# გურჯაანის რაიონში ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი ქარხანა აშენდება

გურჯაანის რაიონში ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი ქარხანა აშენდება. ინვესტიციას უკრაინელი ბიზნესმენები განახორციელებენ, — აცნობეს „მედიანიუსს" კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.



საწარმო სოფელ ჩალაუბანში განთავსდება.

უკრაინელი ბიზნესმენები კახეთში უკვე იმყოფებოდნენ, ამჟამად კი მოლაპარაკებები უკრაინაში გრძელდება, სადაც კახეთის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი და გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელი შოთა უტიაშვილი იმყოფებიან.

**მედიანიუსი**

# სამგლოვიარო განცხადებები

## ლადო ადეიშვილის ხსოვნას



უსაზღვროა ჩვენი მწუხარება ლადო ადლეიშვილის ტრაგიკულად დაღუპვის გამო. 22 წლის ბიჭი, რომელიც უშურველად ასხივებდა სიყვარულსა და სიკეთეს, სიკვდილის წინაშე უძლური აღმოჩნდა. მისი სულიერი მისია შესრულებულია, რადგან წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს გულებში და ზეციურ საქართველოს შეუერთდა. ლადო წელს ამთავრებდა სამედიცინო უნივერსიტეტს და სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში გამგზავრებას გეგმავდა, სტაჟირებას გადიოდა რესპუბლიკურ საავადმყოფოში. გამორჩეული ნიჭის, გონიერების, პატიოსნების, შრომისმოყვარეობისა და ზნეობრივი სიმაღლის წყალობით იოლად აღწევდა წარმატებას.

გულითად სამძიმარს ვუცხადებთ ლადოს ბებია-ბაბუას — ნაზისა და ლადოს, მშობლებს — მანანასა და გურამს, ძმას — ვახტანგს, მარიკა, ნატო, თემურ და ზაზა ადეიშვილების ოჯახებს. მათთან ერთად მთელი არსებით ვგლოვობთ იშვიათი ღირსებების მატარებელი ახალგაზრდის გარდაცვალებას.

უფალმა მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს ლადოს უცოდველ სულს!

*ახლო ნათესავები*

---

მურმან ჩხოტუა ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

**აკაკი ამბროსის ძე ძაძუას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ხელმძღვანელი მუშაკი, სახელმწიფო ჯილდოების კავალერი

**აკაკი ამბროსის ძე ძაძუა**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## ხუთშაბათი 16 ივნისი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ევროპული არჩევანი **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** მედ-ინფო **18.30** ჩვენი ფერმა **19.05** დოკ. ფილმი "ოკეანის ფსკერი" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00, 03.55** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** სი ბემოლი **00.00** ავტოპილოტი **01.00** მხ. ფილმი **"უკანასკნელი სამურაი"** **04.55** მხ. ფ. **"სალტონის ზღვა"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი "შავწვერა" **20.00** მხ. ფ. **"ზნედაცემული"** **01.00** მხ. ფილმი **"ოჯახის სახელით"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** ნიჭიერი (გან.) **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"ავრორა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** პროფილი **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** შეგირდი (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** **შეგირდი** **23.40** რემონტი (გან.) **00.00** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი (გან.) **01.55** მხ. ფ. **"წინასწარმეტყველი"** (12) (ნ. კეიჯი) (სუბტ.) **03.45** მხ. ფილმი **"სიბრმავე"** (18) (ჯ. მური) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** პულსი **16.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **17.00** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **00.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **02.00** ფარული კამერა **02.30** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.40** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.00** სცენა **11.50, 21.00** სერ. **"უკანასკნელი საჯარიმო"** **12.50, 19.30** სერ. **"ამანდა ო"** **14.50** სცენა **15.00** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.30** დროის ვექტორი **18.00** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** დოკ. ფილმი "სვეტიცხოველი" **11.00** სუფთა დაფა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფ. **"ცარიელი ბინა"** **13.30** კონცერტი – ქართული მელოდიები **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი **"ბერნარდა ალბას სახლი"** **16.55** დოკ. ფ. "ველური ბუნება" **17.20** მოგაზურობა ბარტ ვულფთან ერთად **17.45** მულტსერ. "მოგზაურობა ისტორიაში" **18.05** საღვთისმეტყველო საუბრები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"მოდი ვილაპარაკოთ"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** მიწათმოქმედი **21.40** წარმატების ფორმულა **22.20** მოკ. ფილმი **"გოლა"** **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჟურნალისტის დღიური **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** სად უჩინარდებიან ჩემპიონები **01.20** კონცერტი – ანა-სოფია მუთერი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**16 ივნისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6583

ევრო —2,4216

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,0597

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 23-2§, ღამით — 15-1§

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 21-24, ღამით — 15-1§

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 21-23, ღამით — 8-15

## ამინდის პროგნოზი 16 ივნისისთვის








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


# ქინქლაძის გოლი პრემიერლიგაში არ ავიწყდებათ

**გიორგი ქინქლაძის მიერ გატანილი გოლი ინგლისური პრემიერლიგის ყველა დროის საუკეთესოთა შორის მოხვდა. ამასთან, პრესტიჟულ მეექვსე ადგილზე. ამგვარი გამოკითხვა ადრე გაზეთმა „გარდიანმაც" შეადგინა და მაშინ „ქინქის" გოლი მე-11 პოზიციაზე გავიდა.**

სპორტის მოყვარულებს არ გაუჭირდებათ იმის გამოცნობა, თუ რომელ გოლზეა საუბარი. 1996 წელს „მანჩესტერ სიტისა" და „საუთჰემპტონის" შეხვედრისას გატანილი ბურთი დიდი პოპულარობით სარგებლობს ინგლისში. თავის დროზე გარი ლინეკერმა, რომელიც ამ მატჩს არ დასწრებია (კრივი არჩია საყურებლად) და ეს გოლი მხოლოდ შემდეგ ნახა, დაუფარავად განაცხადა, კრივის საყურებლად 2.000 გირვანქა სტერლინგის გადაყრას, დამემატებია და ეს გოლი ცოცხლად მენახა მერჩივნაო.



აქვე საუკეთესოთა ათეულის ჩამონათვალსაც შემოგთავაზებთ და მიხვდებით რა ხალხში აქვს საქმე ქინქლაძეს:

1. დენის ბერგკამპი (არსენალი)— 2001-2002 სეზონში "ნიუკასლის" კარში.
2. მეტ ლე ტისიე (საუთჰემპტონი) — 1993-1994 სეზონში "ნიუკასლის" კარში
3. ტიერი ანრი (არსენალი) — 2000-2001 სეზონში "მანჩესტერის" კარში
4. დელიან ატკინსონი (ასტონ ვილა) — 1992-1993 სეზონში "უიმბლდონის" კარში
5. ერიკ კანტონა (მანჩესტერი) — 1996-1997 სეზონში "სანდერლენდის" კარში
6. გიორგი ქინქლაძე (მანჩესტერ სიტი) — 1995-1996 სეზონში "საუთჰემპტონის" კარში
7. პაოლო დი კანიო (ვესტ ჰემი) — 1999-2000 სეზონსი "უიმბლდონის" კარში
8. ტონი იებოა (ლიდსი) — 1995-1996 სეზონში "უიმბლდონის" კარში.
9. პოლ სქოულზი (მანჩესტერი) — 2006-2007 სეზონში "ასტონ ვილას" კარში.
10.რობინ ვან პერსი (არსენალი) — 2005-2006 სეზონში "ჩარლტონის" კარში.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# იუმორი



— ძვირფასო, შედი ერთი ინტერნეტში, ნახე, როგორი ამინდია, ჩვენი თერმომეტრისა რაღაც არ მჯერა...

***

— მე და ჩემს ქმარს ერთნაირი ფიგურა გვაქვს.

— მეცხრე თვეზე რომ ვიყავი, მე და ჩემს ქმარსაც ერთნაირი ფიგურა გვქონდა...

***

— ჩემი ძაღლი შენთან ხომ არ ყოფილა?

— არა.

— აბა, მაცივარში შეიხედე.

— რა უცნაური ხარ... აპა... ცარიელია!

— მაშ, ყოფილა...

***

— მიყვარს ბებია, მისთვის ყოველთვის გამხდარი ვარ...

***

ნარკომანი სარკეში იყურება:

— აქაც მე ვარ, იქაც მე ვარ.

ვილაცამ კარზე დარეკა:

— რომელი ხარ?

— მე!

— ვაპ, იქაც მე ვარ?!

გ.თ.


# 15 ივნისიდან იყიდება

100 წიგნი

„ახალი თაობის" და „საოჯახო ბიბლიოთეკის"

**სუპერპროექტის**

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




ტომი 7

მარკესი

გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი


# ასტროპროგნოზი 16 ივნისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — სახლში სიახლეა, ძვირფასი შენაძენი გელით. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, საქმეს ისედაც მოაწესრიგებთ. **კირჩხიბი** — გზიდან ფულს მიიღებთ. **ლომი** — ახალი პროექტი გაამართლებს, იაქტიურეთ. **ქალწული** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, საქმიანი შეხვედრა გელით. **სასწორი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მორიელი** — დასვენება გჭირდებათ, განიმუხტეთ. **მშვილდოსანი** — თავს კრიტიკულად შეხედეთ, ასე აჯობებს. **თხის რქა** — საღამო მშვენიერი იქნება, დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **მერწყული** — უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **თევზები** — ხალისიანი განწყობა დაგეუფლებათ, საწადელს აისრულებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პოპულარული ამერიკული ჟურნალი; 2. საეკლესიო ლოცვათა, საგალობელთა კრებული; 3. უნგრული ღვინო; 5. სანადირო თოფების წარმოების ცენტრი გერმანიაში; 6. უკრაინული ლუდი; 8. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 11. ქუჩის ტელეფონ-ავტომატი; 13. ასანთის ქართული სახელწოდება; 14. მე-16 საუკუნის გერმანელი მხატვარი; 15. ოქროს ჩამოსასხმელი ყალიბი; 19. საავტომობილო შეჯიბრების ერთ-ერთი სახეობა.

**თარაზულად:** 1. თერმომეტრის გამომგონებელი გერმანელი ფიზიკოსი; 4. დანაყოფებიანი მინის ლაბორატორიული ჭურჭელი; 7. აეროპორტი რიგაში; 9. ქცევაში, ლაპარაკში გამოხატული დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე; 10. სამონასტრო კომპლექსი გორის რაიონში; 12. უკმაყოფილების ენერგიული გამოხატვა; 16. მჭევრმეტყველების თეორია; 17. პროდუქციის, საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან; 18. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 20. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ფეოდალურ საქართველოში; 21. სამშენებლო საქმეში გამოყენებული გამომწვარი თაბაშირი; 22. კინოს ძველი სახელწოდება.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

